„დადგით მესხეთში აკვნები, აღზარდეთ კვლავ რუსთაველი“ გიორგი ლეონიძე



# ლიტერატურული მესხეთი

№12 (228)
დეკემბერი
2017 წელი
ფასი 40 თეთრი

გამოცემის მეცხრამეტე წელი "LITRTURULI MSHTI" "ЛИТЕРАТУРУЛИ МЕСХЕТИ"

## ქართველობას მიშლიან, მაინც მექართველება!..

### თინათინ მღვდლიაშვილი



ვცხოვრობ, როგორც ვცხოვრობდი, ოდენ უფლის ამარა...
მიყვარს სვეტიცხოველის მოხატული კამარა.
მიყვარს ჩემი ქვეყანა, უსაშველოდ ნაწამი,
როგორც ლურჯი ზეყანა — სიდონიას ნაწნავი.

მიყვარს, ოდეს სალამოს იბინდება გზები და...
როს გავყურებ სამყაროს ბაგინეთის მთებიდან.
მიყვარს უფლის ხედი და კვიპაროსი მაღალი,
წმინდა ნინოს თმები და წმინდა ნინოს მაყვალი.

ოდეს ბარში ცხელა და მთაში დაქრის „არავი".[1]..
როს პაემანს მცხეთასთან მტკვარს უნიშნავს არაგვი.
და, როს ღრუბლის ქულები მტრედებივით მივლიან,
აქეთ — მადლი ულევი, იქით — ნანა-მირიან.

როს ულვინოდ ვითვრები, ლექსის ალი მედება
და მოქრიან რითმები სულიწმიდის მტრედებად...
ოდეს ძარღვი მიფეთქავს, პოეზიის რთველია,
სამთავროში როდესაც მონაზვნები მელიან!..

ჰოი, ოდეს ვახტანგმა იგორგასლა, იმცხეთა,
ოდეს მეფე დემეტრე შედგა ბებრის ციხესთან!..[2]
ჰეი, სპანი — ურჩები!.. და მომხდურთა სამარე!..
ძველი ციხე-ბურჯები: სარკინე და სავანე!..

ზვრები, ზვრები... უსაზღვრო, საუცხოო ვაზები,
შავკაპიტო — უზადო, მზეზე ნაალმასევი!..
გზები, გზები... ულევი, ღვთისმშობელი მარიამ,
უძველესი უბნები, მცხეთის გეთსამანია.

ქრისტეს კვართი — საუნჯე, უსამანოდ ნაგვემი,
შიოს ოქროს საჭურჭლე — უფლის მიერ ნაქები.
ანტიკური თასები, ვენახები მუხრანის,
მთვარის პერფომანსები[3], სანახები მუხნარის.

და სამეფო ბაღები, ფარნავაზის ქართული,
და ელიას ხალენი — „არაგვს ზედა" დაფლული.

ქვათა სამაჯურები — სახელმწიფო იბერთა!..
სპათა სამკაულები — ვინც იბერში იმეფა!..

და, როს მტკვარზე მიცურავს თბილისელი თოლია,
ოდეს მზეა, ოდეს წვიმს, ანდა, თუნდაც, თოვლია!..
თუნდაც მთებში თოვლი და, თუნდაც ლურჯი ზვავები,
როს მწუხრისას რეკავენ ზედაზნიდან ზარები!..

როს ველური ცხენები სველ მინდვრებზე მიქრიან,
როს უჯარმის მცველები მაჯისცემას მითვლიან!..
როს ჩავუვლი არმაზს და, ვტკბები ქართლის ხილვით და...
ვიმზირები თამამად პომპეუსის ხიდიდან!..

და, როს ნაგრიგალები ლექსი გულზე მაბიჯებს,
და, როს მწვანე თვალებით ვზვერავ ოქროს კარიბჭეს!
და, როს მითვლის ნაბიჯებს ქართლის მემატიანე,
რომელ გზაწვრილს ავირჩევ, სად და როგორ ვიარე?!.

ოდეს ჯვარზე ნისლია, — ბრწყინავს ათასფერებად...
ქართველობას მიშლიან, — მაინც მექართველება!









1. არავი - სამხრეთის თბილი ქარი, რომელიც ყინულს ადნობს.
2. ოდეს მეფე დემეტრე შედგა ბებრის ციხესთან - იგულისხმება მეფე დემეტრე პირველი (1125 - 1156 წწ.), რომელიც ბებრის ციხეში (იგივე ბელტის ციხე), აღესრულა, რის შემდეგაც მეფე დემეტრე გელათში გადაასვენეს და დაკრძალეს.
3. პერფომანსი - წარმოდგენა, შესრულება, ჩვენება.

ვაჟა ოთარაშვილი

# სადღაა ვამბობ, სააკაძე —

ქართული ეროვნული ცნობიერების წინააღმდეგ ბრძოლა დასაბამიდან მომდინარეობს. ათასი ჯურის შინაური თუ გარე მტერი გვებრძოდა, გვებრძვის და მომავალშიც გააგრძელებს გველგესლაობას. მე-19 საუკუნის ბოლოს ამ ბრძოლას მარქსისტულმა ჯგუფმა დაუდო სათავე *(ნ. ჟორდანია, ფ. მახარაძე, მ. ცხაკაია, ს. ორჯონიკიძე...)*, ხოლო 21-ე საუკუნეში ქართული სულისა და ქართული სახელმწიფოებრიობის წინააღმდეგ მიმდინარეობს ბრძოლა ჩვენი სახელოვანი და წმინდანი წინაპრების შეურაცხყოფით (დავით აღმაშენებლის მიერ დიდგორის ომის მოგების მნიშვნელობის დამცრობა და ეჭვის შეტანა, მისი ძეგლის დედაქალაქის ცენტრიდან „მიუვალ ადგილზე" გადატანა, თამარ მეფის სახელისა და ღირსების ბილწი შეურაცხყოფა, კალას ხიდზე წამებულ მოწამეთა რიცხვის ეჭვქვეშ დაყენება, გიორგი ბრწყინვალის გამოგონებულ ისტორიულ პერსონაჟად შერაცხვა, ერის მამის – ილია ჭავჭავაძის აუგად მოხსენიება, გალაკტიონის სოფლელ ბიჭად „მონათვლა", ლადო ასათიანის „მკვდრადშობილ" პოეტად მოხსენიება, ცოტნე დადიანის გამოგონილ ფიგურად წარმოჩენა, გრიგოლ რობაქიძის ერის მოღალატედ შერაცხვა, პაატა სააკაძის თავის მოკვეთის ფაქტის გაშარჟება და... რამდენი ასეთი...)

გიორგი სააკაძის სახელი მარადიული თანამგზავრია ქართველი ერის ტრაგიკული ისტორიისა და ერთ-ერთი გამორჩეული სიმბოლო ივერიელთა თავისუფლებისმოყვარე და დაუმორჩილებელი სულისა.

გიორგი სააკაძე მე-17 საუკუნის რეზიდენციის, ატენის ხეობის სოფ. ფელიდან სოფ. ნოსტეში გადატანის პროცესი, რაც ასახულია **გულშარ დედოფლისა** და იოანე სააკაძის მამულის „გაცვლილობის წიგნში". მე-16 საუკუნის დასაწყისში თავად ივანე სააკაძეს (1503-1543) თანამეფეებმა **კონსტანტინე II-მ** და **დავით X-მ** უბოძეს III ხარისხის თავადის წოდება. ივანე სააკაძე **ლუარსაბ I-ის** მეფობაში დარბაზის წევრია და 1543 წელს მონაწილეობა მიუღია ბარათაშვილების გაყრის საქმის განხილვაში და ისტორიულ საბუთში: მეფის, ბატონი კათალიკოზის და დიდგვაროვან ქართველ თავადთა ***(„ამილახვარი ბატონი თაყა", „ჯავახიშვილი ბატონი ჯავახი", „ფავლენისშვილი ბატონი ივანე")*** შემდეგ მოდის თავადი **გიორგი სააკაძე** (1543-1570) „პატრონად" მოხსენიებული. როგორც ჩანს, დაწყებული ივანე სააკაძის და მრჩევლის **შიაოშ (სიაუშ) სააკაძის** მაღალი ავტორიტეტის მაუწყებელია ისიც, რომ მას ცოლად ჰყავდა დიდი ფეოდალების, ბარათაშვილების გვარიდან ქალი – **თამარ ბარათაშვილი.** გიორგი სააკაძის დედა თამარი ყველა ისტორიულ საბუთში *„საპატიო ქალბატონად"* მოიხსენიება. იგი ამაყი, ღვთისნიერი, სამართლიანი, შეუვალი, მამულის მოყვარული ქალბატონი ყოფილა. თავად გიორგი სააკაძე ყველა ისტორიულ საბუთში დედას კრძალვით *მოიხსენიებს: „ბატონმან დედაჩემმან"*. თამარ ბარათაშვილი და მისი ქალიშვილი შესანიშნავი კალიგრაფები ყოფილან და ლეგენდასავით შემორჩა ქართული ლიტერატურის ისტორიას, თუ როგორ გადაწერეს ერთ დღე-ღამეში უკვდავი „ვეფხისტყაოსანი" ულამაზესი ხელწერით და როგორ შეამკო იგი კავთისხეველმა



ლისსა და მის შემოგარენს, რომელიც ძველად სააკაძეთა საკუთრება ყოფილა, წყალობით ხელახლა უმტკიცებს მის ერთგულ ყმას. ამ საბუთიდან ირკვევა, რომ გიორგი სააკაძე უკვე ცოლ-შვილიანია, რადგან „წყალობის წიგნში" მისი შვილიც არის ნახსენები, ანუ დიდი მოურავის უფროსი შვილი ავთანდილი უკვე დაბადებულია. სავარაუდოდ, ამ „წყალობის წიგნის" მიღებისას გიორგი სააკაძე 20-23 წლის ჭაბუკია და უკვე „აღზევებული". ამ დროს ლუარსაბ მეფე 13-15 წლის ყმაწვილი იქნებოდა, რასაც ლოგიკურად დავასკვნით, თუ გავიხსენებთ **იოსებ ტფილელის** „დიდმოურავიდან" შემდეგ სტრიქონებს: ***„მეფეს ლუარსაბს როს ვახლდი, ვით ვიყავ მისად ქებამდი; ოცი წლის მამამ მიმართვა, ის იყო ცამეტებამდი..."*** ე.ი. გიორგი სააკაძე შვიდი წლით უფროსი ყოფილა ლუარსაბ მეფეზე.

ახალგაზრდა გიორგი სააკაძე სტამბოლშიც ახლდა თავის პატრონს – დატყვევებულ სვიმონ მეფეს. შემდეგ კი, როცა მისი ტყვეობიდან დახსნის მცდელობა უშედეგოდ დამთავრდა, მეფის ნებართვითვე ქართლში დაბრუნდა და **გიორგი X**-ის სამსახურში ჩადგა. მან თავი გამოიჩინა გიორგი X-ის მიერ ოსმალეთის წინააღმდეგ წარმოებულ ყველა ბრძოლაში 1604-1605 წლებში (ამ დროს ქართლის ძირითადი ციხეები თურქებს ეჭირათ). გიორგი სააკაძე გამორჩეული ყოფილა 1604 წლის 9 ივნისს ერევნის ციხის აღების დროსაც. ამ ბრძოლებიდან, 1604 წელს ქართლში დაბრუნებულ გიორგი სააკაძეს გიორგი მეფემ თარხნობა უბოძა და დანიშნა ახალგაზრდა ლუარსაბის სამხედრო ხელოვნებაში განაფვის ხელმძღვანელად, ხოლო **1605 წელს უბოძა თავად-მთავრობა სააკაძე-მოურავის გვარით,** რაც დასტურდება ბაგრატ VII-ის „წყალობის წიგნზე" „სპეცრაზმს" და წრთვნის მათ სამხედრო საქმეში, ამარცხებს აჯანყებულ დვალოსებს და ამშვიდებს იქ სიტუაციას. ამ დროს მეფე ლუარსაბი და გიორგი სააკაძე ერთი გუნდია – ქვეყნის გაერთიანებისათვის მებრძოლი ეროვნულ-პროგრესული ძალა. გიორგი სააკაძემ იცის, რომ ერთიან ცენტრალიზებულ სამეფო ხელისუფლებას შეუძლია დაქუცმაცებული ქვეყნის აღდგენა, გავერანებული სოფლების ფეხზე დაყენება, გაყინული სავაჭრო-სამეურნეო საქმიანობის გამოცოცხლება-აღორძინება. იგი მომხრეა რეგულარული სახელმწიფო ჯარის შექმნისა და თავდაუზოგავად იღწვის მასავით „უჩინო" თუ „ჩინიან" თანამოაზრეებთან ერთად. ამ დროს ლუარსაბ II „დიდად მადლიერია" გიორგი სააკაძისა, რასაც ადასტურებს 1608 წელს გაცემული ქართლის მეფის „წყალობის წიგნი": ***„თავდადებით ნამსახურსა გიორგი სააკაძესა"*** და ა.შ. მაგრამ ამ პროგრესული რეფორმების, ქვეყნის გაერთიანების წინააღმდეგნი არიან მსხვილი ფეოდალები... თუ დავესესხებით იოსებ ტფილელის მემკვიდრეობის ცნობილ მკვლევარს, ქალბატონ **რიმა ფირცხალაიშვილს:** ***„გიორგი სააკაძის სახელმა ფაქტიურად ორ დაპირისპირებულ ბანაკად გაჰყო მთელი მაშინდელი საქართველო, ეს იყო ეროვნული და ანტიეროვნული ძალთა ბანაკები".*** დავძენდი: ეს იყო პროგრესულად მოაზროვნე და ქვეყნის ანარქიის მომხრეთა ბანაკები...

**განვიხილოთ ისტორიული მოვლენები და კულუარები, რამაც გამოიწვია ურთიერთობის დაძაბვა მეფესა და დიდმოურავს შორის.**

XVII ს. პირველ მეოთხედში ქართლ-კახეთში მომხდარ მეტ-ნაკლებად მნიშვნელოვან მოვლენებში შაჰ-აბასის და ირანის აგენტურის მზაკვრული ხელი ერია.

საქართველოს უდიდესი ეროვნულ-განმანთავისუფლებელი მოძრაობის ბრწყინვალე წარმომადგენელია და მისი ახალი სიცოცხლე ქართველთა გულში დიდი მოურავის თურქეთში (ალეპო, თოხათის ციხე) ტრაგიკული აღსასრულისთანავე დაიწყო. იგი შეიყვარა ქართველმა ერმა, დაადგა ეროვნული გმირის გვირგვინი და დიდი მოურავი უწოდა. მას 1663 წლიდან ისტორიულ საბუთებში უკვე **„დიდ მოურავად"** იხსენიებენ. გიორგი სააკაძემ ივერიას ერთიანობისა და ძლიერებისათვის ყველაფერი შესწირა: შვილები – პაატა, დავითი (იგივე ალაპიტი), ავთანდილი, ახლობლები და... საკუთარი სიცოცხლე. სულმნათი ივანე ჯავახიშვილი ბრძანებს: ***„გიორგი სააკაძეს რომ არ დაემარცხებინა სპარსელები მარტყოფის ველზე, შეიძლებოდა საქართველო სამუდამოდ აღგვილიყო პირისაგან მიწისა"...***

გიორგი სააკაძე ახალ რეალობას მშობელი ხალხის სიყვარულმა დაუბრუნა და არა ფილმმა თუ სპექტაკლმა. თავიდანვე ხაზგასასმელია, რომ ისტორიოგრაფიაში მოხსენებული დიდი მოურავის ყველა პირდაპირი წინაპარი ქართული ცენტრალიზებული სამეფო ხელისუფლებისა და ქვეყნის ერთიანობისათვის იბრძოდა. აუცილებელია, რომ ზოგიერთი ვაიქართველის ნათქვამი სიცრუის ნაცვლად საზოგადოებამ ისტორიული სიმართლე იცოდეს. ქართული ისტორიოგრაფია პირველ სააკაძედ – **ჯანზურაბ სააკაძეს** იხსენიებს, რომელიც თამარ მეფის ეპოქის მოღვაწეა. მას **თამარ მეფემ** საგვარეულო მამულების გარდა დამატებით სამფლობელოები უწყალობა, როგორც მეფის კარის ერთგულ მოხელეს. უფრო ადრე, **იოანე ბაგრატიონის** მიხედვით, სააკაძეთა წინაპრები ყოფილან ერთიანი საქართველოს მეფის **ბაგრატ IV-ის** (1027-1072) სამსახურში, რასაც ადასტურებს ფრაზები, რომ ბაგრატიონმა მეფემ მათ ***„უბოძა თემის (იგივე თიძმის) ხეობასა შინა მამულნი და მოხელეობა კლდეკარისა".*** ისტორიულ წყაროებში შემდეგი **დონა სააკაძეა** - XIV ს.-ის მე-2 ნახევრის მოღვაწე და **ბაგრატ V-თან** (1360-1395) დაახლოებული პირი და თანამებრძოლი, დედაქალაქის ციხისთავი. როდესაც **თემურ-ლენგის** ლაშქარმა 1386 წ. 13 ნოემბერს თბილისი აიღო და დაატყვევა ქართველთა მეფე და დედოფალი, დატუსაღებულ მეფეს დონა სააკაძე კვალდაკვალ გაჰყვა და ნებაყოფლობით ჩაბარდა მტერს და საუკუნენახევრის შემდეგ ცოტნე დადიანის გმირობა გაიმეორა...

ამის შემდგომ, 1412-1452 წლებში, კავთისხევის (კასპის რ.) მოურავია **იოანე (ივანე) სააკაძე,** რომლის სახელსაც უკავშირდება სააკაძეთა ამ შტოს ძირძველი დროიდან სააკაძეთა საგვარეულოს ეს ოჯახი ეკონომიურად და თანამდებობრივად ძალზე გაძლიერებულია და მსხვილ ფეოდალთა რიცხვს მიეკუთვნება, რაზეც წერს სულმნათი ივანე ჯავახიშვილი: ***„დიდებულნი ხელისუფალნი და ძლიერი გვარის შვილნი მეფესავით პატრონებად იწოდებოდნენ".***

დიდი მოურავის პაპის – **გიორგი „პატრონის"** გარდაცვალების შემდეგ, ხდება სააკაძეთა ერთიანი სახლის გაყოფა ოთხ ძმას: **ზეშთაელს, სიაუშს, ჯანზურაბსა და იოანე სააკაძეთა** შორის. დიდი მოურავის მამა მეფის სახლთუხუცესია **სიმონ I-ის, გიორგი X-ის** და **ლუარსაბ II-ის** მეფობაში. საერთოდ, ოთხივე ძმა, სამეფო კართან დაახლოებული, მეფის ერთგული და დაწინაურებული პირია. დიდი მოურავის მამა-ბიძები რომ ქართლის მეფის და სამშობლოს უერთგულესი მსახურები არიან, ისტორიული საბუთებით: სიგელ-გუჯარებით, წყალობის წიგნებით დასტურდება. მაგ: **სიმონ I-ის** 1569 წ. ყიზილბაშთა დატყვევების შემდეგ, 1573 წ. კავთისხევში სამეფო რეზიდენციაში მყოფს ***„დედოფალ ნესტან-დარეჯანს ქსნის ერისთავი და ამილახორი მიუხდნენ"*** და ააწიოკეს. ქართლის დედოფალს მხარში დაუდგნენ, გამოესარჩლნენ და ფიზიკურად დაიცვეს გიორგი სააკაძის მამა-ბიძებმა, რასაც ადასტურებს 1578 წ. გაცემული დედოფლის სიგელ-გუჯარი: ***„... შეგიწყალეთ და გიბოძეთ ესე წყალობის წიგნი და ნიშანი თქუენ ჩუენსა ერთგულსა ყმასა და თავდადებით ნამსახურსა სააკაძესა გიორგის შვილსა ჟეშთაელსა და ძმათა შენთა, მას ჟამსა ოდეს მოგვიდექით კარსა"...*** და ა.შ.

მეფე-დედოფლისაგან მადლიერებისა და წყალობის გამომხატველია დიდი მოურავის მეორე ბიძისადმი 1607 წ. გაცემული წყალობის წიგნი: ***„... შენ ჩუენსა ერთგულსა და თავდადებით ნამსახურსა სახლის უხუცეს ზურაბს"...*** ასეთივე ორი წყალობის წიგნი აქვს გაცემული გმირ და შეუპოვარ **სიმონ მეფეს** გიორგი სააკაძის მამაზე **- სიაუშ (შიოშ) სააკაძეზე,** ერთი 1588 წ. 8 ივლისს, მეორე 1599 წ. 2 ნოემბერს: 1. ***„წყალობითა ღვთისაითა, ჩუენ, ღვთივ გვირგვინოსანმან მეფეთ-მეფემან სვიმონ, ესე წყალობის წიგნი და ნიშანი შეგიწყალეთ და გიბოძეთ თქუენ, ჩუენს ერთგულსა, ერთგულებით და თავდადებით ნამსახურსა ყმასა სააკაძესა მუსაჰიბს სიაუშს......თქუენთვის გვიბოძებია. გქონდეს და გიბედნიეროს ღმერთმან ჩუენს ერთგულად სამსახურსა შიგან..."*** და ა.შ. ცნობილ მკვლევართა აზრით *(ს.კაკაბაძე, გ.ჯამბურია, მ. სვანიძე)*, დიდი მოურავის მამა სიმონ მეფის დიდი ნდობით სარგებლობდა და ქართლის მეფეს სტამბოლშიც ჰყავდა გაგზავნილი თურქეთთან ზავის დასადებლად. სიმონ მეფის მოურავის მორჩილმა **თევდორემ** პერგამენტები ნატიფი ჩუქურთმა-ქარაგმებით...

სიაუშ სააკაძის და თამარ ბარათაშვილის ვაჟები ერთმანეთზე უკეთესი მეომრები იყვნენ, რასაც, როგორც ქართველი, ასევე უცხოელი ისტორიკოსები ერთსულოვნად აღნიშნავენ. მათგან მაინც გამორჩეული გიორგი სააკაძეა – დიდი მოურავი: ეროვნული გმირი, **ტრაგიკული ბედის, ბუმბერაზი ფიზიკური ძალის, უძლიერესი ხმისა და გონიერების პტრონი.**



ზოგიერთ უვიცს ჰგონია, რომ გიორგი სააკაძის აღზევების უმთავრესი მოვლენა მეფე **ლუარსაბ II**-თან მისი დის ქორწინებას უკავშირდება, რაც მცდარია. ზემომოყვანილი ისტორიული საბუთიდან კარგად ჩანს, – გიორგი სააკაძის წინაპრები როგორ და რისთვის არიან აღზევებულნი. ახლა კი თავად დიდი მოურავის – საქართველოს ეროვნული გმირის შესახებ სიმართლე, რასაც დღემდე სრული სახით არ ახმაურებდა, არ ამზეურებდა ისტორიოგრაფია სხვადასხვა მიზეზთა გამო: ქართველი მეისტორიე ბაგრატიონები, რომლებიც საკუთარ მტრად მიიჩნევენ გიორგი სააკაძეს; ცარისტული რუსეთი, რომლისთვისაც მიუღებელი იყო ეროვნულ-განმანთავისუფლებელი მოძრაობის მეთაური, ბოლშევიკური ხელისუფლებისთვის პატრიოტული სულისკვეთების სახალხო გმირი იდეოლოგიური მტერი იყო; მაჰმადიან მეისტორიეთათვის გიორგი სააკაძე – **„ვერაგი მოურავი"** და მათი ჯარების გამნადგურებელი იყო და ა.შ.

გიორგი სააკაძე 1570-75 წლების მონაკვეთში ქართლში დაიბადა. როგორც ისტორიული წყაროები მეტყველებენ, დიდი მოურავი სამოღვაწეო ასპარეზზე სრულიად ახალგაზრდა გამოვიდა და მისი „აღზევება" არ უკავშირდება ლუარსაბ II-ს. ეს დასტურდება მნიშვნელოვანი ისტორიული დოკუმენტით, კერძოდ, **სვიმონ მეფის** *(სვიმონ I)* წყალობის წიგნით გიორგი სააკაძისადმი, რომელიც თარიღება 1594 წ. 10 აგვისტოთი: ***„... ღვთივ გვირგვინოსანმან მეფეთ მეფემან პატრონმან სვიმონ ეს წყალობის წიგნი... გიბოძეთ ჩუენს ერთგულს თავდადებით ნამსახურს ყმასა სააკაძეს გიორგის... ჩუენ ესე წყალობა გიყავით... არც შენ და არც შენს შვილს არავინ მოგიშალოს..."*** და ა.შ. მეფე სვიმონ I-ის ამ წყალობის წიგნიდან ჩანს, რომ სოფ. დაყრდნობით. სამწუხაროდ, 1605 წ. 7 ნოემბერს ქართლის მეფე გიორგი X საეჭვო ვითარებაში უეცრად გარდაიცვალა (ზოგიერთი ისტორიკოსის ცნობით შაჰ-აბასმა მოწამლა ნელმოქმედი შხამით) და ტახტზე ავიდა ლუარსაბ II, რომელმაც გამეფებისთანავე გიორგი სააკაძეს თბილისისა და ქართლის სანახების მოურავობას კიდევ ორი სახელი დაუმატა, – ცხინვალისა და დვალეთის მოურავობა. 1605 წლის 7 ნოემბერს მნიშვნელოვანი ფაქტი მოხდა: სპარსელებმა სუფიასთან ბრძოლაში კიდევ ერთხელ დაამარცხეს ოსმალები, შემდეგ შეიჭრნენ ყარაბაღში და იქიდანაც განდევნეს თურქები. 1606 წლის მარტში ალყა შემოარტყეს განჯას, იმავე წლის 5 ივლისს აიღეს ქალაქი და შაჰ-აბასის ჯარი ქართლისაკენ გამოემართა. ოსმალებმა უბრძოლველად ჩააბარეს ყიზილბაშებს თბილისის ციხის გასაღები და „ოსმალობის" ოცდაათწლიანი პარპაშის ნაცვლად დედაქალაქში „ყიზილბაშობა" დაიწყო. თუმცა შაჰ-აბასს მთელი ქართლისთვის არ ეცალა, თურქებთან ომით იყო დაკავებული. გიორგი სააკაძე ამ წლებში დაუღალავად იბრძვის ლუარსაბ მეფის მხარდამხარ ცენტრალიზებული სახელმწიფოს გასაძლიერებლად, დღევანდელი ტერმინებით რომ ვთქვათ, ქმნის პირველ ქართულ ვერაგი შაჰ-აბასი ყველა ხელსაყრელი შემთხვევის თავის სასარგებლოდ გამოყენებას წარმატებით ახორციელებდა.

**პირველი შემთხვევა:** 1607 წელს თეიმურაზ მეფემ იქორწინა **მამია გურიელის** ასულზე – **ანაზე**

და ორი ვაჟი შეეძინა. სამწუხაროდ, ეს ქორწინება ხანმოკლე გამოდგა. 1610 წელს ანა გარდაიცვალა. შაჰ-აბასმა 1611 წელს სამძიმრის წერილით კარმელიტების ორდენის წევრი, **ჯოვანო ტადეო** გააგზავნა თეიმურაზ მეფესთან. ამ დროს ხდება ამაზრზენი ფაქტი: შაჰის ანკესს (და არა სააკაძის!) წამოეგო ორივე მეფე: **ლუარსაბიც** და **თეიმურაზიც.** შაჰის მიერ „დალოცვილ" კახეთის მეფეს, შაჰ-აბასის ბრძანებით, ლუარსაბის უფროსი და, **ხორეშანი** მოჰყავს ცოლად – საკუთარი პაპიდაშვილი! ქრისტიანული მრწამსით უდიდეს ცოდვად ითვლება სისხლის აღრევა. თეიმურაზი და ხორეშანი ხომ და-ძმის – კახთა მეფე ალექსანდრე II-ისა და ქართლის დედოფლის ნესტან-დარეჯანის შვილიშვილები იყვნენ. რადგან ეს ქორწინება შაჰის ზეწოლით ხდებოდა, აღნიშნულს უნდა შეწინააღმდეგებოდა მართლმადიდებელი ეკლესია და იმდროინდელი საზოგადოება. ამ დროს შაჰ-აბასს ცოლად ჰყავდა ლუარსაბის და – **თინათინი** (იგივე *ლელა ხათუნი).* ვერც ლუარსაბ მეორე და ვერც თეიმურაზი წინააღმდეგობას ვერ უწევენ შაჰ-აბასის სურვილს და უდიდესი ცოდვის მორევში აღმოჩნდებიან, რაც 1611 წლის გაზაფხულზე გრემის სასახლეში დიდი ქორწილით მთავრდება. **არქანჯელო ლამბერტი** ერთგან აჟღერებს კახეთის სამეფო კარის ძალიან საყურადღებო შეხედულებას, კერძოდ, მისიანებმა თეიმურაზს სწორედ დარეჯანის შერთვა ურჩიეს: რამდენადაც მას სხვა ძმა არ ჰყავდა გარდა ლუარსაბისა, ხოლო ისიც უშვილო იყო, ადვილად შეიძლებოდა ლუარსაბის გარდაცვალების შემდეგ თეიმურაზი მისი სამეფოს ბატონ-პატრონიც გამხდარიყო... თეიმურაზი მოხიბლული იყო ამ მეფის ასული ქალის სილამაზით (ანუ საკუთარი პაპიდაშვილის - ვ.ო.) ასევე იმ იმედით, რომ ერთ დღეს ამ შესანიშნავი ქვეყნის (ქართლის) ბატონიც გახდებოდა...

**ისმის კითხვა:** იქნებ შაჰ-აბასის მიერ შექმნილ ამ მზაკვ-

→

# ქართლის ცეზარი"?!..

რულ სცენარში თეიმურაზ მეფე შეგნებული მონაწილე იყო და ლუარსაბ მეფის მოცილებას პასიურად ეთანხმებოდა? შემდგომში კი მეფის კარს ლუარსაბის დატყვევება-სიკვდილზე ხელი ვინმეზე უნდა შეეწმინდა. და მოვლენები ისე განავითარეს, რომ ეს „ვინმე" შესანიშნავი სარდალი და ეროვნული გმირი – გიორგი სააკაძე აღმოჩნდა.

სად არის ამ დროს სააკაძე? რომელ ბანაკშია? რა თქმა უნდა, ქრისტიანული რწმენის დამცველთა ბანაკში. იგი კარგად ხედავს შაჰ-აბასის გეგმას: სულიერად გაანადგუროს მაცხოვრის რჯულის ერთგული ქართველობა. დიდი მოურავის ერთი შვილი ქვათახევის ეკლესიაში მსახურობს, თავად კი კავთურა-თეძამი-ტანას ხეობაში აშენებს და ამშვენებს ეკლესია-მონასტრებს (გველდეზის წმინდა გიორგის, ნოსტეს სამების ეკლესია, იოანე ნათლისმცემლის, გუდალეთის წმ. ევსტატეს ეკლესია, ერთაწმინდის, ნიაბის, ფლის და სხვ.), მის გვარში ყოველთვის არიან სასულიერო პირები (და მომავალშიც ვხედავთ, წმ. **იოანე მანგლელი-სააკაძე, იოსებ ტფილელი**). მაშინდელ ქართულ საზოგადოებაში არ არსებობდა ერთიანი აზრი (ისევე როგორც სხვა მრავალ საკითხში). ზოგიერთნი ემხრობოდნენ ქართლ-კახეთის ამ ქორწინებით „გაერთიანებას", ზოგიც წინააღმდეგი იყო. აზრთა ეს სხვადასხვაობა ასახულია ქართველი და უცხოელი ისტორიკოსების თუ მისიონერების (**ფარსადან გორგიჯანიძე, არაქელ დავრიჟეცი, არქანჯელო ლამბრეტი** და სხვ.) ნაწერებში. თუმცა შემდგომში თეიმურაზ მეფის ხორეშანზე დაქორწინების ინიციატორმა, ბოროტმა და ცბიერმა შაჰ-აბასმა თავისი პოზიცია შეიცვალა და ვითომ ნაწყენი დარჩა ხორეშანის თეიმურაზზე გათხოვებით. თითქოს თვითონ უნდოდა ხორეშანი ცოლად. შაჰის ეს ვერაგული სურვილიც აისახა უცხოელი თუ ქართველი მემატიანეების მიერ.

ფაქტი ერთია, უმძიმესი ცოდვა დაიდო ქართლ-კახეთის სამეფო გვარმა ამ ქორწინებით, რაზეც სდუმს ქართული ისტორიოგრაფია. არადა, ამბავი თეიმურაზის და ხორეშანის ქორწინების მართლმადიდებლობისთვის მიუღებლობის შესახებ საქართველოს საზღვრებს გასცდა და საერთაშორისო რეზონანსი შეიძინა. კერძოდ, იერუსალიმის პატრიარქმა **თეოფანის III-ემ,** რომელიც ჯერ დასავლეთ, ხოლო შემდეგ აღმოსავლეთ საქართველოში მოგზაურობდა 1616-19 წლებში, კახეთში, თეიმურაზის კარზე ყოფნისას, ეს ქორწინება უკანონოდ გამოაცხადა და „ჯვრის აყრა" მოინდომა მეფე-დედოფალზე, როგორც ქრისტიანული მართლმადიდებლური წესისათვის მიუღებელი ფაქტისა. თეიმურაზმა და ნესტან-დარეჯანმა, პირდაპირ რომ ვთქვათ, ქრთამი მისცეს იერუსალიმის პატრიარქს, რომ ამ უდიდეს ცოდვაზე თვალი დაეხუჭა. მეფე-დედოფალმა ***„მისცა ძვირფასი ქვებით შემკული ძველებური ოქროს თასი და მრავალი ოქრო და შესაწირი..."*** მეისტორიენი იქვე აღნიშნავენ, რომ ***„თეოფანისისთვის უხვი საჩუქრების მირთმევა მისი განრისხების თავიდან აცილების მიზნით მოხდა"*** და მეფე-დედოფალმა ეკლესიისადმი „დახმარებით" იერუსალიმის პატრიარქისაგან ძველებურად ცხოვრების ნებართვა და პატიება მიიღეს. თუმცა, ეს ოქროს თასი, განგების ნებით, კონსტანტინეპოლში საეჭვო ვითარებაში დაიკარგა და იერუსალიმამდე ვერ ჩააღწია. ეს ამბავი იერუსალიმის შემდგომმა პატრიარქმა დოსითეოს II-ემ გაახმაურა.

გიორგი სააკაძისთვის მიუღებელია, ქართველ მეფეთა კარზე ქორწინების საკითხებიც კი შაჰ-აბასისგან დამოუკიდებლად რომ არ შეიძლება გადაწყდეს, თუმცა დიდი მოურავის აფორიაქებას ქართველი მემატიანეები მხოლოდ იმით ხსნიან, რომ ხორეშანი არაგვის ერისთავის– **ნუგზარის** *(სააკაძის სიმამრი)* ვაჟზე – ზურაბზე იყო დანიშნული და ისე გამოვიდა, რომ ლუარსაბ მეფემ პირი უშალა არაგველ სასიძოს, ხოლო თეიმურაზ მეფემ საპატარძლო წაართვა არაგვის ამაყი ერისთავის ვაჟს.

1611 წლის ზაფხულში მეორე ქორწინებაც მოხდა. შაჰ-აბასმა ცოლად შეირთო თეიმურაზის და ელენე, ანუ გუშინდელი ქვისლები სიძე-ცოლისძმობითაც ერთმანეთს დაუმოყვრდნენ. აი, ამ „ბედნიერების ბადეში" იყო იმდროინდელი ქართლ-კახეთის სამეფო კარი გახვეული. „მთავარი მებადურის" შაჰ-აბასის „დამსახურებით" ქართლ-კახეთის სამეფო კარს აკლდებოდა მამაცი და გამორჩეული მებრძოლები, მაგ.: ცნობილი სარდალი და პოეტი **ქაიხოსრო ჩოლოყაშვილი** *(ნიკიფორე ირბახის მამა)* თეიმურაზმა უმიზეზოდ სიკვდილით დასაჯა (ვითომ ქეთევან დედოფლის ტრფიალების გამო), აბელ ანდრონიკაშვილი შაჰის კარზე დატოვეს ა.შ.

**მეორე შემთხვევა:** 1611 წელს, გვიან შემოდგომით, კიდევ ერთი საბედისწერო ქორწინება შედგა – ნოემბრის ბოლოს ქვათახევის მონასტერში, რომელსაც არქიმანდრიტი **იოსებ ნასიძე** განაგებდა, მღვდელმა **კანდელაკმა** ჯვარი დაწერა ლუარსაბ II-ეს და გიორგი სააკაძის „ტურფად შვენიერ" დას. სააკაძეთა ქალის გადედოფლება ტრაგიკული აღმოჩნდება ლუარსაბისთვისაც, გიორგი სააკაძისთვისაც, ქართლის დედოფლისთვისაც (რომელიც შემდგომ მონაზვნად აღიკვეცა) და მთავარი: საქართველოსთვის! კმაყოფილნი დარჩებიან **შაჰ-აბასი, შადიმან ბარათაშვილი, ფარსადან ციციშვილი, ანდუყაფარ ამილახვარი, ქაიხოსრო** და **ბერუკა ჯავახიშვილები** (ამ უკანასკნელებმა სიხარულით მიიტაცეს შემდგომ სააკაძისეული მამულები, რაც ისტორიული „სიგელ-გუჯარებით" და „წყალობის წიგნებით" დასტურდება).

შემდეგ კი, 1612 წ. 20 მაისის წავკისის შეთქმულება დიდი მოურავის წინააღმდეგ. საკითხავია, რა გზა გამოიარა ამ შეთქმულებამდე სააკაძემ და ვინ იყო მისი მტერი? 1612 წ. გაზაფხულამდე გიორგი სააკაძემ თავი გამოიჩინა სვიმონ I, გიორგი X და ლუარსაბ II-ის მიერ წარმოებულ ბევრ ბრძოლაში. დაუწყნარა მთიულ-დვალ-ოვსთა შფოთი, გამორჩეული გმირია სხერტის ჭალის *(სოფ. ნაბსა და მეტეხს შუა, კასპის რ.)* და ტაშისკარის ბრძოლებისა, მხარდამხარ ეწევა სახელმწიფო აღმშენებლობით საქმიანობას, რეფორმას ატარებს ქართულ ჯარში, აძლიერებს თავის მომხრეთა ბანაკს („მოკიდეთურნი კაცნი"), რომელიც ქვეყნის ერთგული, ნიჭიერი, მამაცი, გონიერი და ფიზიკურად ძლიერი პიროვნებებისგან შედგება და რომელიც ე.წ. „საშუალო ფენაა" ქვეყნისა: აზნაურები, ვაჭარ-ხელოსნები, მშრომელი გლეხობა, ანუ გიორგი სააკაძე იმდროინდელი საქართველოს მონარქისტული წყობის რეფორმატორად გვევლინება, რომლის უმთავრესი მიზანია საქართველოს გაერთიანება, ერთიანი ცენტრალიზებული ქართული სახელმწიფოს შექმნა ბაგრატიონ მეფეთა კვერთხის ქვეშ. სხვა საკითხია, როგორ ატარებენ იმდროინდელი ქართველი მეფეები ერის წინამძღოლობის გვირგვინს, როგორ აფასებენ დიდი მოურავის ერთგულებასა და თავდადებას, მის პროგრესულ აზროვნებასა და ნაბიჯებს. ამ დროისათვის გიორგი სააკაძე რვა შვილის მამაა **(ოთხი ვაჟი: ავთანდილი, დავითი, იორამი, პაატა; ოთხი ქალიშვილი: ერთი თეიმურაზ მუხრანბატონის მეუღლე, მეორე იასე ქსნის ერისთავის მეუღლე, მესამე ფარად ფაშა ჯაყელის მეუღლე, მეოთხე გორგასლან ჩხეიძის მეუღლე).**

კითხვაზე, თუ ვინ არის გიორგი სააკაძის მტერი, პასუხი ერთია: ანტიეროვნული, ანტიპროგრესული ძალები, რომლის შემადგენლობაშიც იყვნენ ირანისგან თუ თურქეთისგან მოსყიდული ქართველი დიდებულები, ასევე მოურავის წარმატებული კარიერისა და გასაოცარი გმირული ბრძოლების მოშურნენი, ანუ გიორგი სააკაძის მთავარი მტერი შინაურთა და გარეულთა შური იყო მისი გამორჩეული პიროვნების მიმართ. ***„შური – ესე არს მწუხარებაი სხვისა სიკეთესა ზედა"*** - განმარტავს **სულხან-საბა.** ეს ის მტერია, რომელიც მარადიულად უტევს უძლეველ სარდალს, საქართველოშიც და მის ფარგლებს გარეთაც. ამ მტრისთვის დრო არ არსებობს, სამწუხაროდ... დღესაც ებრძვის დიდ მოურავს ეს დაუძინებელი მტერი – ლაშქარი უვიცთა და მოშურნეთა, შინაურთა თუ გარეულთა...

1609 წლის სხერტის ჭალისა და ტაშისკარის ბრძოლების შეუდარებელი გმირი რომ გიორგი სააკაძეა, ამას ერთხმად აღნიშნავენ მეისტორიენი. მაგრამ მის მიმართ მტრობა, სამწუხაროდ, უფრო ადრეა დაწყებული, რასაც „ქართლის ცხოვრება" გვაუწყებს ***„ქვეყნის არევის მოყვარეთა და მოჩხუბართა კაცთა"*** შესახებ, ამასვე ადასტურებს შემდგომში 1620 წლით დათარიღებულ სასამართლოს განაჩენში ***„დიდი მოურავისა და ჯავახიშვილის*** *(დააკვირდით გიორგი სააკაძისა და ჯავახიშვილის რეგალია-ტიტულებს ამ საქმეში! ვ.ო.)* ***საქმის გამო",*** თვით სააკაძე გულისტკივილით ჩივის, რომ მას ***„ბეზღობა დაუწყეს"*** მეფესთან (ლუარსაბ II) ტყუილ-უბრალოდ, უმიზეზოდ, პირადი ანგარებაშურით. და უნებლიედ გახსენდება **ვაჟა-ფშაველას** გენიალური სიტყვები: ***„ცუდას რად უნდა მტრობა, კარგია მუდამ მტრიანი..."***



უმთავრესი ბრალდება განვიხილოთ გიორგი სააკაძის მიმართ: ***„ხელის შეწყობა ლუარსაბ მეფის დატყვევებასა და მოკვდინებაში"***, ანუ, როგორც ზოგიერთ ნაცვალსახელს მიაჩნია, ***„როგორ წამოეგო ახალგაზრდა ლუარსაბი სააკაძის ანკესზე".***



დიდი მოურავი რომ ***„მუდამ მტრიანი"*** იყო ყველა დროში და ყველა ეპოქაში, ქართული თუ უცხოური წყაროებიდან კარგად ჩანს. მაგრამ არსებობს ერთი ქართული ლიტერატურის ქრესტომათიული ნაწარმოები, რომლის მიმართ დღემდე გიორგი სააკაძის მოღვაწეობის მკვლევართა აზრი არ არის გამოთქმული და შეფასებული. ეს ნაწარმოებია **ბესარიონ ქართლის კათალიკოსის** *(ბარათაშვილ-ორბელიშვილი)* *„ლუარსაბ მეფის მარტვილობა"*, ანუ *„ლუაწლი წმიდისა და სანატრელისა მოწამისა და მეფისა ლუარსაბისი, რომელი იწამა შაჰ-აბას უსჯულოჲსა მიერ, სპარსთა მეფისა"*. ბესარიონ ბარათაშვილი-ორბელიშვილი ქართლის კათალიკოსად ჩანს 1724-1737 წლებში. სწორედ ბესარიონ ქართლის კათალიკოსს აღუწერია პირველად ვრცლად ლუარსაბ II-ის ღვაწლი და წამება. აღნიშნული თხზულება უაღრესად ძვირფას ცნობებს შეიცავს შაჰ-აბასის 1614-1615 წლის ლაშქრობების შესახებ, რომელთაგან ზოგი უცნობია ძველი ქართველი ისტორიკოსებისთვის.

სისხლისმსმელი შაჰ-აბასი 1614 წელს ირანელთა დიდძალი ლაშქრით შემოესია აღმოსავლეთ საქართველოს. კახეთის აწიოკებისა და აოხრების შემდეგ ირანელები ქართლში გადმოვიდნენ. ამ პერიოდში კახეთის მეფე თეიმურაზ I-მა და ქართლის მეფე ლუარსაბ II-მ ვერაფერი მოახერხეს იმის გარდა, რომ იმერეთის **მეფე გიორგისთან** შეაფარეს თავი. მაგრამ შაჰ-აბასმა, მზაკვრობით და ქართველ დიდებულთა მოსყიდვით, მოახერხა ლუარსაბ II-ის მიტყუება თავისთან. აქ „მთავარი მოღალატის" როლი **შადიმან ბარათაშვილმა** ითამაშა. მას შემდეგ, რაც შაჰისგან ლუარსაბთან და თეიმურაზთან რამდენჯერმე მიგზავნილი შუამავალი – სარუ ხოჯა ბოლოს პატივაყრილი *„ქვეითად გაუშვეს და დიდის მუქარით დაარიგეს, რომ მეორედ აღარ მოსულიყო"* და *„ასე, შეურაცხოფილი მივიდა... შაჰთან".* მაგრამ, როგორც **არაქელ თავრიზელი** წერს – გამოჩნდა **შადიმან ბარათაშვილი** – *„ბოროტების მსახური, წყეულის შვილი, ეშმაკისაგან აღძრული, სატანის წაქეზებით მოვიდა თბილისიდან ხელმწიფის ბანაკში და უთხრა შაჰს: „ თუ შენი უდიდებულესობის მიზანია ლუარსაბის მოყვანა... წავალ და მოვიყვან მას შენთან..." იგი მირონცხების მადლით არის ჩემი ნათლული და ჩვენ ურთიერთშორის დიდი ნდობა გვაქვს... იგი დაუჯერებს ჩემს სიტყვას".* ამ სიტყვებმა, ბუნებრივია, დიდი სიხარულით აღავსო ვერაგი შაჰი და ***„იმ კაცს აღუთქვა დიდძალი განძი, მრავალი საჩუქარი და დიდი პატივით განდიდება, თუ მოიყვანდა ლუარსაბს".*** ასე ითამაშა იუდას როლი სამშობლოსა და მეფის გამყიდველმა, რომლის სახელიც ქართველი ერის ცნობიერებაში შევიდა, როგორც მოღალატისა, გამცემლისა... ლუარსაბ მეფის დატყვევებაში დიდი მოურავი რომ არაფერ შუაშია, როგორც ჩანს, კარგად იცოდა ბესარიონ ქართლის კათალიკოსმა, ამიტომაც თავის სასულიერო-საეკლესიო ჟანრის შესანიშნავ ნაწარმოებში – **„ლუარსაბ მეფის მარტვილობა"**, რომელიც მე-XVII საუკუნის 20-იან წლებში შეიქმნა.

„ლუარსაბის მარტვილობაში" სხვა მოვლენებთან ერთად აღწერილია „ოსმალო-თათარხანის" ჯარის მოულოდნელი შემოსვლა მტკვრის ხეობით თრიალეთზე, ქართლში, როცა მეფე ლუარსაბი ცხირეთს დგას მცირე ამალით. ყველაზე საინტერესო და მრავლისმეტყველი ისტორიული პასაჟი: როდესაც „განკრთეს" მტრის ურიცხვი ლაშქრის მხილველნი ***„მცირედი ტაძრეული მეფისა მოულოდნელობისაგან"*** და თვით მეფე ლუარსაბმა, როგორც ღრმად მორწმუნემ, მხოლოდ უფალს მიანდო თავისი ქვეყნის ბედი. წმინდანი მეფის გვერდით ერთადერთი უაღრესად დადებითად დახასიათებული მეფის ერთგული და მხარშიმდგომი მხოლოდ დიდი მოურავი – გიორგი სააკაძეა: ***„ხოლო მოურავი გიორგი, სააკის ძე, ქველი იგი მხედარი და უშიში გონებითა, რომელი სიმხნითა და ახოვანებითა ზეშთა ჰმატდა ყოველთა კაცთა, თანაჰყვა მეფესა და იგინიცა მუნ მიიწიეს...".*** შემდგომ ამისა, აღწერილია ტაშისკარის „ომი ფიცხელი" და ***„ მოსცა ღმერთმან სანატრელსა ამას მეფესა და ქართველთა „ძლევა მტრისა"*** და ა.შ. ისტორიკოსებისთვის ცნობილია ამ ბრძოლის პერიპეტიები. ისმის კითხვა: თუ გიორგი სააკაძე მოღალატეა ლუარსაბ II-ისა და სამშობლოსი, თუ დიდი მოურავის წინააღმდეგ მისი მტრების ბრალდება მართალია, მაშინ როგორ მოხდა, რომ ქართული ეკლესიის მიერ წმინდანად შერაცხული ლუარსაბ მეფის „მარტვილობაში" მოხვდა მისი ვითომდა „დაუძინებელი მტერი" გიორგი სააკაძე, და მოხვდა არა უარყოფით პერსონაჟად, არამედ უაღრესად დადებით პიროვნებათა გვერდით (ლუარსაბ მეფის მშობლები, დები, ხუცესი სვიმეონი, იგივე მღვდელი თევდორე კველთელი), დადებითი თვისებებით დახასიათებული და შემკული: ***„გიორგი სააკისძე, ქველი იგი მხედარი",*** ასევე „უშიში გონებითა", რომელიც ***„სიმხნითა და ახოვანებითა ზეშთა ჰმატდა ყოველთა კაცთა".*** ასეთი გმირი, რაინდული თვისებებით აღჭურვილი დიდი მოურავი, მუდამ მეფის გვერდითაა მძიმე წუთებში, როცა „ულონობამან მოიცვნა" მეფეც და მისი თანმხლები ამალაც, გიორგი სააკაძე „თანაჰყვა მეფესა". ბესარიონ კათალიკოსის ამ სასულიერო ნაწარმოებიდან ჩანს, რომ სწორედ მეფის და „სიმხნით და ახოვნებითა" გამორჩეული მისი მხედართმთავრის ერთიანობით მოიგეს ქართველებმა ტაშისკართან თუ ახალდაბასთან რიცხვმრავალ მტრის ლაშქართან უმძიმესი ბრძოლა ბრწყინვალედ. თუ გიორგი სააკაძე ერის მოღალატე იყო და მეფე ლუარსაბ II-ის მტერი, რატომ შეიყვანა ბესარიონ კათალიკოსმა „ლუარსაბ მეფის მარტვილობაში" მეფის და ქვეყნის მოღალატე, მტერი? ან რატომ არ ახსენა სადმე, რომ დიდმა მოურავმა მეფეს ოდესმე უღალატა? **ბესარიონ კათალიკოსი, ბარათაშვილი-ორბელიშვილი** ხომ გიორგი სააკაძის შემდგომ ეპოქაში მოღვაწეობდა. ბესარიონ კათალიკოსი ბარათაშვილ-ორბელიშვილების ცნობილი თავადური გვარის წარმომადგენელია, რომლებიც მტრობდნენ გიორგი სააკაძეს (მაგ. შადიმან ბარათაშვილი). ამასთან, ბესარიონ კათალიკოსი ფრიად განსწავლული, ქრისტეს რჯულისთვის და საქართველოსთვის უერთგულესი მებრძოლია და იმდროინდელი ივერიის საკმაოდ ავტორიტეტული და პატივცემული პიროვნებაა. იგი 1680-1723 წლებში გარეჯის მონასტრის ბერ-მონაზონია. ბესარიონ კათალიკოსი ღრმად გარკვეულია ისტორიულ მოვლენათა ნიუანსებში და ამიტომ შემთხვევითი არ არის, რომ გიორგი სააკაძის ტრაგიკულად აღსრულებიდან დაახლოებით ერთი საუკუნის შემდეგ, იგი დიდ მოურავს უშიშარ მხედრად, გონიერებით თუ ახოვანებით სხვებთან შედარებით ბევრად აღმატებულად და მეფე ლუარსაბის ერთგულ თანამებრძოლად ახასიათებს. განა შეიძლება, რომ დავით გარეჯის უდაბნოში ბერ-მონაზვნურ ცხოვრებაგამოვლილ, მაცხოვრის რჯულის ერთგულ მხედარს, ქართლის კათალიკოსს ტყუილი ეკადრა და გიორგი სააკაძის სიკვდილიდან ერთი საუკუნის შემდეგ შესანიშნავი სასულიერო-საეკლესიო ნაწარმოები სიცრუით გაეჯერებინა, მოღალატე და იუდა მამაც მხედართმთავარსა და მეფის ერთგულ თანამებრძოლში შეშლოდა? პასუხი ერთია, რა თქმა უნდა, არა!

**პლატონ იოსელიანი** თავის მონოგრაფიაში საინტერესო ეპიზოდს გვაწვდის ლუარსაბ მეფის და გიორგი სააკაძის ურთიერთობის შესახებ: ***„შაჰ-აბასმა შენიშნა, ლუარსაბ მეფის ბედზე მოლაპარაკების დროს, იმერეთის ელჩები გიორგი სააკაძეს წმ. გიორგის სახელითა და მისი სასწაულმოქმედი ხატით აფიცებდნენ, იმერეთის დაბა მრავალძალში, რომელიც იმერლების უდიდესი სათაყვანებელი სალოცავი იყო..."*** ამ ცნობაში ყურადსაღებია ის ფაქტი, რომ სპარსეთში გადახვეწილი დიდი მოურავი ისევ ქრისტეს სჯულის მტკიცე მიმდევარია. ეს ამბავი 1615 წელს უნდა მომხდარიყო და უცხოეთში 1612 წლიდან მყოფი გიორგი სააკაძე მაცხოვრის ერთგულია და წმიდა გიორგის სასწაულმოქმედ ხატზეც იმიტომ აფიცებენ, რაც ვერაგმა და მზაკვარმა შაჰ-აბასმა მშვენივრად შენიშნა თავის ხელქვეითში. ამასთან, „შენიშნა" უფრო მრავლისმეტყველი სიტყვაა მთელ კონტექსტში. კერძოდ, როგორც ჩანს, სისხლისმსმელი შაჰ-აბასი ყურადღებით ადევნებს თვალყურს გიორგი სააკაძის თითოეულ ნაბიჯს, ურთიერთობას მშობელ ხალხთან... არ ენდობა მას ბოლომდე და თითქოს მუქარის ნიშნად მრავალძალის ეკლესიას „ოქროთი მოოჭვილ" თავის ხმალს შესწირავს. ვახუშტი ამ ფაქტს ასე განმარტავს: ***„არათუ სარწმუნოებით, არამედ სცნან, რამეთუ ჴრმალი მისი ჰკიდავს მუნ"*** ე.ი. „ირანის ლომმა" ქრისტეს რწმენით და სიყვარულით კი არ გადასცა მრავალძალის წმინდა გიორგის ეკლესიას თავისი „მდიდრულად შემკული ხმალი", არამედ იმის ხაზგასასმელად, არაფერი შეგეშალოთ ქართველებო, თორემ ამ ხმლით წარიკვეთება თქვენი თავებიო. ეს კარგად ეცოდინებოდა შაჰის კარზე უკვე სამი წლის ნამსახურებ გიორგი სააკაძეს. ცხადია, ამ მომენტისათვის ირანის ხელმწიფეს უკვე გადაწყვეტილი აქვს გულში ლუარსაბ მეფის ბედი, მხოლოდ მომენტს არჩევს მისი „მშვიდობიანად მოშორებისა...", შაჰმა კარგად იცოდა ლუარსაბ მეფისა და გიორგი სააკაძის ძველი ურთიერთობა, სანამ „ქვეყნის არევის მოყვარე კაცები" ერთმანეთს გადაკიდებდნენ ქართლის მეფესა და მის ერთგულ დიდ მოურავს. საკმარისია გავიხსენოთ, 1608 წელს მეფე ლუარსაბის „წყალობის წიგნში" ნათქვამი: ***„ჩუენსა ერთგულსა და თავდადებით ნამსახურსა ყმასა სააკაძესა ქალაქის ამირთ-ამირას გიორგის".*** დავაკვირდეთ როგორ ამკობს ახალგაზრდა ქართლის მეფე დიდ მოურავს ეპითეტებით: ***„ჩვენს***

გაგრძელება გვ.4 ▶

ომაზ ჩხეიძე

# „ბანბანერკა“

საახალწლოდ, სარვამარტოდ თუ დაბადების დღეებზე, მეუღლისთვის თავიდან საჩუქრები მიმქონდა, მაგრამ იმდენი უსიამოვნება შემხვდა ამის გამო, გახსენება მზარავს. ნაყიდობა უმალ ცოლისა და სიდედრის ოჯახის წევრების სიმხიარულის საგანი ხდებოდა. ჩემი ნაცემ-ნაგვემი და შეურაცხყოფილი გემოვნება საოჯახო მატიანის დაუვიწყარი სახალისო მოგონებების სიაში თვალსაჩინო ადგილს იკავებდა. ამიტომ, აუტკივარი თავის არასატკივებლად, საერთოდ, ავკრძალე საჩუქრების ყიდვა და ასეთ შემთხვევებში მეუღლეს ფულს ვაძლევდი ხოლმე, ჯენტლმენური წინადადებით – თავისი გემოვნებით, თვითონ ეყიდა, რაც სურდა.

ბოლო წლებში კი, შექმნილი დუხჭირი გარემოებებისაგან გამოწვეული გასაგები მიზეზებით, აღარაა ფულის მიცემის საშუალებაც.

ასე გაიარა რამდენიმე წელმა.

და აი, ამ ახალი წლისთვის კი შორეული, პერსპექტიული სამზადისის, ყაირათისა და თადარიგის წყალობით, მოვახერხე ხუთი ლარის მოგროვება. სხვაგვარად არ შეიძლებოდა – უკვე კარგახანია დაიწყო მესამე ათასწლეული...

ესე იგი, ფული არის, მაგრამ არა იმდენი, საჩუქრებად რომ ღირდეს. რაიმე უნდა ვიყიდო, მე ხომ ღლაპი აღარ ვარ? უკვე, შუა ხანს გადაცილებულ, დაბრძენებულ მამაკაცს ხალხი ჭკუას მეკითხება. ბოლოს და ბოლოს, დროა მოწინააღმდეგეებს დავუმტკიცო, – არც ისეა საქმე, მაგათ რომ ჰგონიათ.

... ბაზრობაზე გავედი. დაკვირვებული თვალით ვათვალიერებდი ხუთლარიან საჩუქრებს. „კოლგოტკების“ ყიდვა საშიშია, – ვეუბნები ჩემს თავს, – რადგან, ახალგაზრდობის დროინდელი, ტურბაზული ცხოვრებიდან, კარგად მახსოვს, როგორ იოლად გამოდიოდნენ მწყობრიდან. საფულეც არა! მეც ახლა იმდენი ფული მიმაქვს სახლში, რომ აღარ იცის, სად დატიოს. ცხვირსახოცები შეიძლებოდა, მაგრამ გარეცხვისას ფერი რომ გაუვიდეს?

ამ დროს, დავინახე, ფურგონ „მოსკვიჩს“ მისეოდა ხალხი – „ბანბანერკებს“ ყიდულობდნენ. თვალს მოგჭრიდათ მათი მრავალფეროვნება. ჩემს თავს შევუძახე: – სწორედ ახლა მჭირდება გონიერება-მეთქი. სიდედრის ოჯახში გაგონილი მქონდა – „რა თავში სახეთქად მინდა თურქული“-ო, ესე იგი, თურქული არ უნდა იყოს. ისიც მახსოვდა, რუსულ კამფეტებს რომ სიმპათიით იხსენებდნენ და ჩამოვყალიბდი – შორს, თურქული, გაუმარჯოს რუსულს!

ნაირ-ნაირ ასორტიმენტში ერთ „ბანბანერკას“ დავადგი თვალი. ზემოდან ეწერა „ს ნოვიმ გოდომ“ და ეხატა თოვლში ჩაწყობილი ულამაზესი ყვავილები, თანაც, ზომით ყველაზე დიდი იყო. იქნებოდა ასე 45X35 (სმ) ესე იგი, შიგ ბევრია და მალე არ გამოილევა. უკანა მხარეზე ამოვიკითხე: „შოკოლადნი მირ“ და „პოდაროჩნი ნაბორ შოკოლადნიხ კამფეტ“. ჩემს დაკვირვებულ თვალს არ გამოჰპარვია წარწერა – „მოსკვა“, რომელსაც ამტკიცებდა ინდექსი 46, ანუ წყალი არ გაუვიდოდა იმას, ნამდვილად რუსული რომ იყო. გამოშვების თარიღიც ვნახე – მიმდინარე წლის 14 დეკემბერი, ესე იგი, სულ ახალია! ერთი სიტყვით, სწორედ ის იყო, მე რომ მჭირდებოდა, თანაც 4 ლარი ღირდა, ანუ ლარი მრჩებოდა.

საკუთარ თავში ღრმად დარწმუნებულმა, „ბანბანერკა“ გარაჟში დავმალე. ვიხსენებდი ჩემს ძველ ნაყიდობებს და ვფიქრობდი იმაზე, თუ რამხელა შეცდომას სჩადიან, როდესაც 27-35 წლის ღლაპებს ნიშნავენ თანამდებობებზე. არა, არა, ასაკს გამოცდილება, სიბრძნე მოაქვს...

... ისარი 12-ს რომ მიუახლოვდა, საჩუქარი ამოვიტანე და საზეიმო ვითარებაში, ამაყად გადავეცი მეუღლეს. ამ დროს, ჩემმა ბექამ, შუშხუნების ბათქები ატეხა, შემდეგ ტელეფონების ზარები და მეკვლეც მოვიდა – ხმაურით შემოაღეს კარი ჩემმა ცოლისძმამ დათომ, მისმა მეუღლემ მარინამ და შვილმა ანიმ. ტრადიციული ცერემონიალის და მეკვლის სადღეგრძელოს შემდეგ „ბანბანერკა“ მარინას ყურადღების არეალში მოექცა.

– ვინ მოგართვათ?

– მე! – ვთქვი ამაყად და სტუმარს შევხედე.

სრულიად მოულოდნელად, მის თვალებში ჭინკამ გაიელვა. უმალ ჩემი მეუღლისკენ გავტყორცნე მზერა... ერთმანეთს მიჩერებულები, სიცილს დიდი გაჭირვებით იკავებდნენ.

– „ნუთუ ჩემს „ბანბანერკას“ დასცინიან?“ მომედო ალმური. ვერაფერი გავიგე.

– რამდენი მიეცი. ორი ლარი? – თვალი თვალში გამიყარა ცოლმა.

– რა ორი, რის ორი, ხუთი გადავიხადე, – წავუმატე ლარი.

– შენ ხომ არ გაგიჟდი? რამ მიგაცემინა მაგაში ხუთი ლარი?! აბა, ბავშვი დაიფიცე...

– როდის იყო ასეთ უბრალო რამეზე ვიფიცებდი ბექას? – ბრაზიანად ვთქვი და მარინას შევხედე. „სალფეტკი“ ტუჩებზე აეფარებია და მზერას მარიდებდა.

„ბანბანერკას“ დავხედე – ერთ რამედ ღირდა. რაც მთავარია, სილამაზესთან ერთად იმხელა იყო, ძლივს ეტეოდა მაგიდაზე. – „რა აქვს ამას დასაცინი?“ – გავიფიქრე, მთლად დაბნეულმა.

– ხალხი მისეული იყო. ერთმა აზერბაიჯანელმა 18 ცალი იყიდა...

– ჰოდა, ერთნაირი გემოვნება გქონიათ, – დაასკვნა ღიმილით მეუღლემ, – ვერ ხედავ, რომ ფალსიფიცირებულია?

ამის მოთმენა უკვე შეუძლებელი იყო:

– რას ამბობ?! – ვიყვირე გაშმაგებით, – სად გაგონილა შოკოლადის ფალსიფიკაცია, „ბორჯომი“ ხომ არ არის?..

– არა უშავს, ხომ არაფერს გეუბნები...

– რა გაქვს სათქმელი, აკადემიკოსი რომ გგონია თავი. ესე იგი, შენი აზრით, ის ამხელა ხალხი სულელი ყოფილა?

ჩემი ნათქვამი ძალზე დამაჯერებელი მეჩვენა და მარინასკენ გავაპარე თვალი.

ძლივს აგროვებდა ტუჩებს.

– „ჰმ! ხედავ, რა მაღალ დონეზე გაუვლია ჩემი სიდედრის სკოლა?“ – მოვიკვნიტე ტუჩები და განვაგრძე მისი ეჭვიანად თვალთვალი, – როგორ გაეშმაკებულა, ისე უჭირავს თავი, თითქოს სრულიად არ აინტერესებს „ბანბანერკის“ ამბავი, ერთი ჩემს გულში ჩაახეda.“

რაც ყველაზე მეტად მაცოფებდა, რძალ-მული შესაშური სოლიდარობით იყვნენ შეხმატკბილებულნი და თვალებით, უსიტყვოდ ელაპარაკებოდნენ ერთმანეთს. დათო ტელევიზორს უყურებდა. ანი და ბექა თამაშობდნენ...

„ბანბანერკა“ ავიღე და მომლიმარი მზერის ქვეშ დაკვირვებით დავათვალიერე. მხრები ავიჩეჩე და გადავაბრუნე. შოკოლადები ხმაურით ჩაგროვდნენ ქვევით და მუყაო გამოიბერა. აქ კი ორივეს ხარხარი აუვარდათ. მარინა კურცხალ ცრემლებად იღვრებოდა. „ბანბანერკა“ ერთ ხანს უხერხულად მეჭირა ხელში, მერე კი გადმოვაბრუნე მაგიდაზე, სწორად დასადებად. შოკოლადები ამჯერად მეორე მხარეს ჩაიყარნენ.

ხარხარმა რომ ისტერიული ხასიათი მიიღო, მდგომარეობის გამოსასწორებლად ვთქვი:

– მოდი, გავხსნათ, ვნახოთ, თუ ასე სასაცილოა...

– რა არის მანდ სანახავი, უბრალო შოკოლადები იქნება, – თქვა მეუღლემ და ზევიდან რაღაცას დააკვირდა – 400 გრამიაო, – აწერია. მეტი არაა ჩემი მტერი. სასწორი მოიტანე – გასძახა ბექას.

გაოგნებული ვუყურებდი ამ სცენას. „ბანბანერკის“ აწონვა აღარ გამიგია!

– ოჰო! მართლაც 400 გრამი ყოფილა, – თქვა ღიმილით.

შვებით ამოვისუნთქე.

– რა ვიცი, კაცმა რომ გკითხოს, ფალსიფიცირებულიაო...

– ჰო, ფალსიფიცირებულია, ვერ ხედავ? ეს დაწებებული რომ არის, კომპიუტერით აკეთებენ...

„ოჰ, ღმერთო, რა დაგიშავე, ამათ ყბაში რომ ჩამაგდე! ნეტავ „ბანბანერკა“ კი არა, საერთოდ არ მენახა ახალი წელი!“

– უნდა გავხსნა! – ავტყდი, არ ვიცი, რატომ – ვნახოთ ერთი, თუ ეგრეა საქმე.

– რას ამბობ, რა უნდა გახსნა, ვინმეს მაინც ვაჩუქებ...

– ჯობია დააზღვიო – მირჩია დათომ.

ნერვებაშლილმა ავიღე და იატაკზე გადავისროლე. შოკოლადები კვლავ ახმაურდნენ. მარინას ტორტის ლუკმა პირში გაჩხეროდა და სულს ვეღარ ითქვამდა. ცრემლები ნიაღვრად მოსდიოდა. ნაწყენი სახით შევხედე. თვალი მოჰკრა ჩემს მზერას და სკამზე გადაიკრუნჩხა.

მეუღლის მიერ მაგიდაზე დადებული „ბანბანერკა“ კვლავ ავიღე და უფრო შორს გავისროლე.

– რას შვები, სულ გააფუჭებ, – ძლივს გამაგებინა სიცილისაგან გადაბჟირებულმა ცოლმა და „ბანბანერკა“ გახსნა.

ერთი შოკოლადი ამოვიღე და ჩავკბიჩე.

– ნახეთ, რა შესანიშნავია! სწორედ ისეთია, მე რომ მიყვარს...

– ჰოდა, სულ შენი იყოს...

ოთხი ცალი უაზროდ მივირთვი, რათა დამემტკიცებინა, რომ დიდ შეცდომას უშვებდნენ მის შეფასებაში. ბექას და ანის შევთავაზე – სასტიკი უარი მივიღე. მარინასკენ გავაჩოჩე, – ხელები გაასავსავა და ცრემლები მოიწმინდა.

მეხუთის შეჭმა ძალიან გამიჭირდა.

– მამაჩემს მივცემ, ქათმებს ჩაუტანოს... – ვთქვი განადგურებულმა.

– სადა მყავს დასახოცი ქათმები! – იყვირა გადაბჟირებულმა ცოლმა.

წინასწარი განზრახვის გარეშე, ჩემდა უნებურად, აი, ასეთი დადებითი ემოციებით შევახვედრე ახალ წელს ჩემი ახლობლები.

# სადღაა ვამბობ, სააკაძე – ქართლის ცეზარი“?!..

◀ დასაწყისი გვ. 2,3

*ერთგულსა“, „თავდადებით ნამსახურსა“.* ამ დროს სხერტის ჭალის და ტაშისკარის ბრძოლები ჯერ არ მოუგია გიორგი სააკაძეს და, მეფისგან უკვე აღზევებულია, დაფასებულია, ნაქებია. წარმოვიდგინოთ დიდი მოურავის სახელი და ღირსება ოსმალო-თათარხანთან ზემოთნახსენები ომების შემდეგ და მისი „ბედნიერი ოპოზიციის“ შურ-ბალღამით სავსე ფიალები, რომლებიც ნავკისის შეთქმულებისას დაიღვარა, რამაც ქართველთა სწორუპოვარი მხედართმთავრის და მამულიშვილის სამშობლოდან გაძევება-გადახვეწა გამოიწვია. არადა, იმდროინდელ ფეოდალურ საქართველოში არც ამირთ-ამირობა და არც მოურავობა არ ყოფილა ყველაზე „მნიშვნელოვანი სახელო“. მასზე უფრო მნიშვნელოვანია ვაზირობა, სახლთუხუცესობა და ა.შ. აქედან შეიძლება დავასკვნათ, რომ გიორგი სააკაძის ხელში მოურავობამ განსაკუთრებული მნიშვნელობა და შინაარსი შეიძინა, ე.ი. თვითონ პიროვნებამ განადიდა თანამდებობა და ამიტომ იწოდებოდა კიდეც „დიდ მოურავად“, რაც მის პიროვნულ აღმატებულებასაც გამოხატავდა. სწორედ თავისი დიდი მამულიშვილური და პიროვნული თვისებებიდან გამომდინარე აქცია გიორგი სააკაძემ მოურავის თანამდებობა „დიდ სახელოდ“ ფეოდალურ საქართველოში, რომელიც არ შეესაბამებოდა ქართულ სამოხელეო წყობილების სამართლებრივ სივრცეს, და მეფის შემდეგ „პირველ კაცად ჩანდა“, ანუ, როგორც ბესარიონ ქართლის კათოლიკოსი ბრძანებს, „ზეშთა ჰმატდა ყოველთა კაცთა“.

დიდი მოურავის უჩვეულო განდიდების მაჩვენებელია აგრეთვე ისიც, რომ 1620 წლით დათარიღებულ ქართული სამართლის ძეგლში – **„სასამართლოს განაჩენი დიდი მოურავისა და ჯავახიშვილის საქმის გამო“** – გიორგი სააკაძე ყოველთვის „ბატონის“ ტიტულით არის მოხსენიებული, მაშინ, როდესაც მის მოწინააღმდეგე, ქაიხოსროს მიმართ – მხოლოდ „ჯავახიშვილი“-ს აღნიშვნით კმაყოფილდებიან, მიუხედავად იმისა, რომ ჯავახიშვილები საკმაოდ მაღალ ფეოდალურ გვარს მიეკუთვნებოდნენ. დამაფიქრებელი შეფარდებაა ზემოაღნიშნული. როგორც ჩანს, ბესარიონ კათალიკოსი კარგად იცნობდა მე-XVII საუკუნის საისტორიო მწერალთა, ქართველ თუ უცხოელ მემატიანეთა თხზულებებს (ბერი ეგნატაშვილი, იოსებ თბილელი, ფარსადან გორგიჯანიძე, ისქანდერ (მუნში) და სხვ.), კარგად იცნობდა იმ ეპოქას, რომელშიც მოღვაწეობდა დიდი მოურავი. ბესარიონ კათალიკოსს, ასევე ჰქონდა სწორი სახელმწიფო აზროვნება და იცოდა, რომ ეროვნული ძალების იდეა – საქართველოს გაერთიანებისა მეფის ცენტრალური ხელისუფლების ქვეშ, იყო ერთადერთი სწორი გზა ივერთა ქვეყნის ხსნისა, რამეთუ მეფე *„კრავდა კავშირს მიწასა და ზეცას შუა“.* ამიტომაც საქართველოს ერთიანობისათვის მებრძოლ გმირს მან სათანადო პატივი მიაგო და წმინდანად შერაცხული მეფე ლუარსაბის მარტვილობაში მომავალ თაობას დაუტოვა *„მხედარი უშიში გონებითა“*, რითაც გაფანტა ყოველგვარი ეჭვი დიდი მოურავის „დანაშაულისა“ მეფის წინაშე. ჟამთა სიავის მიუხედავად კი, უფალმა უბოძა ქართველ ერს 1625 წლის 7 აპრილს (25 მარტი ძვ.სტ.), ხარება დღეს, სწორედ გიორგი სააკაძის თავგანწირვითა და ხელმძღვანელობით გაემარჯვა ყიზილბაშთა მრავალრიცხოვან ლაშქარზე მარტყოფში – ულეველას (ულევარას) ველზე. იქვე მდგომ აპარანის წმინდა გიორგის სახელობის საყდარს დღესაც ახსოვს გამარჯვებულ ქართველთა ყიჟინა და დიდი მოურავის ლომური შეძახილები. მარტყოფის ომში სრულიად საქართველო მონაწილეობდა, მათ შორის, იმერელთა, გურულთა და მეგრელთა რაზმები.

მარტყოფის ბრძოლის შესახებ **ნიკოლოზ ბარათაშვილი** ბრძანებს: ***„მარტყოფი ეს არის ის, რისთვისაც მოევლინა... სააკაძე ამ ქვეყანას. მარტყოფი საქართველოს გადარჩენაა...“***

მარტყოფის მისტერიული ბრძოლისთვის გიორგი სააკაძე მთელი თავისი შეგნებული ცხოვრების მანძილზე ემზადებოდა, რადგანაც ასეთ ომს ვერც ორი დღის და ვერც ორი თვის სამზადისით ვერ მოიგებ თუ იმდროინდელ ინფორმაციის გადაცემის საშუალებებს წარმოვიდგენთ. დიდმა მოურავმა მარტყოფის ველზე გამარჯვება უდიდესი პირადი ტრაგედიის ფასად შესძლო – შვილი **პაატა** შესწირა სამშობლოს. მსგავსი რამ მსოფლიო ისტორიაში **აბრაამის ისაკივით** შეწირვისა ისევ ქართველმა გაიმეორა...



კადრი კინოფილმიდან „გიორგი სააკაძე"

1625 წლის 7 აპრილს, ხარება დღეს, ქართველთა გამარჯვება, ყიზილბაშთა რჩეულ ჯარზე, ერთადერთ, დიდგორის გამარჯვებას შეიძლება შევადაროთ. 1629 წლის 3 ოქტომბერს, თურქეთში, დიდი მოურავის სიკვდილით დასჯის ნამდვილი მიზეზი სამშობლოში გამოპარვის მცდელობა იყო და **ალთუნ კალაში** („ოქროს ციხეში“) მის მიერ გამოგზავნილი იარაღი და ძვირფასეულობა, რომლითაც საქართველოს გაერთიანებისათვის ახალ აჯანყებას გეგმავდა **ლევან II დადიანთან** ერთად... რაც დღეს დასტურდება ირანულ-თურქული და ევროპული წყაროებით.

რაც შეეხება აბსურდულ ბრალდებას, – სააკაძის მიერ ისლამის მიღების შესახებ 1620 წელს, ვითომ, 1612 წელს, დიდი მოურავის წინააღმდეგ მომხდარი შეთქმულების შემდეგ, ირანის გზას დასდგომია და ესწრაფვის თურმე შაჰი მასთან შეხვედრას. 1612-1620 წლებში, სააკაძე საქართველოშიც იყო ჩამოსული (და წასულიც ირანში), ირანის ჯარის სარდალიც იყო და ბაღდათის აღებაში თუ სხვა ბრძოლებშიც თავი გამოიჩინა. 1620 წელს სააკაძეს რომ ისლამი არ მიუღია, იტალიელი **პიეტრო დელავალეს** შემდეგი წერილი ადასტურებს: ***„...მიუხედავად იმისა, რომ მოურავი ჯიუტი და მტკიცე მიმდევარია ქრისტეს სარწმუნოებისა, შაჰ-აბასი მაინც კარგად ეპყრობა მას და გულუხვად აჯილდოებს... ბატონ მოურავს ემორჩილება მის სამშობლოში განლაგებული ჯარები...“*** ახლა თვითონ ირანელ მეისტორიეს **ისკანდერ ბეგ თორქემანს**, იგივე **მუნშს** მოვუსმინოთ: ***„... ბედუკუღმართი მოურავი, რომელიც მხოლოდ დროსა და გარემოების მიხედვით აღიარებდა ისლამს და ხელი არ აუღია ქრისტიანობის რჯულზე, ქართველებს... შაჰის ერთგულების გზას გადაახვევინა“...*** და აჯანყდა ირანელთა ძლევამოსილების წინააღმდეგ. ეს წერილი 1625 წლით თარიღდება... შემდგომ წლებში იგივეს წერს დიდი მოურავის ქრისტიანობაზე (უკვე თურქეთში მყოფზე) უცხოელი მისიონერი **არქანჯელო ლამბერტი...** ამიტომ ზოგიერთი ნილბიანი ნაცვალსახელი სააკაძის ისლამზე მომნათვლელ მოლად ნუ გამოხვალთ...

ბესარიონ კათალიკოსს თავის **„წყობილსიტყვაობაში“** უაღრესად კარგად ახასიათებს **კათალიკოსი ანტონ I** (*ბაგრატიონი*): ***„ბესარიონმან - კაცმან მაღალგონებამ, მონაზონებრთაგან შრომათგან ნეტარმან... ქართველ წმიდათა მოთხრობა-ისტორია... საწად იყვნეს მსმენელთა“*** და ა.შ. არადა, ანტონ I გვევლინება დიდი მოურავის უპირველეს კრიტიკოსად, მოღალატედ შემრაცხავად, დაუძინებელ მტრად. თუმცა აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ანტონ I-ს არც **შოთა რუსთაველი** მოსწონდა, არც **სულხან-საბა ორბელიანი** და არც **იოსებ ტფილელი.** იგი გენიალურ რუსთაველზე ბრძანებს: ***„ამაოდ დაშვრა საწუხარს ესე“.*** თუ „ვეფხისტყაოსანი“ საწუხარია, მაშინ გიორგი სააკაძისადმი მისი დამოკიდებულებაც არ არის საკვირველი. საკუთარი დიდი შვილებისადმი ჰიპერკრიტიკული მიდგომა წესად გვქონია ქართველებს...ალბათ, დადგა დრო საქართველოს ისტორიის ფსიქოლოგიური ანალიზისა.

1921 წლის 18 თებერვლით დათარიღებულ ლექსში **კონსტანტინე გამსახურდია,** როცა საქართველოს ლიბერალ-ბოლშევიკთა არმია უტევდა, მშველელად ისევ დიდ მოურავს უხმობს: **„დღეს ჩვენთან მოვა ქართლის დაცვას ვინც მოისურვებს, სადღაა, ვამბობ, სააკაძე – ქართლის ცეზარი?“** სამაგიეროდ დღეს უგვანო ნაცვალსახელებად ქცეულები უტევენ ქართულ ცნობიერებას. წერილი კი მინდა დავასრულო სრულიად საქართველოს კათოლიკოს პატრიარქის **ილია მეორის** სიტყვებით: **„... ვფიქრობთ, სამშობლოს სიყვარული მისთვის უმთავრესი იყო. ღმერთმა შეიწყალოს გიორგი სააკაძის უკვდავი სული“.**

ამინ!

# ნათია ჭინჭარაული

***

და ჰა, უსიტყვო სურვილთა ქვევრიც...
მივლებ სიჩუმის კედელს ქავისებრს...
თუმც ცხოვრებაში შეგხვდება ბევრი,
ჩემებრ ვერცერთი გაგითავისებს.

გამწირეს შენი მკლავის ყულფებმა
ისე ცხადად და დანამდვილებით,
როგორც ხმელ ფოთლებს ჭირისუფლებად
თავს დასდგომიან ხეთა ჩრდილები.

სადაც წვრილია, ძაფიც იქ გაწყდეს,
ან დამაბრმავოს მზერის სიელვემ,
ოღონდაც, როცა წასვლას გადაწყვეტ,
გთხოვ, ნუ დატოვებ სიცარიელეს!

***

ჩვეულებრივი დღე გათენდა რუტინულ წყობით,
ჩუმად ვარ, რადგან მოვიძულე ყველა და,
ყოვლის
მომსწრე რაც გახდა სანუგეშო
გულმავიწყობით -
ცას – ენის წვერზე მოადგა თოვლი...

***

დღემდე ღია გაქვს სახლის კარები
ქრიან ქარები გარეთ თუ შიგნით,
შენ რჩები, როგორც გადაუშლელი
მტვრიანი წიგნი...

მოდიან სხვები... სიტყვების გარდა
შეხედვაც ჰყოფნით ადამიანებს
და ხვდები, ალბათ, ვინც შეგიყვარდა
ის სულ ყოველთვის დაიგვიანებს...

ზამთარმაც თოვლი თუ არ ჩამოცრა
არ გაიყოლო წყენა სამი თვის....
ყველა ვგრძნობთ, რაღაც ისეთ საოცარს,
რომ გვინდა მხოლოდ ჩვენი თავისთვის..

***

დახეთქილია ჩემს ფეხქვეშ მიწა
და მეშინია უფსკრულად მექცეს...
როგორც სნეული, ცა ისე იწვა
და მე წყალივით ვაწვდიდი ლექსებს...
გამოვიგონე, რომ ეს დღეა ყველაზე გრძელი
და ყოველ საათს ერთი ორად იწყებს მატებას..
დგას ჩემს საწოლთან ისე, როგორც სიზმრების
მცველი
შენი უაზრო აკვიატება..

***

რაც მაქვს – ჰკიდია სარეცხის თოკზე,
მაისურს ფერი ამინდზე მუქი
აქვს და კაბაა დღეებზე მოკლე
მოკლე და, ალბათ, უფრო მსუბუქი.

ზამთრის სიცივეს შეიშრობს ტანზე
კაბა ფერადი, კაბა იებით...
გაზაფხულივით გამდგარა განზე
ჩემი ყოფითი მისტერიები.

***

ჯერ ცოცხალი ვარ!
მეტი რაღა უნდა დავწერო?!
აქ ზედმეტია სახელები, დრო ან რიცხვები,
ეს გზა გველივით დაკლაკნილი მისდევს
სატევროს,
და მის ჭრელ ტყავში შემოღწეულ მზეს
ვეფიცხები.

ჯერ ცოცხალი ვარ და ყოველდღე სურვილებს
ვბადებ,
ან თუნდაც ამბებს, ნამდვილს, განა ვინმეს
მონათხრობს.
წყალში თუ ცუდად გაისროლე გაშლილი ბადე,
იმ წყლის ქვეშ მშვიდად მობინადრე თევზებს
დააფრთხობ. –

ჯერ ცოცხალი ვარ!
ნისლიანი დღე მიდგას ბლანტი,
ან თუ ოდესმე წამლის სუნიც შეჭამს
პალატებს,
არც მიფიქრია, დამიჯერე, ვინმეს ღალატი,
ამით მე მხოლოდ საკუთარ თავს
დავალალატებ.

***

სიცივე,
დალევა,
ჯახირი..
ცხოვრება უღმერთო,
ღამე,
ჭა...
კარს მოდგა ქარების ნახირი
და ხმელი ფოთლები გალეჭა..
სიკვდილი
შვებაა
ნამდვილად:
ხო მაინც
შევხვდებით
იქ ბოლოს...
ამ ქარმაც,
ჰო, ამოვარდნილმა -
იქროლოს,
იქროლოს,
იქროლოს!

***

მზე პირუტყვივით ნედლ ბალახს ცოხნის...
მე წასვლას ვარჩევ,
თუ დამრთავ ნებას,
რომ დავარღვიო თუნდაც ცოტა ხნით
ეს მოსაწყენი
ერთფეროვნება!
ამ
გამოთოშილ,
ჩამოშლილ
სახლში
შიშის და შვების გარეშე ვიშვი
და როგორც შაშვი
უმოკლეს ხანში
შავ ხეივანში
მოვიკლავ შიმშილს.

***

და შენც გახდები რიგითი „ვინმე"...
წყალწაღებულებს ვერ იჭერს ხავსი....
მაშინ, როდესაც მე დავსვი მძიმე,
შენ, სწორედ მაშინ, წერტილი დასვი.
ის რომ ვიცოდე, უშენობა
სადამდე გასტანს...

***

დღეს კი არა წვიმს, ცა ქალივით
უფრო სლუკუნებს,
არ გაგეყინოს ცხელი გული მიწის ციებით,
თორემ ხომ ხედავ
დედამიწა და საუკუნე
სავსეა ხალხის უმართავი ამბიციებით.
გამონაკლისებს თუ იპოვი
ისიც იშვიათ,
მიწის ზედაპირს ვინც დაურჩა
თავს არ დაზოგავს.
მთელი ცხოვრება ჯოჯოხეთის ჩუმი შიშია
და ერთი დიდი სასაცილო
ოინბაზობა..,
შენ არ იდარდო,
არც მე ვდარდობ, ფეხზე მკიდია,
ვკითხულობ ვაჟას, ჯაბუშანურს, ანას,
ტიციანს...
თუ ეს სამყარო ვილაცისთვის ძალზე დიდია,
მისი სიმწირე, დამიჯერე, მკვდრებმა იციან!

***

წინ ვერაფერი დაუდგება
ჩვენს გულწრფელ სიცილს!
ვსვამთ,



***

მძიმედ ვაბიჯებ ჩემს ბილიკებს,
ცის იქით სავალს..
ბედის წერილებს აღარც ვუცვლი უკვე
თარიღებს...
მე მეამბოხედ დავიბადე და ასე წავალ,
წავალ და თქვენთვის დამითმია ეს სიღარიბე!

***

წვიმა ასველებს დამსკდარ მიწას,
აღვივებს,
ალბობს...
მე ნება-ნება მივუყვები
ეკლიან ბექობს...
მოდი!
ვყვირივარ მთელი ძალით
და ქვემოთ დაბლობს
ყვავილებივით ეფინება
ჩემი ხმის ექო.
თოვლს დაბერებულს
ზეზეურად ჭამენ ჭიები,
ეს გზა უთუოდ მიმიყვანს
ცასთან...
გადაივლიდა გაზაფხულის
რეპრესიებიც,
ნაბიჯები ჩვენ კი არა ამ გზებს ერევათ,
სიყვარულისთვის გაჩენილებს,
ის მაინც ვიცი,
რომ მიწიერი ეს სიკვდილი
ვერ მოგვერევა!

***

უკვე წლებია მე ამ თამაშს
ვამთავრებ ფრეთი,
ცოცხალ-მკვდარი ვარ,
და იმავეს ვეტყოდი მათაც:
პოეტებს მხოლოდ ტკივილები გშურთ
ერთმანეთის,
სხვა დანარჩენი კი – ნაკლებად და იშვიათად...

***

დე, თუ ღმერთი გწამს,
ნუ მოდიხარ
სიზმრებში,
ძილში,
მშრალ ნიადაგზე, რა ხანია, ვახარებ ძეძვებს,
რომ ველარ ვნახო ტანმაღალი ხეების
ჩრდილში
დაკარგულ სხივებს მზე როგორი სურვილით
ეძებს...

***

ქარის ქროლვაში გატარებულ
დღეებს რა ჰქვია,
რა სახელი აქვს
ამ ფუჭ ქაოსს,
მანძილს კარიდან,
თუ მუსიკის ხმა უსასრულოს მოჰგავს
რექვიემს,
ძლივსღა რომ მესმის შუა ღამის
კაფე-ბარიდან?!
ეს ჩემი სიტყვა
მომავლისთვის თუკი ბლაგვია,
მაშ გზა მასწავლეთ ყოფისაგან ჩემი
გამიჯვნის,
იყოს ალალი,
დილით როცა ქუჩებს დაგვიან,
უნებლიედ თუ მიაყოლეს ჩემი ნაბიჯი..

***

აი მოვიდნენ ღამეები
თეთრი და ბასრი,
ბოლო სიცოცხლე უნდა იყოს
და,
ანუ მეცხრე.
პოეზიაში ხელებს ისე ნურასდროს გასვრი –
მათი სახალხოდ გამოჩენის
ყოველთვის შეგრცხვეს...
ხოლო თუ სხვები აგაცლიან
ლექსების ფუკებს,
ზღვაში წვეთია რაც წაიღეს,
არათუ ასლი...
მე აღარც ერთი მიზეზი მაქვს დარჩენის უკვე
და უამრავი მიზეზი მაქვს აქედან წასვლის!
თუმცა მოვიდნენ ღამეები თეთრი და უმალ
მაკრატელივით გადამიჭრეს
დუმილის ლენტი,
შენ კარგად იცნობ, მეგობარო, პოეტურ
გუმანს:
ყოველთვის თავის სახეიროს ეძებს და
ელტვის!
ჩემი ხელებიც –
ქალური და სუსტი მაჯებით
დიდი ხანია
რაც უმართავს იჭერენ ალვირს,
გულის სიღმერში ისიც ვიცი, გავიმარჯვებდი,
მაგრამ ასეთი გამარჯვება არაფრად
არ ღირს...

***

ჰო, ადრესატი, –მე, ნათია ბადრის ასული,
შვილი თინათინ – ვფიქრობ მართლა –
„მზის სადარების",
არ ავიწყდება ამ წვიმასაც ციდან ჩამოსულს
გადმომცეს მათი მოკითხვა და დანაბარები.
როცა ღამეა,
შავი ღამე,
და დარდს ვერ ვილევ,
დამფრთხალი ძილიც
ალარაფრით არ მეკარება,
ქუჩებში ქარი დაატარებს წვიმის წერილებს
და გუბეებად დამიტოვებს სახლის კარებთან.

***

ღამე, ოთახი,
ეს კედლები,
მრგვალი მაგიდა...
ისევ იგივე მეორდება
უკვე წლებია,
და სადაცაა შემოდგომა ნაბიჯს აიდგამს
და სადაცაა ეს ღრუბლებიც გაწყალდებიან.
გზები ბევრ რამეს გვიმალავენ,
ბევრსაც გვიმხელენ,
დე, ღმერთი ვისაც დასჭირდება
მას შეეწიოს...
მე ვერასოდეს გავიზრდები, ალბათ, იმხელა,
რომ სიმაღლეში საკუთარ ჩრდილს წამოვეწიო!
ღამე, ქუჩები,
კორპუსები,
ირგვლივ სიწყნარე...
და სადაცაა შემოდგომა ნაბიჯს აიდგამს...
დღეს ღმერთი ვისაც დასჭირდება
მას შეიწყალებს,
მე კი ოთახი – საპყრობილე, მრგვალი მაგიდა...

***

ჩემთან საუბრით უქმად არ მოცდე,
არ გაიკვირვო თავს
თუ გარიდებ...
მე ყველაფერი ერთბაშად მომცეს
და ერთბაშადვე გამაღარიბეს.
შენ კი ვერ შეძლებ
ჩემს გვერდით დგომას
ასე უბრალოდ,
ჩვეულ სიმშვიდით:
მე წარსულიდან ტკივილი მომაქვს
მე წარსულიდან მომაქვს შიმშილი...

დაუნაყრებელს სანახევრო
სიცოცხლით თუნდაც,
ნუ დამიწუნებ
სხვა გზის არჩევას,
მე დიდი ხანი ვიყავი ცუდად
ბედნიერების გადასარჩენად.

# დაბნეული „ქარავანი“



**მურმან თავდიშვილი**

თეირანში ბევრი აღმოსავლეთმცოდნეობითი გამოცემა გამოდის. მათ შორის, ამ ბოლოს, საკმაო პოპულარობა მოიხვეჭა რუსულენოვანმა ელექტრონულმა ჟურნალმა, რომელსაც ეწოდება „ქარავანი“. ირანელ და რუს ირანისტთა ძალისხმევით შევსებული ამ გამოცემის 2017 წლის ერთ-ერთ ნომერში (49) გამოქვეყნდა ისტორიკოსისა და აღმოსავლეთმცოდნის ბატონ **ფელიქს კურცვაილის** მოსაზრებები რუსთველის პოემის შესახებ. ავტორის მთავარი სათქმელი ასე გამოიყურება – **„შოთა რუსთველი ნიჭიერი მთარგმნელია სპარსული პოემისა „ვეფხისტყაოსანი“ და არა პოეტი“.**

ეს დებადი რომ დაამტკიცოს, აღმოსავლეთმცოდნე მსჯელობს ბევრ რუსთველოლოგიურ პრობლემასა და საკითხზე: ზოგზე – მართებულად, ზოგზე – მცდარად. საზოგადოდ კი, ძირითადად, ძველ ავტორებსა და მოძველებულ მოსაზრებებს იმეორებს, ოღონდ აკეთებს მსჯელობასთან შეუწონავ თამამ დასკვნებს.

თანამიმდევრულად მივყვეთ ავტორისეულ მსჯელობას და დავურთოთ ჩვენეული კომენტარი.

ბევრი მსჯელობა ბატონი ფელიქს კურცვაილისა ისტორიულ-აღწერილობითი ხასიათისაა და აქ საკამათოც არაფერია. ის ბრძანებს: *თვით პოემა პირველყოფილი სახით **არ შემონახულა; პოემის უადრესი რედაქციის თარიღია 1646 წელი. ეს ვარიანტი გადაათეთრა მამუკა თავაქარაშვილმა;** დამკვეთი გახლავთ **ლევან დადიანი.** მამუკამვე შეამკო ტექსტი მინიატურებითო.*

ისიც სიმართლეა, რასაც შემდგომ უმატებს მთხრობელი: *საუკუნეთა წიაღ ტექსტი ცვლილებას განიცდიდა; უმატებდნენ სტროფებს, ზოგჯერ ახალ თავებსაც; XVII საუკუნეში ჩნდება პოემის არაერთი ვერსია; იქმნება „გაგრძელებათა“ მთელი ციკლი. ამ გაგრძელებათა ავტორები არიან **ნანუჩა ციციშვილი, ქაიხოსრო ჩოლოყაშვილი, იოსებ თბილელი** და სხვანი.*



მართებულია ისიც, რომ ქმნილების პირველი ბეჭდვური გამოცემა განახორციელა **ვახტანგ მეექვსემ** 1712 წელს, თბილისში.

აღმოსავლეთმცოდნე დასძენს: *ქართველი ლიტერატურათმცოდნენი ამტკიცებენ, რომ ავტორი ცხოვრობდა XII-XIII საუკუნეებში, თამარის ზეობის ჟამს, ოღონდ პრობლემა ის არის, რომ არც ერთ წერილობით წყაროში არ არისო მოხსენიებული „ქართველ პოეტ“ რუსთველზე.*

ამ პუნქტთან დაკავშირებით სადავო არაფერია, თუმცა ერთგვარი განმარტება მაინც საჭიროა: საქმე ისაა, რომ ტექსტი შეთხზულია 1205-1207 წლებში. ხალხში მის გასვლასა და ავტორის გაპოპულარებას დრო დასჭირდებოდა. არადა, უკვე კარს იყო მომდგარი დიდი საშინელება – მონღოლთა შემოსევები. უკვე 1220 წლიდან საქართველოს მოკრიალებული ცა შავმა ღრუბელმა დაფარა და, სავარაუდოდ, პოემისა და მისი ავტორისათვის აღარავის სცხელოდა.

ასევე, არაფერია საკამათო, როცა ისტორიკოსი მიუთითებს, რომ მეცნიერები ჯერაც ვერ შეთანხმებულან, რომელი რუსთავიდან იყოო მწერალი: მესხეთისა თუ თბილისთან ახლოს მდებარე რუსთავიდანო?

ეს მართლაც სადავო საკითხი გახლდათ და არის კიდევაც. რაკი ამ გამოხმაურების ავტორი მე გახლავართ, ალბათ, მაქვს უფლება, ჩემი მოსაზრებაც გაგახსენოთ. ამ მოსაზრებას 1991 წლიდან თანამიმდევრულად ვავითარებდი პროფ. **პროკოფი რატიანის** თეორიის კვალდაკვალ:

VI საუკუნიდან დღემდე სიტყვა **რუსთველი** მუდამ და ყოველთვის აღნიშნავდა ერთ რასმე – თბილისის ახლოს მდებარე დაბა **რუსთავის ეპისკოპოსს.** განსაკუთრებით კარგად და მკაფიოდ ეს ჩანს **არჩილ მეფის** ვრცელ პოემაში, რომელსაც ასე ეწოდება – ***„თეიმურაზ მეფისა და რუსთველის გაბაასება“.*** მეფე-პოეტის ამ პოემაში გამოყვანილი არიან ეპისკოპოსები – რუსთველები.

ფორმა **რუსთველი** არასოდეს აღნიშნავდა საერო პირს.

შესაძლოა, ვინმემ გაიხსენოს იერუსალიმის ტაძრის სვეტზე არსებული რუსთველის პორტრეტი და მისი საერო-სამეფო ტანსაცმელი.

ეგ არგუმენტად ვერ გამოდგება, რადგან ცნობილი ისტორიული ფაქტია: სრულიად საქართველოში ერთადერთი იყო **რუსთავის** ეპისკოპოსი **რუსთველი,** რომელსაც უფლება ჰქონდა ჰყოლოდა ჯარი და სცმოდა საერო ფეოდალის სამოსიც.

სხვათა შორის, არჩილის პოემაში რუსთველი ჯარის პატრონია. ეგ ისტორიული სიმართლე დაცულია **მიხეილ ჭიაურელის** ფილმ „გიორგი სააკაძეში“. სწორედ რომ რუსთველს (რუსთავის ეპისკოპოსს) სთხოვს ულაშქროდ დარჩენილი სარდალი საეკლესიო ჯარს, რათა სპარსელები გაანადგუროს.

სამაგიეროდ სრული გაუგებრობაა, როცა ფორმისაგან **რუსთველი** მკვლევარს გამოჰყავს უცნაური შინაარსი.

იგი სიტყვას ორ ნაწილად განწვალავს: „რუსთა“ და „ველი“. მერე დასძენს, რომ „რუსთა“ ფარსის ენაზე არისო „სოფელი“, „დასახლება“, ხოლო ქართულია „ველი“ და ნიშნავსო მინდორს.

აქედან ხელის ერთ გაწვდენაზეა ასეთი ახსნაც: **რუსთველი** შედგება ორი სიტყვისაგან: **რუსთა** და **ველი.** ესე იგი, რუსების ველი.

რა თქმა უნდა, ამგვარი „ხალხური ეტიმოლოგიები“ მუდამ მცდარი და კატასტროფულად დამღუპველია.

მომყავს ერთი საამრიგო ნიმუში.

კახეთში არსებობს ცნობილი სოფელი **არაშენდა.** აქ, თითქოსდა, ყველაფერი ნათელია: ორი სიტყვაა და ორივე ქართული: **არ აშენდა.**

აი, ხალხური ეტიმოლოგია!

არადა, თურქეთში არსებობს მთელი ქალაქი, რომელსაც ეწოდება **არაშენდა.** მაშასადამე, ამ ტოპონიმის შინაარსი უნდა ვეძიოთ თურქულ სამყაროში. ამის მსგავსი ტოპონიმი სხვაცა გვაქვს. **ალავერდი** ნიშნავს **ალახის სასურველს, საყვარელს.**



მკვლევარი შემდგომ ასე მსჯელობს: რაკიღა პოემის ტექსტი საუკუნეთა განმავლობაში არაერთხელ შეიცვალა, არაა გასაკვირი, რომ ზედწოდებაც გადასხვაფერდა: **რუსთველი** გახდა **რუსთაველი.** ეს ცვლილება მოხდა XVI-XVII საუკუნეებშიო.

არა, აღნიშნული ცვლილება არ მომხდარა ასე ადრე. ამასთანავე, ამ არასწორი ცვლილების სულისჩამდგმელიც ცნობილია. სწორი ფორმა **რუსთველი** პირველად ხელყო და შემდეგ შერყვნილი ფორმა გააბატონა XVIII საუკუნის მეორე ნახევრის საეკლესიო მოღვაწემ და ერეკლე მეორის ბიძაშვილმა **ანტონ კათალიკოსმა** (ბაგრატიონმა), „წყობილსიტყვაობის“ ავტორმა.

თუ რატომ მოიქცა ასე და როგორ მოხდა ყოველივე ეს, ამის თაობაზე ფართოდ მსჯელობს აკადემიკოსი **აკაკი შანიძე.**

აკაკი შანიძე, მთელი თავისი სიცოცხლის განმავლობაში, მოითხოვდა და მე მოკრძალებით კვერს ვუკრავდი, რომ თავი დაგვენებებინა მცდარი ფორმისათვის და გადავსულიყავით ისტორიულად და ყველანაირად სწორ ფორმაზე – **რუსთველი,** ოღონდ ჩვენი ხმა დარჩა „ხმად მღაღადებლისა უდაბნოსა შინა“.

მკვლევარი მიუთითებს: საკუთრივ ტექსტში არსად არაა ნახსენები **თამარი** ან **დავით სოსლანი.** ისინი პროლოგსა და ეპილოგში მოიხსენებიან. ამიტომაც ცდებიან ქართველი მეცნიერები, რომ პოემას თამარის ეპოქას მიაწერენო.

ეს გახლავთ აღნიშნული მხატვრული ქმნილების არსის სრული გაუგებრობა, მისი სპეციფიკის დაუნახაობა.

საქმე ისაა, რომ „ვეფხისტყაოსანი“ ერთობ სპეციფიკური ქმნილებაა. საკუთრივ ტექსტი, როგორც პოემის ეპილოგში არის მითითებული, გახლავთ – „ესე ამბავნი უცხონი, უცხოთა ხელმწიფეთანი“. აქ გაშლილია მაჰმადიანური სამყარო, ქვეყნებად წარმოსახულია ინდოეთი, არაბეთი, ჩინეთი. ასე რომ, ამ ნაწილში თამარისა და დავითის ხსენება ვერ მოხდებოდა, არაფრით იქნებოდა მოტივირებული; საერთოდაც, ქართული და ქრისტიანული რეალობები ვერ გაჭაჭანდებოდა. სამუქფოდ, ამის შესაძლებლობა იყო პროლოგსა და ეპილოგში, რაც კიდევაც გამოიყენა პოეტმა.

მაშასადამე, პროლოგ-ეპილოგის მონაცემებზე დაყრდნობით სავსებით შესაძლებელია და ლოგიკური, თხზულება და მისი ავტორი მიებას „ოქროს ხანას“, თამარის ეპოქას.

აღმოსავლეთმცოდნე მკვლევარი არასწორად მიიჩნევს იდეას, რომ პოემა რუსთველმა მიუძღვნა თამარ მეფეს.

აქ მკვლევარი მართალიცაა და მტყუანიც.

მართალია იმ მხრივ, რომ პოეტს არავითარი მიძღვნა არ გაუკეთებია, პოემა თამარისთვის არ მიუძღვნია, ოღონდ უზუსტოა, რადგან ამ იდეას ყველა მკვლევარს მიაწერს. არასოდეს განუცხადებია აკადემიკოს **ალ. ბარამიძეს,** რომ პოემა ეძღვნება თამარს; პირადად მე, როგორც ერთი რუსთველოლოგი, ამ იდეის საწინააღმდეგოდ ყოველთვის სასტიკად გამოვდიოდი (იხ. „ვეფხისტყაოსნის დაფანტული სტროფები“, 1991 წ. და სხვ.).

საზოგადოდ, ეგ იდეა გამომდინარეობს იმ ქართული ხალხური ზღაპრიდან, ვითომდაც რუსთველს უყვარდა თამარი. ამ იდეას სასტიკად ეწინააღმდეგებოდნენ **ვაჟა-ფშაველა, ალ. ბარამიძე** და სხვები. ვიყენებ ჩემს საავტორო უფლებას და გაუწყებთ: ამ სისულელეს მე ცალკე თავი მივუძღვენი ჩემს დიდ წიგნში „ვეფხისტყაოსნის დაფანტული სტროფები“. იმ თავს მრავლისმეტყველი სათაური აქვს: „ქართული ხალხური ზღაპრის დასასრული“.

მართალია, პოემის რუსულ თარგმანში **ზაბოლოცკიმ** ისე წაიყვანა საქმე, რომ რუსთველი თითქოს პოემას მეფე-ქალბატონს უძღვნის, ოღონდ ზაბოლოცკის ეს „თავისუფლება“ ქართულ მეცნიერებას კვლევის დროს არ გამოუყენებია. სერიოზული მკვლევარი დედანს იძიებს და არა თავისუფალ თარგმანს.

ჩვენ ყოველთვის ვწერდით და ვამბობდით, რომ, თუმცა კი „ვეფხისტყაოსანი“ თამარისათვის არ მიუძღვნია, ოღონდ სახოტბო ქმნილება მართლა მიურთმევია ქალბატონისათვის. ამის შესახებ პოემის პროლოგში რუსთველი თვითონ მიუთითებს: მეც ვაქე თამარის სილამაზე და საქმიანი თვისებები და ჩემი ხოტბა სხვებისას არ ჩამოუვარდებოდაო: „თქვენი ქებანი ვისნი მე, არ ავად გამორჩეული“. აღსანიშნავია, რომ ამგვარ პოეზიას გენიოსი ღირებულად არა მიიჩნევდა. სხვათა შორის, ამ აზრს ადგნენ, უფრო ადრე, **ფირდოუსი** და **ნიზამი.** აქ რუსთველი ორიგინალური სულაც არაა!

რა არგუმენტები მოჰყავს მკვლევარს საიმისოდ, რომ ამტკიცოს – რუსთველი მთარგმნელია და არა ორიგინალური პოეტი?

ესაა ორი არგუმენტი და ორივე უსაშველოდ მოძველებული, ქართული მეცნიერების მიერ დიდი ხნის წინათ დაძლეული.

პირველი თავად რუსთველის განცხადებაა: „ესე ამბავი სპარსული, ქართულად ნათარგმანევი“.

მეორეა **მამა-შვილ მარების** დაუსაბუთებელი მოსაზრება, რომ პოემის დედანი არსებობს სპარსულ ლიტერატურაში.

მივხედოთ პირველ დასაბუთებას, რომლის საფუძველზეც აღმოცენდა მეორე.

სტროფი, რომელშიც ზემოთ მითითებული ტაეპია, ნამდვილად რუსთველისაა და იგი საეჭვოდ არასოდეს ქცეულა. მაშ, ავტორი ნამდვილად წერს: ეგ ამბავი, რომელიც ერთობ საინტერესო და ხელიხელ საგოგმანებია, სპარსულია; ვილაცას ქართულად უთარგმნია. ეგ თარგმნილი ტექსტი მე ჩამივარდა ხელში და გავლექსეო.

ამრიგად, ავტორი არსებული პროზაული ტექსტის გალექსვას იბრალებს მხოლოდ.

იქვე გვიხსნის, თუ რატომ მოიქცა

➔

ასე, პროზაულ მოთხრობას რატომ არჩია რომანი ლექსად.

**გრძელი სიტყვა მოკლედ ითქმის,**
**შაირია ამად კარგი.**

გადმოვიღოთ თანამედროვე პროზაულ ენაზე: შაირი, ანუ ლექსი, იმად სჯობს პროზას, რომ ის უფრო დაკუმშულად, უფრო კონდენსირებულად ამბობს სათქმელს.

სხვათა შორის, რუსთველი მარტო არც აქ არის. უფრო ადრე ეგ იდეა გამოხატეს მისმა დიდმა წინამორბედებმა და მასწავლებლებმა – **ფირდოუსიმ** და **განჯევიმ.**

რუსთველის ეგ განცხადება არის ლიტერატურული მისტიფიკაცია. არავითარი მსგავსი ამბავი სპარსულ ლიტერატურაში არ არსებობს. ამის თაობაზე დიდოსტატურად მსჯელობდნენ **ვახტანგ მეექვსე, ილია ჭავჭავაძე** და **ვაჟა-ფშაველა.**

მხოლოდ **ლუკა რაზიკაშვილის** იდეას გავიხსენებ: ეს ისე კარგი ამბავია, სპარსულად რომ ყოფილიყო, რომელიმე ირანელი პოეტი ნამდვილად გადაამუშავებდა, მით უფრო, რომ იქ უფრო მდარე სიუჟეტსაც კი არაერთი ამუშავებსო.

ვაჟა-ფშაველა სხვა მხრიდანაც მიუდგა საკითხს. მან განაცხადა: **შექსპირიც** ბევრ სხვის სიუჟეტს ლექსავდა და ამხატვრულებდა, შემოქმედებითად გარდაქმნიდა, ოღონდ იმ მასალებიდან გენიალური ქმნილებები გამოჰყავდაო; ფაუსტის თქმულება გერმანიაში ათობით მწერალმა გადაამუშავა, ოღონდ გენიალური ქმნილება მხოლოდ **გოეთეს** გამოუვიდაო. ამ მაგალითებს უნდა დაემატოს **გოგოლიც.** ამ პროზაიკოსის ბევრი „ფაბლიო" ნასხვისარია, თუმცა მისთვის გენიოსის წოდება არავის ჩამოურთმევია.

მაშასადამე, რომც ესარგებლა რუსთველს სხვისი შავი მასალით, ამითაც არაფერი დააკლდებოდა. მით უფრო, რომ მისი დროისა და ადრინდელ სპარსულ ლიტერატურაში იყო მტკიცე წესი: პოეტი ნაცნობ, სხვის მიერ გალექსილ მასალას იღებდა, ხელმეორედ ამხატვრულებდა და სახელს იმით გაითქვამდა, რომ აჯობებდა წინამორბედს და წინაზე უკეთეს მხატვრულ სინამდვილეს შექმნიდა.

მაგრამ რუსთველის შემთხვევაში არც ეს მომხდარა. ამბავიც თავად გამოიგონა და ლექსადაც გენიალურად შეაწყო.

ახლა იმის თაობაზე, თუ რატომ არ შეიძლება ამგვარი ამბავი იყოს სპარსულ სამყაროში, ირანულ-არაბულ სივრცეში.

საქმე ისაა, რომ ქართულ პოემაში სარკისებურად არის რევერბირებული საქართველოში დატრიალებული ვითარებანი.

ამის შესახებ „დაფანტულ სტროფებში" (1991) ფართოდ ვსაუბრობ. აქ ვიტყვი მოკლედ: ტექსტში ორ პარალელურ ამბად არის გაშლილი თამარ მეფეს თავს გარდახდენილი ამბავი. ერთი ასახავს არასასურველს, რეალურს, რაც მოხდა, იმას; მეორე – იდეალურს, იმას, რაც სასურველი იყო, რომ მომხდარიყო. კერძოდ, ტარიელ-ნესტანისა და ხვარაზმშას ამბავში რევერბირებულია **თამარისა** და **გიორგი რუსის** კრახით დასრულებული ამბავი, ხოლო ავთანდილ-თინათინის ამბავში ნაჩვენებია **თამარისა** და **დავით სოსლანის** ურთიერთობის ანარეკლი. ავტორი, ეტყობა, ქართველთა იმ დასის წევრია, რომელიც წინააღმდეგი იყო გარეშე ძალის მოწვევისა. მისი იდეაა: *„სხვას, მეშველსა გარეგანსა, მომკალ, ვისცა ვინატრიდე!"* არადა, ქართველებმა სწორედ ეს გზა აირჩიეს და საქმე სავალალოდ დამთავრდა (ხვარაზმშა – ნესტანის ამბავი); პატრიოტ ქართველთა დასის იდეა ასეთია: *„სხვა მეფე დაჯდეს ინდოეთს, მე მერტყას ჩემი ხრმალია?!"* ამ დასის მოსაზრებისამებრ რომ გადაეჭრათ თამარის გათხოვების პრობლემა, ყველაფერი ისე კეთილად დამთავრდებოდა, როგორც არაბეთში (თინათინ- ავთანდილის ამბავი). მაშინ საქართველო ბევრ დავიდარაბასა და დიდ სისხლს ასცდებოდა. ამრიგად, პოემის ავტორმა უკვე მშვენივრად იცის თამარის სამეფო კარზე მომხდარი ორივე შემთხვევა, ჯერ ცუდი (თამარ-გიორგი რუსის ურთიერთობა) და შემდეგ კარგი (თამარ-დავით სოსლანის ურთიერთობა).



ამგვარი ან ამის მსგავსი ამბავი კი არსად – არც სპარსეთსა და არც არაბეთში არ მომხდარა! ეს მოხდა მხოლოდ საქართველოში და იცოდა მხოლოდ რუსთველმა.

ამიტომაც არის, რომ სპარსეთში მსგავსი სიუჟეტი არ აღმოჩნდა.

და რომ არ აღმოჩნდა, სწორედ ამაზე მეტყველებს **ნიკო მარისა** და **იური მარის** ძიებები.

მართალია, ბატონ **ფელიქს კურცვაილს** დიდის ამბით მოჰყავს ნიკო მარის ცნობილი განცხადება, რომ „ვეფხისტყაოსნის" დედანი ვიპოვე და მალე გამოვაქვეყნებო, მაგრამ ეს აღმოჩნდა ლიტონი განცხადება. ჯერ კიდევ ილია ჭავჭავაძე უკიჟინებდა ნიკო მარს: – გვაჩვენე, ბატონო, ეგ დედანიო, მაგრამ ისე მოკვდა, ნიკო მარმა ვერაფერი უჩვენა. თუმცა კი ძალიან ეცადა, ნ. მარმა ამ კუთხით ნახევარი ნაბიჯიც კი ვერ გადადგა.

იგივე მოუვიდა მის ნიჭიერ შვილსაც. **იური მარი** და მისი მეგობარი **ჩაიკინი** გამალებით დაეძებდნენ რაიმე წყაროს, ოღონდ ვერაფერს მიაგნეს. იური მარი იქითკენ იხრებოდა, რომ „ვეფხისტყაოსნის" სიუჟეტი უნდა მოდიოდეს ცნობილი პოეტის, პოეტთა მეფედ წოდებული **ონსორის** ერთ-ერთი პოემიდანო. სინამდვილეში ონსორისა ბევრი არაფერია შემორჩენილი და, რაც არის, იმათში „ვეფხისტყაოსნის" ცენტრალური ამბების ნასახიც კი არ ილანდება. მაშ, იური მარსაც კოვზი ნაცარში ჩაუვარდა.

და აქ მე, მურმან თავდიშვილმა, მამა-შვილს უნდა ირონიულად ჩავუხველო.

მიკვირს და გამკვირვებია, როგორ უნდა მეჯობნა მე მამა-შვილისათვის აღნიშნული კუთხით ძიებისას?

ნიკო მარი და იური მარი საგანგებოდ მომზადებულნი იყვნენ ორიენტალისტიკაში, იცოდნენ ძველი და თანამედროვე სპარსული, ბევრი სხვა ენა, მოგზაურობდნენ სპარსეთსა და სხვა აღმოსავლურ ქვეყნებში და მაინც ვერაფერ ხელჩასაჭიდებელს ვერ მიაკვლიეს; მე კი, ყოველგვარ ამ სიკეთეს მოკლებულმა, ნამდვილად მივაგენი რუსთველის პოემის წყაროს, ანუ იმ მცირეს, რაც მისაგნები იყო და მარებმა თვალიც კი ვერ ჰკიდეს. პირდაპირ გაოცებული ვარ: ნუთუ მათ არც კი წაუკითხავთ **ნიზამი განჯევის** ტექსტები?!

დიახ, თუ რამე უსარგებლია რუსთველს სპარსული პოეზიიდან, ეს გახლავთ მადლი – ნიზამის შემოქმედების მადლი, მაგრამ ეგ მადლი ძალიან ცოტაა, ერთობ მკაფიოა და სიუჟეტს საერთოდ არ გულისხმობს.

2011 წელს გამოვიდა ჩემი მონოგრაფია „ნიზამი და რუსთველი". იქ ნათლად არის ნაჩვენები, თუ რით უსარგებლია რუსთველს. ახლა მოკლედ ვიტყვი: ავთანდილის პროტოტიპია „ლეილისა და მეჯნუნის" პერსონაჟი, მეჯნუნის მეგობარი აბდელ სალამი (სხვათა შორის, **სალამი** ნახსენებია „ვეფხისტყაოსანში"); ტარიელის პროტოტიპს რუსთველი გასცნობია ნიზამის ბოლო პოემა „ისკანდერ-ნამეში". სწორედ აქ არის გამოყვანილი ტარიელის მსგავსი ძლიერი რაინდი, რომელიც ყველას ამარცხებს და რომელსაც ვეფხვის ტყავი აცვია; კიდევ უფრო საგულისხმოა, რომ ამავე პოემაშია გამოყვანილი ქართველი ნესტან-დარეჯანის პროტოტიპი. ამ ულამაზეს ქალიშვილსაც ნესტან-დარეჯანი ჰქვია. ასე რომ, ნიზამი განჯევი პირველია, რომელმაც ულამაზეს ნესტან-დარეჯანს უმღერა, რუსთველი კი – მეორე.

# დაბნეული „ქარავანი"





ვისაც ეს საკითხები უფრო დაწვრილებით აინტერესებს, უნდა წაიკითხოს მითითებული წიგნი და იმაშიც დარწმუნდება, რომ ქართველ პოეტს განჯევის ეს ბოლო პოემა ზედმიწევნით სცოდნია.

აი, რაც ნამდვილი და ასპროცენტიანია აღნიშნული ლიტერატურული ურთიერთობების კუთხით, ოღონდ, როგორც დავინახეთ, მამა-შვილ მარებს ნიზამი, ეტყობა, არც კი წაუკითხავთ. აქ სხვაც რამ ირკვევა: სიუჟეტის არავითარი სესხება არ დასტურდება. ისევ შევიხსენოთ ვახტანგ მეექვსე: *ამბავიც თვითონ შეთხზა და ლექსიც თვითონ შეაწყოო.*

ბატონი კურცვაილი არაერთგზის და დაჟინებით იმეორებს: *ქართველი მეცნიერები ყოველნაირად ცდილობდნენ დაემალათ პოემის სპარსულიდან წარმომავლობაო.*

ეს სრული უსამართლობაა, რადგან არც ერთ მკვლევარ ტექსტოლოგს არასოდეს ამოუღია პოემიდან ის სტროფი, სადაც ნათქვამია: „ესე ამბავი სპარსული, ქართულად ნათარგმანევი".

მკვლევარი ეხება სტილსაც და დასძენს: *პოემა არისო სპარსული სტილის ქმნილება*. ეს სიმართლეა და პოემა ამ მხრივ მართლაც რომ სპარსულია. სამაგიეროდ სრულიად ულოგიკოა განაცხადი: ტექსტში ხშირად მოიხსენიება ყურანი, რაც მიგვანიშნებს, რომ პოემა შექმნილია სპარსული, არაბული, ინდური სიუჟეტების ზეგავლენითო.

გაუგებარია, ყურანის მოხსენიება რატომ გულისხმობს უსათუოდ უცხოურ სიუჟეტებს? ყურანი, შეიძლება, ათჯერ იყოს ნახსენები, ვთქვათ, ქართულ ჰაგიოგრაფიულ ტექსტში, ოღონდ ეგ სიუჟეტის სადაურობას ვერაფრით განსაზღვრავს.

პოემის სულისკვეთების სრული გაუგებრობაა ასეთი განაცხადი: *პოემას, გარდა ქართული ენისა, არაფერი სცხია „ჭეშმარიტად ქართული".*

აბა, ახლა ილია ჭავჭავაძეს ვუგდოთ ყური, რომელიც მიუთითებს, რომ „ვეფხისტყაოსანში" ქართველმა ერმა თავისი ფიქრი, ოცნება და გულისნადები ჩადოო.

ახლა კი ვის დავუჯეროთ, ილია ჭავჭავაძეს თუ ბატონ კურცვაილს? რომელი მათგანი უკეთ იცნობს ქართველ ერსა და „ვეფხისტყაოსანს"? ესეც რომ არ იყოს, რომელი უკეთ ჩასწვდებოდა ჩვენს ნაციონალურ ეპოსს – ილია თუ კურცვაილი?

კიდევ ერთი ყოვლად შეუწყნარებელი იდეა: პოემაში ბევრგან არის ნახსენები ყურანი, რომლის სწავლებაც ეწინააღმდეგებოდა ქართულ ქრისტიანულ აღმსარებლობასო.

ამ საკითხს ბრწყინვალე პასუხი გასცა ღვთაებრივმა რუსთველოლოგმა **ვიქტორ ნოზაძემ**, რომლის ნაშრომებსაც მკვლევარი, რა თქმა უნდა, არ იცნობს. ნოზაძემ დაასაბუთა: პოემის მაჰმადიანი გმირები არაფერს ანტიქრისტიანულს არ ამბობენ; ისინი იქცევიან, როგორც ჭეშმარიტი ქრისტიანები, ოღონდ ეგაა, რომ გარეგნულად დახატული არიან და აცვიათ მაჰმადიანურად. თვით ავთანდილის ლოცვაც კი მეჩეთში ისე ქრისტიანული ეჩვენა **მამუკა თავაქარაშვილს 1646** წელს, რომ მეჩეთს კენწეროში ჯვარი მიახატა.

„ქარავნის" კორესპონდენტი უშვებს სხვა (ფაქტობრივ) შეცდომებსაც.

1. რუსთველი ეპილოგში ახსენებს **სარგის თმოგველსო.** სტროფი, სადაც ნახსენებია სარგის თმოგველი, არ ეკუთვნის რუსთველს. ის ინტერპოლატორისაა და მას ჰქვია „ვინმე მესხი მელექსე";

2. პოემაში გამოხატულია ირანის ნაციონალური ტენდენცია.

პირიქით, დიდი ხანია და კარგად დამტკიცებულია, რომ ქმნილება ავლენს ანტიირანულ სულისკვეთებას. აი, საამრიგო გამოთქმები: „ესე ამბად არ ეგების, რომე სპარსნი გაგვიხასდენ!" (ნესტანის სიტყვებია); „ჰკადრე, თუ სპარსთა ვერა ვიქმ ინდოეთისა ჭამასა!" (ნესტანის სიტყვებია).

დასკვნა:

***ორიენტალისტური ჟურნალი „ქარავანი" დაიბნა და უდაბნოს დიუნებში ჩაიკარგა; ბატონ ფელიქს კურცვაილის ძირითადი თეზისიც ისე ბუნდოვანია, როგორც ოაზისი მოეჩვენება ხოლმე ხვატითა და უწყლობით გულშეღონებულსა და იმედწარკვეთილ მგზავრს.***

# ბიოგრაფიული რომანი გიორგი შატბერაშვილზე

ბონდო არველაძე

როსტომ ჩხეიძეს ქართველი საზოგადოების წინაშე წარდგენა რომ არ სჭირდება, ამაზე ლაპარაკი ზედმეტია. ეს ცნობადობა მან ღირსეულად დაიმსახურა გასაოცარი ენერგიით და მოწესრიგებული შრომით, მაგრამ მარტო შრომით შორს ვერ წახვალთ, თუ მას საფანელად არ უდევს მაღალი ნიჭიერება და განათლება. ეს კი როსტომ ჩხეიძეს ღმერთმა უხვად დაანათლა. დიახ, ქართული მწერლობის ღრმა და ფართო ცოდნა, ევროპული განათლება, ხელს უწყობს და შედეგებმაც არ დააყოვნა. ქართული ბიოგრაფიული და დოკუმენტური რომანის დიდოსტატის სახელი ღირსეულად დაიმსახურა. აქვე შევნიშნავთ, ზოგიერთ ქართველ მწერალს აქვს ბიოგრაფიული რომანები შექმნილი, მაგრამ ეს მათ შემოქმედებაში შემთხვევით ხასიათს ატარებს, ეს მათ მიერ ერთგვარი ვალის მოხდა იყო ამა თუ იმ მწერლის თუ საზოგადო მოღვაწის მიმართ. ამას ვერ ვიტყვით როსტომ ჩხეიძეზე, რადგან მუზას და გულს ბიოგრაფიული რომანის შექმნა ენიაზება. ამიტომ როსტომ ჩხეიძე პროფესიონალ ბიოგრაფიულ მწერლად ჩამოყალიბდა. ამჟამად მის ფართო აკადემიურ მეცნიერულ მოღვაწეობაზე არ შევჩერდებით. მან ქართველ მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა ბიოგრაფიული რომანების მთელი სერია შექმნა: პავლე ინგოროყვა, სოლომონ დოდაშვილი, ვახტანგ ჭელიძე, რეზო გაბაშვილი და სხვ. ისინი მკითხველ საზოგადოებას, შეიძლება ითქვას, ახლად გააცნო. მათი ლიტერატურული მემკვიდრეობის არაერთი უცნობი ფაქტი გამოამზეურა.

აღარ გავყვები როსტომ ჩხეიძის რომანების მხატვრული ღირებულებების ჩამოთვლას, მაგრამ ერთს კი ვიტყვი, მან უნარიანად შესძლო დოკუმენტური მასალის მხატვრულად ამეტყველება, ამიტომაც არის მისი ნაწარმოებები შეუნელებელი ინტერესით რომ იკითხება.

როსტომ ჩხეიძის ლიტერატურული მოღვაწეობა პერნამენტული დინებით მიდის და აი, ახლახან, ქართველ მკითხველს შესთავაზა ცნობილი ქართველი მწერლის გიორგი შატბერაშვილის დოკუმენტურ მასალაზე აგებული რომანი „ტივისხე“. ამთავითვე უნდა ვთქვათ – მასში გამოწვლილვით არის გადმოცემული გიორგი შატბერაშვილის მთელი ცხოვრების გზა. ეს გზა კი დაიწყო, ახლა მწარე ღიმილის მომგვრელი, ბრალდებით, 1934 წელს... რა თქმა უნდა, პოლიტიკური სარჩელი ედო მის ციხეში გამომწყვდევას. მოვლენებს წინ არ გავუსწრებთ და მოკლედ გავაცნობთ მკითხველს მის პირველ ნაბიჯებს სამწერლო ასპარეზზე. ჯერ ერთი, მას სამწერლო გზა დაულოცა მიხეილ ჯავახიშვილმა, რომელიც გიორგი შატბერაშვილის ნათლიის – გენერალ გიორგი მაზნიაშვილის თხოვნით გაეცნო ახალგაზრდა პოეტის ლექსებს. დიდმა მწერალმა ურჩია, ბევრი ეკითხა, რაც მის მხატვრულ ნიჭს დახვეწავდა და გაშლიდა.

გასული საუკუნის 30-იან წლებში, თბილისის შოთა რუსთაველის სახელობის თეატრის სცენაზე, გიორგი შატბერაშვილის პიესა „დუშმანთან“ დადგა სანდრო ახმეტელმა. პიესა საზოგადოებამ კარგად მიიღო, მაგრამ გაზეთ „ახალგაზრდა კომუნისტში“ გამოქვეყნდა ანონიმი ავტორის კრიტიკული წერილი, რომელშიც ახალგაზრდა ავტორს კულაკური იდეოლოგიის მქადაგებელს უწოდებდა და საბჭოთა სინამდვილისთვის ყოვლად მიუღებლად მიიჩნევდა...

ამ რეცენზიის ანონიმი ავტორი გაიშიფრა მაშინ, როცა გიორგი შატბერაშვილი 1935 წლის 27 თებერვალს დააპატიმრეს. ის მწერალს გამომძიებლად მოევლინა. ეს იყო ვინმე კიკნაძე...

გიორგი შატბერაშვილის დაპატიმრების საბაბი გახდა შემდეგი გარემოება: როცა მწერალი პოეტების ერთ-ერთ წვეულებაზე ყოფილა, რომელიც ფრიდონ ნაროუშვილის სახლში გამართულა, შეზარხოშებულმა კრიტიკოსმა შალვა შავგულიძემ სადღეგრძელო ასე დაამთავრა: – „ჩვენ პროლეტ-მწერლებს ყურადღებას არ გვაქცევენ, ამიტომ გამოსავალი არის სროლა და ხელი მაღლა ასწია“. ჰოი, უბედურებავ, მის უკან, კედელზე, სტალინის სურათი ეკიდა. ნაროუშვილს უნიშნებია შავგულიძისთვის, – რას ამბობო. გიორგი შატბერაშვილს უკითხავს: – რა სროლაზეა ლაპარაკიო“.

აქ ყოფილან გრიგოლ აბაშიძე, დიმიტრი ბენაშვილი, რომელიც მოგვიანებით მისულა და ფრიდონ ნაროუშვილი. რასაკვირველია, ეს „დიდი პოლიტიკური დანაშაული“ ერთ-ერთ თანამეინახეს მიუტანია იმ დაწესებულებაში, რომელიც ადამიანებს შიშის ზარს სცემდა. სუფრის ყველა წევრი დააპატიმრეს, ერთის გარდა. გამომძიებელი კიკნაძე არცერთ პატიმარს თავზე ხელს არ უსვამდა, მაგრამ გიორგი შატბერაშვილის მიმართ განსაკუთრებით აგრესიული იყო. ამის მიზეზიც ჰქონდა. მის კრიტიკულ სტატიაზე ახალგაზრდა მწერალმა პასუხი მიიტანა გაზეთ „ახალგაზრდა კომუნისტის“ რედაქციაში. არ დაუბეჭდეს. იძულებული გახდა ცეკაში შეეტანა, მაგრამ პასუხი იქაც ვერ მიიღო. მის ირგვლივ მოჯადოებული წრე შეიკრა. ცეკა-ჩეკა მაშინ ძმები იყვნენ და გამომძიებელ კიკნაძეს სასწრაფოდ აახლეს საპასუხო



წერილი. მასში კი ანონიმ ავტორს, ე.ი. გამომძიებელ კიკნაძეს, მწერლობის უცოდინარს, უვიცს უწოდებდა. და აი, მიეცა ჯალათს საბაბი, სამაგიერო გადაეხადა ახალგაზრდა მწერლისთვის. დასცინოდა, – რუსული არ იცი, შენ რა მწერალი ხარო და ა.შ. ერთი სიტყვით, ფსიქოლოგიურ და ფიზიკურ ზეწოლას შეუბრალებლად და სადისტურად, სიამოვნებით ახორციელებდა. ამავე დროს ცდილობდა, შატბერაშვილის საქმე „შეეკერა“, რომ ბრალდება დამძიმებულიყო. ამ მიზნით იგი დაუკავშირდა ერთ ცნობილ კრიტიკოსს და მისგან იღებდა კონსულტაციას. ამ კრიტიკოსის საჩივრის შედეგი იყო ის, რომ გიორგი შატბერაშვილის მიერ გაზეთ „ლიტერატურულ საქართველოში“ გამოქვეყნებული ლექსი – „წერილი ახალგაზრდობას“ და „დასაწყისი განთიადის“, ანტისაბჭოთა, ტროცკისტული იდეოლოგიის ნაწარმოებად შერაცხეს. ერთი სიტყვით, გიორგი შატბერაშვილის აღნიშნული ლექსები ფაშისტური იდეოლოგიის პროპაგანდა რომ იყო, ამაში გამოძიებას ეჭვი არ ეპარებოდა. ახლა უნდა დაედგინათ, გამოერკვიათ, ვისი გავლენით და დავალებით იყო დაწერილი ეს ლექსები. გიორგი შატბერაშვილი გულმართალი ადამიანი იყო. ამ კითხვაზე გამომძიებელ კიკნაძეს გულწრფელად პასუხობდა – ეს ლექსი ახალგაზრდებს ეძღვნება და პლატონ ქიქოძის დავალებით დავწერეო. მეორე ლექსი კი ჩემ მუზას – თამარ ჩეჩელაშვილს მივუძღვენიო. თუმცა, ის, ქაქუცა ჩოლოყაშვილის დის – თამარ ჩოლოყაშვილისადმი იყო მიძღვნილი. როსტომ ჩხეიძე მისთვის ჩვეული თხრობის ოსტატობით გადმოსცემს ამ ლექსების საბედისწერო როლს ახალგაზრდა მწერლის ცხოვრების გამრუდებაში. საინტერესოა ისიც, რომ, მოგვიანებით, როსტომის მამა, ოთარ ჩხეიძე, ფიქრობდა, – გიორგი შატბერაშვილი პირადად უნდა შეხვედროდა ქაქუცა ჩოლოყაშვილს, ის კი დააკავეს ამ ლექსის ფსიქოლოგიური ანალიზის საფუძველზე. ვფიქრობთ, ასეა თუ ისე, გამომძიებელმა კიკნაძემ საქმე შეუკერა გიორგი შატბერაშვილს და გადასცა სასამართლოს. მასთან ერთად გაასამართლეს ფრიდონ ნაროუშვილი და პლატონ ქიქოძე, შალვა შავგულიძე კი ტუბერკულოზით დაავადდა და გარდაიცვალა. გიორგი შატბერაშვილს კი მიუსაჯეს სამი წლით გადასახლება ტაშკენტში, თბილისში ცხოვრების უფლების ჩამორთმევით. გიორგი შატბერაშვილის მამამ გამოძებნა სტალინის ბავშვობის მეგობარი, რომელმაც თხოვა „ბელადს“ დახმარება. მისი მითითებით, საბჭოთა კავშირის გენერალურმა პროკურორმა ვიშინსკიმ, გადახედა გიორგი შატბერაშვილის საქმეს და გაათავისუფლა, თუმცა, თბილისში ცხოვრების უფლება მაინც არ დართეს.

გიორგი შატბერაშვილმა მიაშურა მშობლიურ თვალადს, – საშუალო სკოლაში პედაგოგობა დაიწყო – ასწავლიდა ქართულ ენასა და ლიტერატურას.

ამით დამთავრდა გიორგი შატბერაშვილის ცხოვრების პირველი პერიოდი. დაიწყო მეორე პერიოდი, რომელიც საინტერესოდ აქვს გადმოცემული როსტომ ჩხეიძეს. მეგობარი მწერლები ხშირად სტუმრობდნენ და ერთგვარად უმსუბუქებდნენ ერთფეროვან ცხოვრებას, თუმცა ერთი წუთითაც არ დაუდია კალამი და გულმოდგინედ აგროვებდა თვალადურ სიტყვებს. ასე შეიქმნა მისი უნიკალური „თვალადური ლექსიკონი ჭაშნიკი“, რომელსაც როსტომ ჩხეიძემ დედა-ლექსიკონი, რომან-ლექსიკონი სამართლიანად უწოდა და ცალკე თავად ფართოდ განიხილა. გამაოცა როსტომის ენათმეცნიერულმა და ლექსიკის ფართოდ ცოდნამ. ეს გამოკვლევის ცალკე თემაა და ახლა მასზე აღარ შევჩერდები.




კიდევ მრავალი უცნობი და ნაკლებად ცნობილი ეპიზოდებია გადმოცემული, რომელიც როსტომს მამის მეგობრებისაგან შინაურ საუბრებში მოუსმენია. ამ მხრივ ეს რომანი უნიკალურია.

გიორგი შატბერაშვილს ჟურნალ „ცისკრის“ რედაქციაში შემოკრებილი ყავდა ახალგაზრდა პოეტების წრე და მათ ქართული სიტყვის სიყვარულის მადლს უნერგავდა, თანაც, მაგალითს თვითონ აძლევდა, – მეძებარივით ქართლში ეძებდა ხალხში ახალ სიტყვებს და თავს დაგურგურებდა, მათ არიგებდა და ეუბნებოდა – „ქართულად როცა ვერ ვმართავ წინადადებას, დედაჩემი დამიდგება თვალწინ, აბა ის ამას როგორ იტყოდაო და მაშინვე მშველისო“.

აქვე ორიოდე სიტყვა მინდა ვთქვა რომანში საკმაოდ ვრცლად წარმოდგენილ პეტრე შარიაზე. კიდევ არიან დღეს ადამიანები, ვისაც პეტრე შარია ახსოვთ მისი ზეობის ზენიტში. იგი ჯერ იყო საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პროპაგანდისა და აგიტაციის განყოფილების გამგე, ფაქტიურად, იდეოლოგი ქართველი კომუნისტებისა. შემდეგ ბერიამ გადაიყვანა მოსკოვში და რაღაც დიდი თანამდებობა ჩააბარა, ისევ იდეოლოგიის ხაზით.

პეტრე შარია ცერბერივით დარაჯობდა ქართველ მწერლებს. სოციალისტური რეალიზმიდან ოდნავ გადახრას არავის პატიებდა და შესაბამის პარტიულ ზომებს იღებდა.

ამ დროს „დაამუშავეს“ ზოშჩენკო. აბა ამ შემთხვევას შარია ხელიდან რას გაუშვებდა და სასწრაფოდ მოძებნა არაიდეური მწერალი საქართველოში – ეს იყო გიორგი შატბერაშვილი. როსტომს კარგადს აქვს გადმოცემული შარიას გამოსვლა, რომელმაც მრისხანედ განაცხადა: – „ზოსჩენკო - შატბერაშვილი„! აი ვინ არის ზოშჩენკოს მიმდევარი, რომელიც უნდა დაიგმოს და ა.შ. ამჯერად საქმე რეპრესიებამდე არ მისულა, მაგრამ შატბერაშვილი გვარიანად შეაშფოთა. არამარტო ის, მისი მეგობრებიც არანაკლებად შეწუხდნენ, მაგრამ ხმას ვინ ამოიღებდა მის დასაცავად...

პეტრე შარია სუფრაზე კარგი მომლხენი იყო, ღვინოს ბლომად მიირთმევდა. როცა შეზარხოშდებოდა, ის და მისი მეგობარი – კომუნისტი ფილოსოფოსი ალექსანდრე ქუთელია დააძრობდნენ რევოლვერებს და ჭერს ცხრილავდნენ. ალბათ, ვირტუალურ საბჭოთა ელემენტებს ხვრეტდნენ. აქვე ვიტყვი ქუთელიას შესახებაც. მაშინ მასზე შექმნა ფუნაგორია:

ალექსანდრე ქუთელია
კანტს კითხულობს უთენია,
დაბადებულ კატის კნუტად
კანტი ესმის კანტი-კუნტად.

ყველა აფერს აქვს დასაწყისი, ზენიტიც და დასასრულიც. ბერია დახვრიტეს, პეტრე შარიას მიუსაჯეს 11 წელი და ციმბირში უკრეს თავი. მაგრამ გაუძლო ციხის ერთკაციან საკანში ყოფნას და ცოცხალი გამოვიდა. დაბრუნდა თბილისში. სამუშაოდ არც უნივერსიტეტმა და არც ფილოსოფიის ინსტიტუტმა მიიღო. ბოლოს დევი სტურუას თხოვნით ჩვენი ინსტიტუტის დირექტორმა ალ.ბარამიძემ მიიღო თეორიის განყოფილებაში მეცნიერ-თანამშრომლად. მაშინ განყოფილების გამგე იყო წითელი პროფესორი მამია დუდუჩავა. ჩვენ, ახალგაზრდა მეცნიერ-თანამშრომლები, პეტრე შარიას ათასნაირ კითხვებს ვაძლევდით. მიუხედავად ამისა, საბჭოთა რეპრესიები ჰქონდა გამოვლილი, მედგრად იცავდა სოციალიზმის, როგორც ყველაზე ჰუმანურ სახელმწიფო წყობას. განსაკუთრებით კვიმატურ კითხვებს აძევდა აწ განსვენებული კრიტიკოსი, ფილიპე ბერიძე. ასეთ არაკომუნისტური კითხვებით აღშფოთებული პეტრე შარია ერთ დღესაც დირექტორთან შევიდა და შესჩივლა: – ეს რა ახალგაზრდები გყოლია ინსტიტუტში, ზომები მიიღეო. აკადემიკოსმა ალექსანდრე ბარამიძემ უთხრა: – ჩემი მუშაობის სტილი არ არის ადამიანები აზრის გამოთქმის გულისთვის დავსაჯოო. ერთი სიტყვით, პეტრე შარია სამარის კარზე ორთოდოქს კომუნისტად დარჩა.

ბარემ ერთსაც ვიტყვი. პეტრე შარიამ დაპატიმრებაზე ცოტა ხნით ადრე დაასრულა ვრცელი მონოგრაფია შოთა რუსთაველის „ვეფხისტყაოსანზე“ და სარეცენზიოდ გადასცა ერთ მეცნიერს. ამ დროს შარია დააპატიმრეს. ამ მეცნიერმა იფიქრა – გადასახლებიდან ცოცხალი ვერ ჩამოვაო და, რამდენიმე წლის შემდეგ, ნაშრომს სახელწოდება შეუცვალა, გადააკეთ-გადმოაკეთა და გამოსცა. მაგრამ, ჰოი უბედურებავ, პეტრე შარია ცოცხალი დაბრუნდა. როგორც მაშინ ამბობდნენ – ამ მეცნიერს ლომის წილი ჰქონდა პეტრე შარიას ჩვენს ინსტიტუტში მუშაობის დაწყების საქმეში.

... პეტრე შარია გარდაიცვალა. დავასაფლავეთ და ქელეხის სუფრაზე წავედით სასტუმრო „ივერიის“ ქვედა სართულზე. აქ იყო ის პლაგიატი მეცნიერიც. ხუტა ბერულავამ წამოაყენა წინადადება – სუფრას თამადა ჭირდებაო. მე მაშინ გულუბრყვილოდ წამოვიძახე ამ მეცნიერის გვარი. ხუტამ შემიბღვირა და ზიზღით გადახედა მას. არ მახსოვს, მგონი, თვითონ ხუტა ბერულავა დადგა თამადად.

კალამი გამექცა, თუმცა ღირს მოგონება პეტრე შარიაზე.

როსტომ ჩხეიძის ბიოგრაფიულ რომანში „ტივისხე“, კიდევ არაერთი საინტერესო ეპიზოდებია მოთხრობილი არმარტო გიორგი შატბერაშვილის შესახებ, არამედ ამ პერიოდის ლიტერატურული ცხოვრების შესახებ.

ეს წერილი არის ამ დიდებული ბიოგრაფიული რომანის წაკითხვის შედეგად მიღებული შთაბეჭდილებებითა და მოგონებათა ნაწყვეტების მოზაიკა მეტი პრეტენზია მას არ აქვს.

დასასრულ – არაერთგზის ვთქვი და კიდევ გავიმეორებ: – როსტომ ჩხეიძე ქართველი სტეფან ცვაიგია. ეს რომანიც ამის კიდევ ერთი დამამტკიცებელი საბუთია.

# ივანე გვარამაძე — „მესხეთ-ჯავახეთის მემატიანე“

## (გარდაცვალებიდან 105 წლისთავის გამო)



ივანე გვარამაძე.
მე-19 ს. 60-იანი წლები

XIX საუკუნის გამოჩენილ ქართველ მოღვაწეთა შორის ღირსეული ადგილი უკავია „ვინმე მესხის“ ფსევდონიმით ცნობილ განმანათლებელს ივანე გვარამაძეს. იგი თავისი დროისათვის კარგად განსწავლული პიროვნება და მრავალმხრივი მოღვაწეა: — არქეოლოგი, ისტორიკოსი, ეთნოგრაფი, მწერალ-პუბლიცისტი, მასწავლებელი, ხალხური სიტყვიერების შემკრები და მკვლევარი, პოეტი და მხატვარი, ფლობდა თურქულ, ფრანგულ, ლათინურ, სომხურ ენებს, იცნობდა ქართულ და სომხურ მწიგნობრობას, იყო კავკასიის ისტორიისა და არქეოლოგიის საზოგადოების წევრ-კორესპონდენტი (1882 წლიდან); საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოებისა და ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების წევრი. ეწეოდა კულტურულ-საგანმანათლებლო საქმიანობას; იგი სოფელ ხიზაბავრასა და ახალციხეში სკოლების დამფუძნებელი, უნიკალური საოჯახო მუზეუმის შემქმნელი, რაბათსა (ახალციხე) და ხიზაბავრაში ბიბლიოთეკა-სამკითხველოს დაარსების ერთ-ერთი ხელშემწყობი, პრაქტიკოსი მასწავლებელი, სახელმძღვანელოთა („ქართული ენის გრამატიკა“, „ქართლის ცხოვრება“ ) შემდგენელი, ღირსეულ მამულიშვილთა აღმზრდელი, მრავალი კათოლიკური ეკლესიის აღმდგენელი, სამცხე-ჯავახეთის ქართველ კათოლიკეთა სულიერი მოძღვარი, ქართულენოვანი ტიბიკონისათვის მებრძოლი, თვით ტერმინის — „ქართველი კათოლიკე“ — აღმდგენელი, ამ კუთხეში ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის მოთავე და, საერთოდ, მესხ განმანათლებელთა წინამძღოლი.

ივანე გვარამაძე ნათლად გრძნობდა XIX საუკუნის დასასრულს სამცხე-ჯავახეთში გამაჰმადიანებას გადარჩენილი ქართველობის გადაგვარების რეალური საფრთხის არსებობას. ამ საფრთხის მოსპობაში იგი მნიშვნელოვან როლს ანიჭებდა ქართული ენის დაცვასა და საქართველოს ისტორიის ისტორიულის თუ არქეოლოგიურის საგნებზე წერა, რაც დღემდის ცნობაში არ არის მოსულიო. (ს.ჯ.ი.მ.ხ.ფ. N1943, ალექსანდრე ფრონელის წერილი ივანე გვარამაძისადმი). მიუხედავად იმისა, რომ თვით ივანე გვარამაძემ მდიდარი მასალა მოიძია საქართველოს წარსულზე და მრავალი ისტორიული ნაშრომი დაწერა, იგი მაინც მთავარ მნიშვნელობას ანიჭებდა საქართველოს ისტორიის ისეთი სახელმძღვანელოს შექმნას, რომელიც ყველასათვის გასაგები იქნებოდა. მის ერთ-ერთ წერილში ვკითხულობთ: „ყველაფერი გამოგვდის ხელიდან, მაგრამ ხელსამძღვანი წიგნები (სახელმძღვანელოები — ნ.ყ.) კი ვერ შეგვიდგენია ჩვენდა სამწუხაროდ, რომ ახალმოზარდ თავობის მოთხოვნილება დავაკმაყოფილოთ“. (ს.ჯ.ი.მ.ხ.ფ. N2379, ივანე გვარამაძე, პასუხი ისტორიულ და არქეოლოგიურ შენიშვნაზედა კრიტიკოსს ბ. გრყ-ძეს, 188). საინტერესოა მის მიერ მოწოდებული ცნობაც იმასთან დაკავშირებით, რომ **„ზოგიერთ პატივცემულთ მისთვის მიუმართავთ საზოგადოდ სახმარი „ქართლის ცხოვრების“ შედგენის მოთხოვნით. ამასთან დაკავშირებით შენიშნავდა: „ამგვარს ჯეროვან თხოვნაზედ უარი ვერ ვუთხარით, როგორც მამულის მოყვარე დავსთანხმდი და ხელი ვახლე შრომას, რომელიც გავლილ წელს დაიბეჭდა“**. აქ მოხსენიებულ შრომაში იგულისხმება ზაქარია ჭიჭინაძის მიერ დაბეჭდილი ივანე გვარამაძის საისტორიო თხზულება: „ქართლის ცხოვრება“, მოკლედ შედგენილი მესხის ივანე გვარამაძისაგან, ძველი მოთხრობა, შეიცავს ჩვენი ცხოვრების კერპთმსახურებას 393 წლამდის“.

ივანე გვარამაძე გულისტკივილს გამოთქვამდა იმის გამოც, რომ საქართველს ისტორიის სწავლებას ჯეროვანი ყურადღება არ ექცეოდა სასწავლებლებშიც, რომ ქართველი ახალგაზრდობა მხოლოდ ევროპულ განათლებას იღებდა. ერთ-ერთ წერილში წერდა: ***„კარგად იციან ევროპელების ისტორიული ცხოვრების გავლილიც და აწმყოც, სადაც რომ მივიდეს თავს იჩენენ, ისახელებენ ევროპულს სწავლით კრებაში და თავიანთ სამშობლოს ისტორია კი რიგიან არა აქვს შესწავლილი, რომ იმ კრებაში თავიანთ სწავლულობის ბრწყინვალე ნაყოფი აჩვენონ თავიანთი სამშობლოს ისტორიის საფუძვლიან შესწავლით“***. (ს.ჯ.ი.მ.ხ.ფ. N2114, ივანე გვარამაძის წერილი). ეს ისე არ უნდა იყოს გაგებული, თითქოს იგი წინააღმდეგი იყო ევროპული განათლების მიღებისა, მიაჩნდა, რომ ყოველი ეროვნების ადამიანს ჯერ თავისი თავი უნდა შეესწავლა და მერე სხვისა. რათა იცოდეს, თუ როგორ უცხოვრია მის ხალხს, თვითონ საითკენ უნდა მიისწრაფოდეს და რა უნდა გააკეთოს სამომავლოდ. ამისათვის, მისი აზრით, საჭირო იყო სამშობლოს წარსულის ცოდნა. სწორედ ამიტომაც, კრებდა და იკვლევდა ისტორიულ მასალებს, რომელთაც მის სიცოცხლეშივე მაღალ შეფასებას აძლევდნენ ცნობილი საზოგადო მოღვაწენი. მათ შორის ისტორიული შრომებით აღფრთოვანებული ზაქარია ჭიჭინაძე ივანე გვარამაძეს წერდა: „თქვენგან დაწერილი ისტორიული მასალები დაუფასებელ ადგილს დაიჭერს საქართველოს ისტორიაში... ჩვენ თუ არა, უეჭველია ოდესმე მაინც, საქართველოს მომავალი, ახალი თაობა თავიანთი წარსულის ისტორიულის წერილების გამო დიდს მადლობას გიძღვნიან... მე ისეთი შეყვარებული ვარ თქვენი ისტორიული წერილების, რომ კალამსა და თითებსაც კი დაგიკოცნით, რომ განახოთ სადმე“. ატყობინებდა, რომ თვით დიმიტრი ბაქრაძეც კი დიდად აფასებდა მის ისტორიულ მასალებს. (ს.ჯ.ი.მ.ხ.ფ. N1838, ზაქარია ჭიჭინაძის წერილი ივანე გვარამაძისადმი, 1880).

ივანე გვარამაძის ისტორიის სფეროში მოღვაწეობას მაღალი შეფასება მისცეს თანამედროვე მეცნიერებმა. კერძოდ, ლ. ფრუიძემ „მესხეთ-ჯავახეთის ყოფა-ცხოვრების მატიანე უწოდა, (ჟურნ. „ცისკარი“, N9 — 1972). ხოლო გურამ შენგელია სამართლიანად დაასკვნიდა, რომ მისი შრომების გაცნობა-შესწავლის გარეშე შეუძლებელია სამხრეთ საქართველოს შესახებ რაიმე გამოკვლევის დაწერაო. (გაზ. „წიგნის სამყარო“, N11 — 1977). გივი ახვლედიანი ყურადღებას ამახვილებს ისტორიული კვლევის მიმართულებაზე. კერძოდ, ისტორიული მოვლენებისა და ფაქტების დასადგენად ფოლკლორული მასალის გამოყენებაზე.

სამცხე-ჯავახეთში პირველი მუზეუმის დაფუძნებაც ივანე გვარამაძის სახელს უკავშირდება. მოძიებული მასალებიდან ირკვევა, რომ იგი ჯერ კიდევ ახალგაზრდობისას ხშირად მოგზაურობდა სამცხე-ჯავახეთის სოფლებში, აჭარაში და თურქეთის ტერიტორიაზე, სადაც ქართველები ცხოვრობდნენ. ზეპირსიტყვიერების ნიმუშებთან ერთად იგი აგროვებდა არქეოლოგიურ, ეთნოგრაფიულ, ისტორიულ მასალებს. კერძოდ, ნუმიზმატიკურ მასალებს, ხელნაწერ წიგნებს, ცხოველთა ნაშთებს, ძველ სამკაულებს, საბეჭავებსა და სხვადასხვა ნივთებს. სწორედ მოძიებული მასალით მოაწყო საოჯახო მუზეუმი XIX საუკუნის 80-იან წლებში.

ივანე გვარამაძის მოღვაწეობის ამ სფეროსთან დაკავშირებით დაწვრილებით ცნობებს გვაწვდის მისი ვაჟი — კონსტანტინე. მისი გადმოცემით, ივანეს ჰქონია შეგროვილი როგორც ქართული, ისე უცხოური ნუმიზმატიკა, ხელნაწერი ლიტერატურა, ბრინჯაოს, რკინისა და ქვის ხანის ცულები, შუბები და სხვა იარაღები, ჭურჭელი, ჩაჩქნები, ადამიანის თავის ქალა, ჰერბარიუმები, აგრეთვე გეოლოგიური კოლექციები და სხვადასხვა იშვიათი ნივთეულობანი, რომელიც თავის სამუშაო კაბინეტში ჰქონია მოთავსებული. კონსტანტინე წერდა: „მისი კაბინეტი სწორედ ერთგვარ იმ დროის საუცხოვო მუზეუმს შეადგენდა, რომლის სანახავად და გასაცნობად ბევრი მეცნიერი, ისტორიკოსი და უცხოეთის ტურისტებიც კი ესტუმრებოდნენ ხოლმე“. სტუმართა შორის ასახელებს მოსკოვის ისტორია-ეთნოგრაფიის საზოგადოების თავმჯდომარეს — გენერალ კომაროვს, რომელიც 1882 წელს სწვევია ივანე გვარამაძეს სოფელ ხიზაბავრაში, იქ რამდენიმე დღეს დარჩენილა და გასცნობია მის ნუმიზმატიკურ მასალას. უფრო ადრე მისი სტუმარი ყოფილა ქალბატონი უვაროვისა. ხოლო 1910 წელს ლონდონის ისტორია-ეთნოგრაფიის საზოგადოების წევრი, მსოფლიო მოგზაური — პრაისი. იგი ხუთ დღეს დარჩენილა ახალციხეში, ივანე გვარამაძისაგან თავის მსოფლიოს გარშემო მოგზაურობის წიგნ-რვეულში ჩაუწერია სამცხე-ჯავახეთის ისტორიული და არქეოლოგიური ცნობები. პრაისი განსაკუთრებით განუცვიფრებია ვერცხლით მოჭედილ ყდაში ჩასმულ ბატის ფრთის კალმით ნაწერ პატარა წიგნს, რომლის შესახებ აღუნიშნავს, რომ თავისი ზომითა და მშვენიერი ხელოვნებით მთელ მსოფლიოში მეორე კატეგორიათ ჩაითვლებაო (პირველი ინახება ლონდონის ბიბლიოთეკაში). ამასთანავე, გამოუთქვამს მისი შესყიდვის სურვილი 100000 ფრანკის საფასურად. ივანე გვარამაძემ უცხოელის სურვილი ვერ შეასრულა. უნდა აღინიშნოს ისიც, რომ მოხსენიებული წიგნი თვითონ ივანე გვარამაძის მიერ XIX საუკუნის ბოლოს იყო გადაწერილი და შედგენილი, რელიგიური სცენებით მოხატული ლოცვების წიგნი — „ლოცვები და გალობანი“, ე.წ. „ვარშავის“ ვერცხლის ყდაში ჩასმული (ფურცლის ზომა არის 6,5X5სმ. ივანე გვარამაძე წიგნს მუდმივად უბის ჯიბით დაატარებდა. (მის მიერ შედგენილი მსოფლიო მნიშვნელობის წიგნი სამცხე-ჯავახეთის ისტორიის მუზეუმის ერთ-ერთი უნიკალური ექსპონატია (N3159), რომელიც ათწლეულების განმავლობაში ფონდში იყო დაცული. ამჟამად კი საგამოფენო დარბაზშია განთავსებული და ქართველ საზოგადოებას მისი ხილვის საშუალება აქვს.

ივანე გვარამაძეს თავის მრავალმხრივ მოღვაწეობაში ხელს უშლიდნენ თვით სულიერი მოძღვარნი, ხშირად უცვლიდნენ სამოღვაწეო ასპარეზს, ტოვებდნენ სამსახურის გარეშე. მაგრამ, მიუხედავად ამისა, იგი მთელი სიცოცხლის მანძილზე პატიოსნად შრომობდა, ერთგულად ემსახურებოდა თავის ხალხს, ბევრი კეთილი საქმე გააკეთა და მაინც, როგორც ჩანს, თვითონ არ იყო კმაყოფილი თავისი მოღვაწეობით: „ვერა გავარიგერა სასარგებლო ჩვენი ქვეყნისათვის, ყოველი სურვილი და წადილი გამიუქმდა და დავრჩი ასე გულხელ დაკრეფილი“, — წერდა იგი ექვთიმე თაყაიშვილს გარდაცვალებამდე სულ ცოტა ხნით ადრე. (ს.ჯ.ი.მ.ი.მ.ა. N670 (5) ივანე გვარამაძის წერილი ექვთიმე თაყაიშვილისადმი).

შესწავლას. პროფ. გიორგი ჯალაბაძე სამართლიანად აღნიშნავს, რომ *„მას ისტორია, როგორც მეცნიერება, ყველა ქართველი კაცისათვის აუცილებელ საგნად მიაჩნდა. როცა იგი „ქართლის ცხოვრების“ მეორე ნაწილზე მუშაობდა, მთელ თავის შემოქმედებას იქითკენ მიმართავდა, რომ ყველაფერი, რაც ისტორიის კუთვნილებას შეადგენდა, ხალხმა იცოდეს, რომ ყველა ქართველისათვის იყოს იგი ცნობილი“ (ჯალაბაძე გ., „ივანე გვარამაძე (ვინმე მესხი)“, სამეცნიერო კონფერენციის მასალები, სამცხე-ჯავახეთის ისტორიული მუზეუმი, ახალციხე, 1987).* ივანე გვარამაძის აზრით, სამცხე-ჯავახეთის მოსახლეობას გადაგვარება რომ აეცილებინა თავიდან, საჭირო იყო ამ ხალხში ეროვნული თვითშეგნების გამოღვიძება. „ქართლის ცხოვრების“ წინასიტყვაობაში წერდა: ***„ყოველი კაცისათვის დიდად სასურველი არის, რომ იცოდეს ნამდვილი ისტორიით თავისი გვარტომობის შთამომავლობა, თუ ვინ იყო მისი წინაპარი მამა-მთავარი? სად ცხოვრობდა, რა ენაზე ლაპარაკობდა? ვინ ჰყავდათ გმირნი თუ მეფეები? ვისთან და როგორ ცხოვრობდნენ ქვეყანაზედა“?*** *(ს.ჯ.ი.მ.ხ.ფ. N182, ივანე გვარამაძე, „ქართლის ცხოვრება“, წინასიტყვაობა, წიგნი I, თბილისი 1882).*

ივანე გვარამაძე, შექმნილი მდგომარეობიდან გამომდინარე, განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებდა მესხეთის ისტორიის შესწავლას. ამიტომაც იყო, რომ იგი ხშირად მოგზაურობდა და არ დაუტოვებია ამ მხარის „კუთხე-კუნჭული“. აგროვებდა ეთნოგრაფიულ, არქეოლოგიურ, ნუმიზმატიკურ, ისტორიულ მასალებს. ეწეოდა აქტიურ შემგროვებლობით საქმიანობას, მაგრამ საკმარისად არ მიაჩნდა თავისი შრომა. ამიტომ 1881 წ. მოუწოდა ადგილობრივ ადმინისტრაციას, რომ ეზრუნა ***„ისტორიული სამასალო საგნების შეკრებაზე“ :***

ივანე გვარამაძემ დიდი ამაგი დასდო თავის მშობლიურ მხარეს. შეისწავლა ისტორიული ძეგლები, ამოიკითხა მრავალი ძველი წარწერა. დავით კოჟორიძე სამართლიანად შენიშნავს, რომ **„გვარამაძემ აღწერა სამხრეთ საქართველოს მნიშვნელოვანი პუნქტები: აწყური, ახალქალაქი, ახალციხე, ბარალეთი, გოკია ზადენი, ზარზმა, თმოგვი, კუმურდო, ოძრხე, საფარა, ჭულე, ხერთვისი“** *(კოჟორიძე დ., „განათლება და კულტურა სამცხე-ჯავახეთში“, გამომცემლობა „განათლება“, თბილისი, 1986).* უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ივანე გვარამაძე მოძიებულ და შესწავლილ მასალებს შემოწმება-შეფასების მიზნით უგზავნიდა ცნობილ მოღვაწეებს: დიმიტრი ბაქრაძეს, მარი-ბროსეს, ზაქარია ჭიჭინაძეს, ექვთიმე თაყაიშვილს, ივანე როსტომაშვილს. გარდა ამისა, ფართო საზოგადოებრიობას პრესის საშუალებით აწვდიდა საინტერესო მასალებს. ივანე გვარამაძის ასეთმა მოღვაწეობამ განაპირობა 1882 წლის 10 აპრილს მისი არჩევა კავკასიისა და არქეოლოგიის საზოგადოების წევრ-კორესპონდენტად. ამის შესახებ სპეციალური შეტყობინება ინახება მის არქივში *(ს.ჯ.ი.მ.ხ.ფ. N2236, ივანე გვარამაძის კავკასიის ისტორიისა და არქეოლოგიის საზოგადოების წევრად არჩევის ცნობა, 1882).* აქვე დაცულია 1884 წლის 22 აგვისტოთი დათარიღებული საბუთი ივანე გვარამაძისადმი, სადაც, მითითებულია, რომ ახალციხის მაზრაში სიძველეთა აღსაწერად სოფლის მამასახლისებმა გამოუყონ ერთი შეკაზმული ცხენი და მეგზური, აღმოუჩინონ ყოველგვარი დახმარება, რაც კანონითაა გათვალის-წინებული. აქვე დაცულია აგრეთვე ოფიციალური დოკუმენტი იმის შესახებ, რომ ივანე გვარამაძე იგზავნება ახალციხის მაზრაში სიძველეთა აღსაწერად კავკასიის ისტორიისა და არქეოლოგიის საზოგადოების მიერ. ეს დოკუმენტი თარიღდება 1884 წლის ივნისით. ამრიგად, გასული საუკუნის 80-იანი წლებიდან ივანე გვარამაძეს ოფიციალურად დაევალა სამცხე-ჯავახეთის „სიძველეთა აღწერა-მოძიება“. 1908 წლის 18 ნოემბერს კი საქართველოს საისტორიო საზოგადოების კრებამ ივანე გვარამაძე აირჩია საზოგადოების ნამდვილ წევრად.

უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ქართველი საზოგადოება დიდი ინტერესით ადევნებდა თვალყურს ივანე გვარამაძის საქმიანობას და ამიტომაც იყო, რომ პრესის ფურცლებზე ხშირად იბეჭდებოდა ცნობები მის მიერ აღწერილი და მოძიებული მასალების შესახებ. მაგალითისათვის დავასახელებთ ცნობას ჟურნალ „აკაკის კრებულიდან“ : *„ვინმე მესხმა სოფელ ხიზაბავრაში აღმოაჩინა „დათათ სერის დარანი“, წაიკითხა „ჭაიტის“ ეკლესიის ხუცური წარწერა... გადმოიღო „კოჟიათ ნაფუზარში“ მიწის თხრის დროს ნაპოვნი ჩუქურთმიანი ფიგურული გამოსახულებანი, ლიტოს კაკლებთან მდებარე ლურსმნულად მიჩნეული წარწერა და სხვა“ (ჟურნ. „აკაკის კრებული“, N1 – 1997).*

გვარამაძის მიერ მოძიებული მასალები საფუძვლად დაედო მის ისტორიული ხასიათის წერილებს, შრომებს, რომლებიც დღეისათვის ისევ ხელნაწერის სახით არსებობს. მათ შორის აღსანიშნავია: პირველყოფილ ადამიანთა ცხოვრება, საისტორიო მისიონური დღიური-წერილები, ისტორიული მასალები, არქეოლოგიური მოგზაურობანი, ახალციხური ფელეტონები, საეკლესიო, ისტორიული მასალები, მესხეთის კათოლიკების ისტორია, სამესხეთოს აღწერა და სხვა. ამასთანავე, უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ივანე გვარამაძის მიერ გადაწერილია მრავალი საისტორიო ქრონიკა, ხელნაწერი წიგნი. ასეთი საქმიანობა თავისთავად საჭიროებდა დიდ ენერგიასა და დროს. ამიტომაც იყო, რომ ილია ალხაზიშვილი წერდა: ***„ამდენი ათასგვერდობით დროის მოთხოვნების შესაფერი წიგნები რომ დაეწერა, უფრო დიდ საუნჯეს შესძენდა ჩვენს ლიტერატურასო“,*** იქვე გამოთქვამდა აზრს: ***„დიდად დაგვავალებს მამა იოანე, რომ ამის შესახებ დანარჩენი თავისი ძალა მოახმაროს თავის სამშობლოს — მესხეთის წარსული ისტორიის აღწერას, ხალხში დარჩენილ გადმონაცემ წყაროებიდან და არა წიგნებიდან. ამით დაუვიწყარ სამარადისო ძეგლს დაუდგამს მამა იოანე თავის სახელს ქართულ ლიტერატურაში“*** *(გაზ. „ივერია“, N84 – 1887).* ილია ალხაზიშვილის აზრით, სწორედ ივანე გვარამაძეს უნდა გამოეკვლია მესხეთის ცხოვრება და ათაბაგები. მართებული არ იქნება, სრულად თუ გავიზიარებთ ბატონ ილია ალხაზიშვილის მოსაზრებას, რადგან ივანე გვარამაძემ გადაწერის გზით გადაარჩინა და შემოგვინახა მრავალი ძველი წარწერა და ხელნაწერი. (ყრუაშვილი ნ., ივანე გვარამაძე და სამცხე-ჯავახეთის ისტორიულ-ეთნოგრაფიული შესწავლა, თსუ ახალციხის ფილიალი, „მესხეთი“ (საისტორიო კრებული), II, თბილისი-ახალციხე, 1998).

ივანე გვარამაძემ წარმოაჩინა მანამდე უცნობი მასალა საქართველოს ისტორიიდან. ამას თვითონვე აღნიშნავდა ალექსანდრე ფრონელისადმი გაგზავნილ წერილში, სადაც თანხმობას უცხადებდა გაზეთ „პეტერბურგსკი ვედომოსტში“ თანამშრომლობაზე და აცნობებდა, რომ შეუძლია ძველი

დასასრული გვ-12 ▶

# მუნიციპალიტეტის ახლადარჩეული მერები და საკრებულოს თავმჯდომარეები სამცხე-ჯავახეთის რეგიონიდან

## ზაქარია ენდელაძე

ადიგენის მუნიციპალიტეტის მერი

***(ქართული ოცნება – დემოკრატიული საქართველო)***



დაიბადა 1976 წლის 21 მარტს, ადიგენის რაიონის სოფ. ხევაშენში.

1993 წელს დაამთავრა სოფელ ვარხნის საშუალო სკოლა და სწავლა განაგრძო ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მესხეთის ფილიალში, ისტორიის ფაკულტეტზე.

1999-2004 წლებში მუშაობდა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სისტემაში – სხვადასხვა პასუხსაგებ თანამდებობაზე. პარალელურად მიიღო იურიდიული განათლება.

2005 წელს საერთაშორისო ორგანიზაცია „MRCY CORPS„-ის პროექტის ფარგლებში მონაწილეობდა „სოფლის პროგრამის" განხორციელებაში.

2006 წლიდან რუსთავის მეტალურგიული ქარხნის დაცვისა და უსაფრთხოების სამსახურის უფროსია. შემდეგ მუშაობას იწყებს სხვადასხვა არასამთავრობო ორგანიზაციაში იურისტად – ადამიანთა უფლებების დაცვის კუთხით.

2012 წელს ადვოკატთა ასოციაციის წევრია. აქვს როგორც სამოქალაქო, ასევე სისხლის სამართლის საქმეებზე მუშაობის პრაქტიკული გამოცდილება.

2014 წლის მარტიდან ივნისამდე ადიგენის მუნიციპალიტეტის გამგებლის მოვალეობის შემსრულებელია, ხოლო შემდეგ არჩეული იქნა გამგებლად.

ჰყავს მეუღლე და სამი შვილი

## როსტომ მაგრაქველიძე

ასპინძის მუნიციპალიტეტის მერი

***(ქართული ოცნება – დემოკრატიული საქართველო)***



დაიბადა 1973 წლის 1 ნოემბერს დაბა ასპინძაში.

1990 წელს წარჩინებით დაამთავრე ასპინძის საშუალო სკოლა, ამავე წელს ჩაირიცხა საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში, რომლის დამთავრებიდან დღემდე მოღვაწეობს ასპინძის რაიონში.

1995-96 წლებში მუშაობდა ასპინძის სამომხმარებლო კოოპერატივში საქონელმცოდნის თანამდებობაზე, 1997 წელს აირჩიეს ამავე სამომხმარებლო კოოპერატივის თავმჯდომარედ, რომელსაც ხელმძღვანელობდი 2006 წლამდე.

2006 წელს აირჩიეს N39 ასპინძის საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარედ, რომელსაც ხელმძღვანელობდა ამა წლის სექტემბრამდე. მის თავმჯდომარეობის პერიოდში ჩატარებული აქვს 8 სხვადასხვა სახის არჩევნები.

2013 წლიდან არის ცესკო-ს მიერ შერჩეული ტრენერ/ფასილიტატორი სამცხე-ჯავახეთის რეგიონში და ახორციელებს ყოველწლიურ პროექტებს.

ჰყავს მეუღლე და ორი შვილი.

## იურიკ უნანიან

ახალქალაქის მუნიციპალიტეტის მერი

***(ქართული ოცნება – დემოკრატიული საქართველო)***



დაიბადა 1960 წელს ბორჯომის რაიონის სოფელ ჭიხარულაში. დაამთავრა ამავე სოფლის საშუალო სკოლა. შემდეგ სწავლას აგრძელებს ქ.ერევნის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიულ ფაკულტეტზე და ღებულობს სამართალმცოდნის სპეციალობას.

იგი ადრეული წლებიდან ჩაება საზოგადოებრივ საქმიანობაში. წლების განმავლობაში მუშაობდა ახალქალაქის რაიონის სოფლის მეურნეობის წყალმომარაგების სამმართველოსა და ფეხსაცმლის ფაბრიკა „ისანში" მუშად, არასაუწყებო დაცვის ახალქალაქის შს რაიგანყოფილებაში დარაჯად, საბინაო საექსპლოატაციო უბანში ზეინკლად, წიგნის მოყვარულთა საზოგადოების გამგეობის მდივნად, კომკავშირის რაიკომის განყოფილების გამგედ, პარტიის რაიკომის ინსტრუქტორად, იყო რაიონის პროკურატურის სტაჟიორი, გამომძიებელი, პროკურორის თანაშემწე, პროკურორი, შემდეგ გადაჰყავთ ნინოწმინდაში პროკურორის თანაშემწედ, ხოლო მერად არჩევამდე ახალქალაქი-ნინოწმინდის პროკურორია.

ჰყავს მეუღლე და ორი შვილი

## ზაზა მელიქიძე

ახალციხის მუნიციპალიტეტის მერი

***(ქართული ოცნება – დემოკრატიული საქართველო)***



დაიბადა 1966 წლის 6 მაისს ასპინძის რაიონის დაბა ასპინძაში;

1983 წელს დაამთავრა სოფელ ტოლოშის საშუალო სკოლა და სწავლა განაგრძო თბილისის სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტში ეკონომიკის ფაკულტეტზე, რომელიც დაამთავრა 1991 წელს;

ორი წელი სავალდებულო სამხედრო სამსახურშია.

1988 წელს მუშაობას იწყებს ჯერ ახალციხის ადგილმრეწველობის სარაიონთაშორისო საწარმოო გაერთიანებაში და შემდეგ სახელმწიფო საწარმოო გაერთიანება „ვარძიაში" მომარაგება-გასაღების განყოფილებების უფროსად;

1997-2014 წლებში, სხვადასხვა დროს, ეკავა შპს „ვარძიის„ლუდის საამქროს უფროსის, შპს „მელიზასა" და შპს „მესხეთი XXI„-ში დირექტორის თანამდებობები;

2014-2017 წლებში არჩეული იყო ახალციხის მუნიციპალიტეტის გამგებლად;

ჰყავს მეუღლე და ორი შვილი.

## ლევან ლიპარტია

ბორჯომის მუნიციპალიტეტის მერი

***(ქართული ოცნება– დემოკრატიული საქართველო)***



დაიბადა 1981 წლის 11 იანვარს ქალაქ ბორჯომში..

1998–2002 წლებში სწავლობდა ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ისტორიის ფაკულტეტის დიპლომატიისა და საერთაშორისო ურთიერთობების ისტორიის სპეციალობაზე; ასევე 2003 წელს დაამთავრა ნოდარ დუმბაძის სახელობის თბილისის სახელმწიფო ინსტიტუტი და მიიღო საბანკო-საგადასახადო საქმის კვალიფიკაცია.

2004 წლის იანვრიდან ივნისამდე ბორჯომ-ხარაგაულის ეროვნული პარკის საზოგადოებასთან ურთიერთობისა და განათლების სამსახურის უფროსია;

2004 წლიდან 2017 წლამდე მუშაობდა ბორჯომის სხვადასხვა მიკროსაფინანსო ორგანიზაციაში ხელმძღვანელ თანამდებობებზე.

ჰყავს მეუღლე და ორი შვილი.

## ანივარდ (ანი) მოსოიანი

ნინოწმინდის მუნიციპალიტეტის მერი

***(ქართული ოცნება – დემოკრატიული საქართველო)***



დაიბადა 1974 წლის 9 მაისს ნინოწმინდის (ყოფილი ბოგდანოვკის) რაიონის ქალაქ ნინოწმინდაში.

1991 წელს დაამთავრა ქ.ნინოწმინდის მეორე საშუალო სკოლა და იმავე წელს სწავლა გააგრძელა ერევნის ეკონომიკურ-იურიდიული უნივერსიტეტის ფსიქოლოგიის ფაკულტეტზე და წარჩინებით დაამთავრა იგი 1996 წელს, 2000 წელს ამთავრებს თბილისის საერო ინსტიტუტს – „გაენათს", ფსიქოლოგიისა და ქართული ენის მასწავლებლის სპეციალობით.

1994 წლიდან დღემდე ნინოწმინდის მე-3 საჯარო სკოლის ქართული ენის მასწავლებელია. ამასთან, 2008-2009 წლებში მუშაობდა ამავე სკოლის დირექტორად, ხოლო 2009-2013 წლებში – ნინოწმინდის საგანმანათლებლო რესურსცენტრის უფროსია.

2014 წელს ირჩევენ ნინოწმინდის საკრებულოს წევრად და თავმჯდომარეობს განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიას.

ჰყავს მეუღლე და ორი შვილი.

## იმედა მღებრიშვილი

ადიგენის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე

***(ქართული ოცნება – დემოკრატიული საქართველო***



დაიბადა 1978 წლის 14 აპრილს ადიგენის მუნიციპალიტეტის სოფელ ბენარაში. 1995 წელს დაამთავრა ამავე სოფლის საჯარო სკოლა.

1995-1999 წლებში სწავლობდა ი.ჯავახიშვილის სახელობის თსუ-ს ახალციხის ფილიალის ისტორიის ფაკულტეტზე, ამავე უნივერსიტეტში 2007 წელს დაამთავრა იურიდიული ფაკულტეტი,

2000-2007 წლებში მუშაობდა ადიგენის მუნიციპალიტეტის სოფელ ბენარის საჯარო სკოლაში დაწყებითი სამხედრო მომზადების პედაგოგად, პარალელურად – დირექტორის მოადგილედ აღმზრდელობითი მუშაობის დარგში. 2002-2004 წლებში არჩეული იყო სოფ. ბენარის თემის საკრებულოს დეპუტატად.

რამდენიმე წელი მუშაობდა იუსტიციის სამინისტროს აღსრულების ეროვნულ ბიუროში სხვადასხვა თანამდებაზე, მესამე მოწვევის საკრებულოში – საფინანსო-საბიუჯეტო, ეკონომიკისა და ქონების მართვის კომისიის თავმჯდომარედ. 2015-2017 წლებში კი საკრებულოს თავმჯდომარეა.

ჰყავს მეუღლე და ორი შვილი.

## მამუკა მელიქიძე

ასპინძის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე

***ქართული ოცნება – დემოკრატიული საქართველო***



დაიბადა 1971 წლის 26 ნოემბერს დაბა ასპინძაში. 1991-1996 წლებში წარმატებით დაამთავრა ქ. თბილისის ჰუმანიტარული ინსტიტუტის ეკონომიკური ფაკულტეტი წარმოების მენეჯერის სპეციალობით და მიენიჭა ეკონომისტის კვალიფიკაცია.

1994-1997 წლებში მუშაობდა ასპინძის რაიონულ შემნახველ ბანკში სავალუტო განყოფილების უფროსად; 1997-1999 წლებში – „გაერთიანებული ქართული ბანკის" ახალციხის ფილიალში სხვადასხვა თანამდებობებზე.

1999-2002 წლებში საქართველოს საბაჟო დეპარტამენტის საბაჟო „ვალეს" უფროსის მოადგილეა.

2002-2005 წლებში დაინიშნა რეგიონული საბაჟო „სამხრეთის" საბაჟო გამშვები პუნქტ „ვალეს" უფროსის მოვალეობის შემსრულებლად.

2005-2008 წლებში სამშენებლო კომპანია შპს „XXI საუკუნეს" ფინანსური დირექტორია, 2008-2013 წლებში – სს „ხალიკ ბანკი საქართველოს" ცენტრალური ფილიალის სამეურნეო განყოფილების უფროსი, 2013 წლიდან მგპ „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველოს" ასპინძის საოლქო ორგანიზაციის თავმჯდომარე.

2014 წელს არჩეულ იქნა ასპინძის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარედ.

ჰყავს მეუღლე და სამი შვილი.

## ნაირი ირიციან

ახალქალაქის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე

***(ქართული ოცნება – დემოკრატიული საქართველო)***



დაიბადა 1963 წლის 21 ოქტომბერს ქ.ახალქალაქში. 1970-1980 წლებში სწავლობდა ახალქალაქის რუსულ საშუალო სკოლაში, რომლის დამთავრების შემდეგ სწავლა განაგრძო. რუსეთის ფედერაციის ქალაქ კუიბიშევის ელექტრო-ტექნიკურ ინსტიტუტში და 1997 წლიდან მუშაობას იწყებს ახალქალაქის საფინანსო პოლიციაში ოფიცრის თანამდებობაზე.

2002 -2006 წლებში იგი არჩეულია ახალქალაქის მერად, ხოლო 2007 წელს ახალქალაქის მუნიციპალიტეტის გამგებელია. 2014 წელს არჩეული იქნა მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომრის მოადგილედ.

ჰყავს მეუღლე და სამი შვილი.

## გელა ნოზაძე

ახალციხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე

***(ქართული ოცნება – დემოკრატიული საქართველო)***



დაიბადა 1962 წლის 2 ოქტომბერს ახალციხის რაიონის სოფელ კლდეში. 1977 წელს დაამთავრა ამავე სოფლის 8-წლიანი სკოლა, ხოლო შემდეგ ახალციხის N1 საშუალო სკოლა.

იმავე წელს მუშაობას იწყებს ახალციხის სანერგე მეურნეობის ტექნიკუმში; მოიხადა სავალდებულო სამხედრო სამსახური. 1982 წლიდან კვლავ ამავე ტექნიკუმშია, შემდეგ ახალციხის საგზაო სამმართველოში სხვადასხვა თანამდებობაზე. 1984 წელს მისაღები გამოცდები ჩააბარა საქართველოს პოლიტექნიკურ ინსტიტუტში, რომელიც ოჯახური მდგომარეობის გამო ვერ დაასრულა.

1992 წლიდან სოფელ კლდის თემის საკრებულოში იწყებს მუშაობას, შემდეგ ახალციხის სამხედრო კომისარიატში კომისრის მოადგილედ, 2003 წლიდან ახალციხის სამხედრო აღრიცხვისა და გაწვევის სამსახურში მთავარი სამხედრო სპეციალისტია.

ჰყავს მეუღლე და შვილი

## ზაზა ჩაჩანიძე

ბორჯომის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე

***(დავით თარხან-მოურავი, ირმა ინაშვილი***

***– საქართველოს პატრიოტთა ალიანსი)***



დაიბადა 1969 წლის 5 მარტს ბორჯომში;

1985 წელს დაამთავრა ბორჯომის N3 საშუალო სკოლა;

1989-93 წლებში სწავლობდა საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში, სამოქალაქო და სამრეწველო მშენებლობის სპეციალობით;

1993-96 წლებში მუშაობს შპს „ნუას" დირექტორად;

1996-2004 წლებში ქართულ-ებრაული ერთობლივი საწარმო „IG" გენერალური დირექტორია, ხოლო 2011-14 წლებში შპს „არტგრუპდინასტის" დირექტორი;

2014-17 წლებში არჩეული იქნა ბორჯომის საკრებულოს თავმჯდომარედ.

ჰყავს მეუღლე და ორი შვილი.

## სუმბატ კიურეღიან

ნინოწმინდის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე

***(ქართული ოცნება – დემოკრატიული საქართველო)***



დაიბადა 1969 წლის 8 მარტს ნინოწმინდის რაიონის სოფელ ფოკაში.

სწავლობდა ამავე სოფლის საშუალო სკოლაში, შემდეგ დაამთავრა ნინოწმინდის პროფტექსასწავლებელი. 1988 წელს სწავლა განაგრძო სომხეთის რესპუბლიკის ქალაქ ერევნის სომხური სოფლის მეურნეობის ინსტიტუტის აგრონომიის ფაკულტეტზე, რომლის სრული კურსი დაამთავრა 1993 წელს.

1994 წლიდან მუშაობას იწყებს გორელოვკის საშუალო სკოლაში ბიოლოგიის მასწავლებლად, 2005 წელს კი ინიშნება ამავე სკოლის დირექტორად. ამ თანამდებობაზე ერთი წლის მუშაობის შემდეგ, 2006 წელს, ერთიანი ნაციონალური მოძრაობიდან ირჩევენ მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრად და 2010 წლის მაისამდე თავმჯდომარეობდა სოციალურ საკითხთა და ინფრასტრუქტურის კომისიას. 2010 წლის ივნისიდან 2013 წლის აპრილამდე ამავე საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილეა, 2013 წელს არჩეული იქნა საკრებულოს თავმჯდომარედ.

ჰყავს მეუღლე და სამი შვილი.



# დიდი პოეტი

*„ჩვენი ჟურნალის თანამშრომლის ბატონ ვასილ გვეტაძის, – სახელოვანი პოეტისა და უსაყვარლესი ადამიანის საიუბილეო თარიღი ისევ ბატონი ვასოს მოკრძალებული ბუნების გამო, ბატონმა ჯანსუღმა მოგვიანებით შეიტყო.*

*ძალიან წუხდა...*

*მაშინვე კალამს დაავლო ხელი და წერას შეუდგა.*

*ერთ საათში მისალოცი მზად ჰქონდა ისე, რომ ბატონი ვასოსთვის არაფერი უთქვამს, წერილი მაშინვე საკუთარი ხელით წაიღო გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ რედაქციაში.*

*მოგვიანებით სტამბიდან დარეკა, ბატონი ვასო თუ კიდევ მანდაა, დამელოდოს და ახლავე მოვალო.*

*თხუთმეტ წუთში ჩვენთან იყო. ფეხით ევლო, ლიფტიც არ მუშაობდა, აჩქარებით სუნთქავდა. ხელში მთლად სველი, სტამბის საღებავშეუმშრალი გაზეთის ამონაბეჭდი ეჭირა, რომელშიც ბევრი ადგილი ისევ ცარიელი იყო.*

*დაგვიძახა და წერილი წაგვიკითხა, – უდიდესი სითბოთი და სიყვარულით გამთბარი სტრიქონები სულგანაბულებმა მოვისმინეთ.*

*ბატონი ვასო წამოდგა და, მადლობის ნიშნად, ბატონ ჯანსუღს გადაეხვია.*

*არასოდეს დამავიწყდება მისი აღტაცებული მზერა, – იმ დღეს იგი ყველას თვალწინ რამდენიმე წლით გაახალგაზრდავდა“...*

***ნუნუ კუპრეიშვილი***

*__მინაწერი:__ ეს მცირე ნაწყვეტია იმ წერილიდან, რომელიც ბატონი ჯანსუღ ჩარკვიანის ოთხტომეულის მეოთხე ტომშია შეტანილი. მხატვრული ნარკვევის ავტორი, ცნობილი ჟურნალისტი, ქალბატონი ნუნუ კუპრეიშვილი გახლავთ.*

*საკმაოდ ვრცელი წერილის სათაურად ქალბატონ ნუნუს, ისევ ძვირფასი პოეტის სიტყვები – „მევალისათვის მიმატანინე ვალი“, – გამოუყენებია.*

*ჩვენი გაზეთის ფურცლებზე ბატონ ვასილ გვეტაძის ამ ორი ლექსიდან, დიდმა პოეტმა ზემოაღნიშნულ თავის ბრწყინვალე გამოცემაში პირველს მიუჩინა ადგილი (ალბათ, იმის გამო, რომ მეორე ლექსი ბატონმა ვასილმა მოგვიანებით, – 2012 წელს სამების საკათედრო ტაძარში ჯანსუღ ჩარკვიანის საიუბილეო საღამოს გამართვის შემდგომ შექმნა.*

## ჯანსუღ ჩარკვიანს

არა იმიტომ, მიზეზი არ ჩანს
და პასუხს ვერ ვცემ კითხვებს
მარტივებს
და ჩემგან რაც კი უთქმელი
დარჩა,
რომ არ ვთქვა, ღმერთი არ
მაპატიებს;
არც მისთვის, შენით გულია
რადგან
მადლიერებით ყელამდე
სავსე,
ბოლოს და ბოლოს, ჩემი
დროც დადგა,
გწერდე ამ ბარათს და
გითხრა ასე:
დღემდე ეს სიტყვა მე ვმალე
ჩუმად,
დღეს თავისთავად
წამოქოჩრილი,
მაინც ინთება და ქრება
უმალ,
რაღაც დადგენილ წესის
მორჩილი.
არადა, გული თავისას ითხოვს
და ხედავს ყოვლისმხედველი
თვალი,
იდგნენ და იმ გულსა და იმ თვალს
ჰკითხონ,
ვის მეტი რჩება საქვეყნო
ვალი.
იმას, რომ იცის კაცობის
ფასი
შუბლზე წასმული სხვა
მირონი აქვს,
თუ მას, რომელსაც მისივე
მსგავსი
ართობს ქილიკი და
ირონია.
და გრძნობს, საიდან ან ვინ
მოიშლის
ქარებს, თუ აფრა ნაპირებს
აცდა,
ვერ აღმოჩნდება უკვდავ
სიაში
სამოთხეებში ასაფრენ
კაცთა...
თუ ღირსი სიტყვა მაინც ვერ
ვპოვე
და ღიად დარჩეს ეს
საკითხავი,
ჩვენს ნამუსიან და
ძვირფას პოეტს,
ნამუსიანად მაინც გითხარი.
რომ შენ ისა ხარ, ის,
ნაღდი კაცი,
ბეწვის ხიდზეც და უფსკრულის
პირას,
მაგრამ დრო არის ავი და მკაცრი
და გვავიწყდება სიკეთე ხშირად.
დგას ვიღაც წყალში და
მშველელს ელის
და მდორე ბინდში თვალი
დაბინდა...
შენ კი ბეჭებში ჩაავლე ხელი
იმ კაცს, რომელსაც წყალი
ჯაბნიდა.
შენ ხარ მაღალი, თვალში საცემი,
ცოცხლობ, კაცობა რომ
დაამშვენო,
რაღაცნაირი ბნელი კაცები
კაიკაცობენ თუმც შენს
გარშემო.

## რა ახლო არის ზეცა აქედან

***წმინდა სამების ტაძარში ჯანსუღ ჩარკვიანის საიუბილეო საღამოზე***

ერის წინამძღვარ გონიერ
მამას,
ცისა და მიწის შუა რომ არი,
ჩამოცქეროდა, ვგრძნობდით
ჩვენ ამას,
ჭერი ტაძრისა გუმბათოვანი.
ხომ, ხომ შეხედე მლოცავს
ხატებთან,
გამოირჩევა ხომ ბევრში
ერთი,
ღვთის სავარძელში რომ
ანათებდა
და ედგა ჩვენი პოეტი
გვერდით.
რა ახლო არის ზეცა აქედან,
ციდან რა მადლი მოდის
ასეთი...
ლოცვა და ლექსი ერთად
აფრქვევდა
ტკბილ საგალობელს მგოსნის
ბაგეთი.
მის ჯიშს, გვარ-სახელს ენდო
ფუძიანს,
დღეის ტკივილის ხვალ
გასაცნობად,
მისთვის საჩუქრად ღმერთს
მოუცია
ლექსიც, სიმღერაც და
ვაჟკაცობაც.
უთვალავი და უანგარიშო
ფრთა თავისთავად მოვა
საფრენი,
სუფთა სულთა და გულთა
გარეშე,
არ იწერება ხომ არაფერი.
აი, ესაა დრო ფრთათა
შესხმის
და ერთმანეთთან ფრთებს
აახლოებს,
დასტურ, ქართული ლოცვა
და ლექსი
სულის სიღრმეში ერთად
სახლობენ.

# სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო მუზეუმის 80 წლის საიუბილეოდ

*„სხვა ქვეყნებში თითქმის ყველგან,*
*ძველ ნაწარმოებს,*
*ძველ ხელნაწერებს ისე უყურებენ,*
*როგორც კუთვნილებას*
*მთელის ხალხისა. ამისათვის იქ მათ*
*აგროვებენ ერთს*
*რომელიმე ადგილას, ვისაც ჰსურს*
*უფრო ადვილად*
*შეუძლიან იმითით ისარგებლოს.*
*იმათთვის არის*
*ისტორიული და არქეოლოგიური*
*მუზეუმი. მხოლოდ იმ*
*ხალხს შეუძლიან იქონიოს საკუთარი*
*ნამდვილი ისტორია,*
*რომელსაც მუზეუმი აქვს, კარგია*
*ყველა ისტორიული*
*მასალების შემუშავების*
*მოსურნეთათვის, უამისოდ*
*შეუძლებელი საქმეა ხალხმა*
*ისტორია იქონიოს“...*

***დიმიტრი ბაქრაძე***

1977წლის 15 ივლისს – საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის დირექტორი, აკადემიკოსი **ლევან ჭილაშვილი** აქვეყნებს N196/ა ბრძანებას, რის საფუძველზე ბატონი **სერგო ხოსიტაშვილი** გადადის ქ. თბილისში და, როგორც ჩვენი მკითხველისთვის უკვე ცნობილია, მუშაობას იწყებს თბილისში – პოლიტექნიკურ ინსტიტუტში.

შესაბამისად, 1977 წლის 15 ივლისს, საქართველოს ეროვნული მუზეუმის დირექტორი, აკად. ლევან ჭილაშვილი აფორმებს ბრძანება №44,§2, რის საფუძველზეც ივ. ჯავახიშვილის სახელობის სამცხე-ჯავახეთის ისტორიის მუზეუმის ფილიალის დირექტორად დაინიშნა **გიორგი ევსევის ძე კაპანაძე.**

გიორგი კაპანაძე დაიბადა 1928 წლის 1 ნოემბერს, ჭიათურის რაიონის სოფელ დიდ ჩხირაულში. დაამთავრა ამავე სოფლის საშუალო სკოლის 8 კლასი. ...1944 წლის ნოემბერში, მთავრობის დადგენილებით, იმერეთის მაღალმთიანი ზონის სხვა სოფლების მოსახლეობასთან ერთად, მისი ოჯახიც, მუდმივ საცხოვრებლად, ახალციხის რაიონის სოფელ ანში ჩამოსახლდა. ბატონმა გიორგიმ, როგორც წარჩინებულმა მოსწავლემ, მიიღო გადაწყვეტილება სწავლა ახალციხის სახელმწიფო პედაგოგიურ სასწავლებელში გაეგრძელებინა. პედაგოგიური სასწავლებლის დამთავრებისთანავე იგი გორის ნ. ბარათაშვილის სახელობის სახელმწიფო პედაგოგიურ ინსტიტუტში ჩაირიცხა გეოგრაფიის ფაკულტეტზე, ხოლო ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ, 1951 წლის სექტემბერში, მუშაობა დაიწყო ახალციხის რაიონის სოფელ ანის საშუალო სკოლის მასწავლებლად.

მალე, ახალგაზრდა, წარმატებული პედაგოგი, საქართველოს ალკკ ახალციხის რაიკომის მე-2 მდივნად გადაიყვანეს, ხოლო 1951 წელს არჩეული იქნა პირველ მდივნად.

1957 წლის დეკემბრიდან იგი გადაყვანილ იქნა გაზეთ „წითელი დროშის“ რედაქტორად.

შრომისმოყვარეობა და მიზანდასახულობა, რომელიც მას მთელი თავისი სიცოცხლის განმავლობაში თან სდევდა, სწრაფად ულებდა კარს წარმატებებისაკენ. ალბათ, ესეც იყო მიზეზი იმისა, რომ 1961 წელს იგი აირჩიეს საქართველოს კპ ახალციხის რაიკომის მეორე მდივნად, ერთი წლის შემდეგ კი ახალციხის სარაიონთაშორისო გაზეთ „წითელი დროშის“ რედაქტორია და, პარალელურად მუშაობს საკანდიდატო დისერტაციაზე – „სამხრეთ საქართველოს სოფლის მეურნეობის გეოგრაფიის ძირითადი პრობლემები.“ 1969 წელს დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია და ხდება გეოგრაფიის მეცნიერებათა კანდიდატი. ყველაფერი აქ არ მთავრდება. 1970 წლის ნოემბერში უკვე, გეოგრაფიის მეცნიერებათა კანდიდატს – ბატონ გიორგი კაპანაძეს კვლავ საქართველოს კპ ახალციხის რაიკომის მეორე მდივნად ირჩევენ, 1975 წლის სექტემბრიდან გადაჰყავთ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ბუნების დაცვის სახელმწიფო კომიტეტის ახალციხის ზონალური ინსპექციის უფროსად, სადაც მან შემოიკრიბა ახალგაზრდა სპეციალისტები და საქმეს წარმატებით გაუძღვა. თუმცა, დიდხანს ამ სამსახურშიც არ დარჩენილა და 1977 წელს ინიშნება საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის სამცხე-ჯავახეთის ისტორიის მუზეუმის დირექტორად, სადაც ჩვეული შემართებით იწყებს სამუზეუმო საქმიანობას.

აღნიშნულის შესახებ მუზეუმის საარქივო დოკუმენტებში ვკითხულობთ, რომ ბატონი გიორგი იმთავითვე საქმიან ურთიერთობას ამყარებს საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის შესაბამის განყოფილებებთან და თვით აკადემიის პრეზიდენტთან აკად. **ევგენი ხარაძესთან.** ასევე მჭიდრო კავშირ-ურთიერთობაშია ს. ჯანაშიას სახელობის საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის დირექტორთან პროფ. **ლევან ჭილაშვილთან,** დირექტორის მოადგილეებთან – აკადემიის წევრ-კორესპონდენტთან ბატონ **ალექსანდრე (ლალი) ჯავახიშვილთან** და **ჯემალ შანიძესთან,** მუზეუმის სწავლულ მდივანთან, ქალბატონ **იზოლდა ჩხარტიშვილთან.** პროფესორებთან – **შოთა ლომსაძესთან, გიორგი ჯალაბაძესთან, მირიან ხუციშვილთან, ელდარ ნადირაძესთან** და ა.შ.

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით სხვადასხვა სახის ჩანაწერებსა და ფოტოდოკუმენტებს ვხვდებით გიორგი კაპანაძის საარქივო მასალებში, რომელთა ერთ



საექსპოზიციოდაც. აქაც, ექსპოზიციების მაღალ დონეზე მოწყობის მიზნით, საქართველოს სახელმწიფო მუზეუმიდან სპეციალურად მოიწვია ბატონი ლალი ჯავახიშვილი, მხატვარი მ. გვაჯაია და ცნობილი პროფესორები შოთა ლომსაძე და გიორგი ჯალაბაძე. ვისაც კი ეს საგამოფენო სივრცეები უნახავს, რა თქმა უნდა, მუზეუმიდან გულგრილი ვერ წავიდოდა. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ შემოქმედებითი საქმიანობა მუზეუმში თანდათან აკადემიურ ხიბლს იძენდა. მუზეუმის დირექტორი იმდენად გაიტაცა საგამოფენო საქმიანობამ, რომ მუზეუმის მეცნიერ-თანამშრომლებს სასწრაფოდ აძლევს დავალებას, რათა სისტემაში მოიყვანონ რეგიონის მასშტაბით, დიდ სამამულო ომში მონაწილე, ჩვენი თანამემამულეების შესახებ მათ მიერ მოძიებული და ფონდებში დაუნჯებული მასალები ექსპოზიციისათვის, ასვე დაიწყოთ მუშაობა თავისუფალი საექსპოზიციო სივრცის მოსამზადებლად. თუმცა, ამ ექსპოზიციის დასრულება მას არ მოუწია, მაგრამ შესრულებული საქმის დიდი ნაწილი იძლევა საშუალებას ვთქვათ, რომ ეს ექსპოზიციაც ისეთივე კლასიკური იყო, როგორც დანარჩენი, რომელშიც მან თავისი მზრუნველობა და სიყვარული ჩადო...

ბუნებრივია, ყველაფერი არც აქ დასრულებულა, ბატონი გიორგი მუზეუმის მეცნიერ-თანამშრომლებთან ერთად – მხარის ისტორიის, ეთნოგრაფიის, არქეოლოგიის და ზეპირსიტყვიერების ნიმუშების შეგროვებისა და შესწავლის მიზნით აწყობს მიზნობრივ-სამეცნიერო-კვლევითი ხასიათის ექსპედიციებს.

# მესხეთის სიძველეთა სავანე



გიორგი კაპანაძე რეზო ჩხეიძესთან ერთად

ამასთანავე, რეგულარულად ატარებს სამეცნიერო ხასიათის სესიებსა და კონფერენციებს, როგორც ადგილობრივ, ისე, რესპუბლიკური და საკავშირო ხასიათის ღონისძიებებს.

მიუხედავად იმისა, რომ ბატონ გიორგის მუზეუმში ბევრი მნიშვნელოვანი ხასიათის ღონისძიების ჩატარება ჰქონდა ჩაფიქრებული, იგი 1983 წლის ნოემბერში ახალციხის სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმის დირექტორად იქნა გადაყვანილი, სადაც მან 1999 წლის აპრილამდე იმუშავა, ხოლო ამავე წლის აპრილიდან – ბიზნესის სახელმწიფო ინსტიტუტის ახალციხის ფილიალის დირექტორია.

ამიტომაც არის, რომ გ. კაპანაძის პირად არქივში მრავალი, სხვადასხვა ხასიათის წერილი თუ მისალოცი ბარათია დაუნჯებული. მათ შორის აკადემიკოსებისა და პროფესორების მიერ გამოგზავნილი ღია ბარათები, რომლებსაც ხელს აწერენ: **თ. დავითაია, ვ. ჯაოშვილი, რ. კვერენჩხილაძე, ვ. ბერიძე, ალ. ჯავახიშვილი, რ კაპანაძე, თ. ღვინიანიძე, გ. ტალიაშვილი, ა. ჩიქოვანი, მ. ხუციშვილი** და ა.შ.

ბატონ გიორგის საქმიანი მიმოწერა ჰქონდა როგორც საქართველოს ეროვნული მუზეუმის, ისე ისტორიისა და გეოგრაფიის ინსტიტუტის მეცნიერ-თანამშრომლებთან.

აქედან გამომდინარე, მინდა სრულად შემოგთავაზოთ აკადემიის წევრ-კორესპოდენტის ბატონ ალექსანდრე ჯავახიშვილის წერილი, რომელსაც დიდი მადლიერებით უგზავნიდა თბილისი 9,X,1993:

***„ძვირფასო ბატონო გოგი,***

***თქვენმა წერილმა ძლიერ გამახარა, მადლობელი ვარ კეთილი სიტყვებისათვის, ჩემთვის რომ გაიმეტეთ. მესმის, რომ ისინი მე არაფრით არ დამიმსახურებია, რადგან ცარიელი ლაპარაკი საქმეს არ შველის, რეალური კი ვერაფერი ვერ გავაკეთე, ვერც თქვენთვის და ვერც, საერთოდ. მერწმუნეთ, არც მე გამნელებია თქვენი ულრმესი პატივისცემისა და სიყვარულის გრძნობა. თქვენთან თანამშრომლობისა და თქვენს ოჯახში გატარებული დღეები ცხოვრების საუკეთესო მოგონებათა შორის მრჩება და არასოდეს არ წაიშლება ჩემი მეხსიერებიდან.***

***ახალციხეში დიდი ხანია აღარ ვყოფილვარ და ამ გართულებულ დროში, ალბათ, ადვილად ვეღარც მოვხვდები, თუმცა გული მუდამ მომიწევს. მადლობელი ვარ დაპატიჟებისთვის. განგებამ გაბედნიეროთ და დოვლათი გაგიმრავლოთ ოჯახში. სწორედ თქვენისთანა პატიოსანი, გონიერი და გამრჯე ადამიანები და გულმხურვალე მამულიშვილები თუ გადაარჩენენ ჩვენ უბედურ სამშობლოს.***

გაგრძელება მე-12 გვ. ▶

ნაწილს, ცოტა ქვემოთ, ამავე სტატიაში შემოგთავაზებთ.

როგორც ჩვენს ხელთ არსებული მასალებიდან ირკვევა, დირექტორის ყურადღება პირველ რიგში მიიქცია შენობა-ნაგებობებისა და ეზოს მდგომარეობამ. პარალელურად, საჭირო იყო გაეგრძელებინა საფონდო-საექსპოზიციო სამუშაოებიც, რომელთა შორის უპირველეს ყურადღებას არქეოლოგიური ექსპოზიციის დარბაზი მოითხოვდა, რომელიც უკვე წინამორბედ დირექტორს – ბატონ ს. ხოსიტაშვილს დაეწყო.

ამდენად, ბატონ გიორგის პარალელურ რეჟიმში უხდებოდა მუშაობა იმისათვის, რომ მუზეუმის ეზო დამთვალიერებელთა და სტუმართათვის მიმზიდველი და შთამბეჭდავი ყოფილიყო, საამისოდ ბატონ გიორგის ვარდისა და სხვა დეკორატიული მცენარეების ნერგები დასავლეთ საქართველოდან ჩამოჰქონდა, ხოლო არქეოლოგიური ექსპოზიციის დასრულებისათვის მხატვარი **მ. გვაჯაია** თბილისიდან ჩამოიყვანა. ამასთანავე, საქმე იქამდე მივიდა, რომ არქეოლოგიური გამოფენის აკადემიურობისათვის კონსულტანტად თვით ბატონი ალექსანდრე ჯავახიშვილი მოიწვია. ამიტომაც იყო, რომ მუზეუმის ნებისმიერი ექსკურსიამძღოლი იმ პერიოდში ყველაზე მეტ დროს სწორედ ამ დარბაზებში ყოვნდებოდა.

რადგან ექსპოზიციას შევეხეთ, აქვე მინდა მოგახსენოთ, რომ ადმინისტრაციული და საგამოფენო შენობები პარალელურად რემონტდებოდა, რამაც მას საშუალება მისცა ეზრუნა ფეოდალური და საბჭოთა პერიოდის მასალების შესწავლა-დამუშავებაზე. აღსანიშნავია ისიც, რომ საგამოფენო მასალების ექსპოზიციაში მოხვედრამდე საჭირო იყო საგამოფენო სივრცის მომზადება. და, აი, სწორედ ამ მიზნით, ბატონი გიორგი მუზეუმის ფონდების მთავარ მცველს **ს.ზაქროშვილს,** ქ. ასტრახანში გზავნის, ექსპოზიციისათვის საჭირო საგამოფენო თაროებისა და სხვა მასალის შესაძენად და ჩამოსატანად. ამის შემდეგ, საექსპოზიციო საქმიანობა დაიწყო საბჭოთა და ფეოდალური პერიოდის მასალების

# მესხეთის სიძველეთა საგანძე

◀ დასაწყისი გვ. 11

*ამ წერილს ვატან ჩვენი მუზეუმის თანამშრომლებს, რომლებიც სისტემატურად დადიან ახალციხეში ლექციების წასაკითხად. იქნებ ერთხელ მეც გავბედო მასთან ერთად წამოსვლა, თუმცა საგრძნობლად მოვბერდი და ძველებურად მხნედ აღარ ვგრძნობ თავს. ვნახოთ, როგორ წავა საქმეები. ასეა თუ ისე, კვლავ გიხდით მადლობას დაპატიჟებისათვის და გთხოვთ გადასცეთ ქალბატონ ლამარას დიდი მოკითხვა და ჩემი ულრმესი პატივისცემა. კარგად იყავით, ღმერთმა გაბედნიეროთ თქვენს ოჯახში და ჩვენ საქართველოში.“*

*მაგრად გეხვევით და გკოცნით,*
*მარად თქვენი პატივისმცემელი და მოსიყვარულე ლალი ჯავახიშვილი.*

ასევე, ჩვენს ხელთ არსებულ საარქივო დოკუმენტებში ვკითხულობთ, რომ ბატონ გიორგის სისტემატური მიწერ-მოწერა ჰქონდა გეოგრაფიის ინსტიტუტის დირექტორთან, აკად. **ვახტანგ ჯაოშვილთან,** რომელიც ჯერ კიდევ 1970 წლის 22 დეკემბერს მიწერილ წერილში აღფრთოვანებული მიმართავს ბატ. გიორგის და აღნიშნავს: — *„გულწრფელად მოგილოცავთ დიდ ნაბიჯს მეცნიერების გზაზე. მალე მენახოთ მეცნიერებათა დოქტორიც. ღირსი ხართ ნიჭითა და ახალგაზრდობით, კეთილშობილებითა და დიდი ჰუმანურობით. ვხარობ და ვამაყობ თქვენით. მიზნის სიცხადე და მტკიცე ნებისყოფა ძნელად სავალ გზაზე გამარჯვების ქვაკუთხედია და მიხარია, რომ მიზნის ნახევარი განახორციელეთ. პარტიული სამუშაო დატვირთვაა, მეცნიერება კი მუდმივი საუნჯე. . .*

*პატივისცემით* — ვ. ჯაოშვილი
22/XII-1970წ.“

აკად. ვ. ჯაოშვილის მეორე წერილში, აღნიშნულია ის დიდი მადლიერება, როცა ექსპედიციით ესტუმრა სამცხე-ჯავახეთს და საინტერესო და ნაყოფიერი შედეგებით დაბრუნდა თბილისში — *,,მალე ორი თვე გახდება, რაც ჩვენი ექსპედიცია ახალციხიდან დაბრუნდა, მაგრამ მე და ჩემი ახალგაზრდა კოლეგები ისევ იმ შთაბეჭდილებების ქვეშ ვართ, რაც სამხრეთ საქართველოში და, კერძოდ, ახალციხეში ყოფნით მივიღეთ.*

*პირველ ყოვლისა, მინდა, რომ დიდი მადლობა გადაგიხადოთ იმ გულისხმიერებისა და ყურადღებისათვის, რომელსაც თქვენ და ქალბატონი ლამარა ჩვენს მიმართ იჩენდით. უკლებლივ ყველა, ვინც ექსპედიციაში ვმონაწილეობდით, დიდად კმაყოფილია საქართველოს ამ მშვენიერი და უძველესი მხარისა. თქვენთან ყოფნის შემდეგ მოულოდნელად გამგზავრება მომიხდა ბელგიაში (ქ.ლიეჟი), სადაც მიმდინარეობდა დემოგრაფიის მსოფლიო კონგრესი. ძალიან ბევრი სამუშაოს შესრულება მომიხდა. გარდა ჩემი წლიური თემისა (თბილისი-რუსთავის სამრეწველო კვანძი), დამატებით დავავალეს წითელწყაროს რაიონის ეკონომიური და სოციალური განვითარების გეგმის შედგენაში მონაწილეობის მიღება; ვადად ნოემბერი დაგვინიშნეს და ეს იმას ნიშნავს, რომ ახალი წლის დამდეგამდე სამხრეთ საქართველოზე მუშაობას ვერ განვაახლებთ. იმედია დანაპირებს არ დავარღვევთ. თქვენ თუ იქნებით თბილისში, მაინც შემოიარეთ ჩვენთან, წინასწარ მოთათბირება საქმეს არ აწყენს.*

*კვლავ, გულითადად გისურვებთ ახალ წარმატებებს.*

*მარად თქვენი ვ. ჯაოშვილი.*
24/IX-1973წ.
*თბილისი,* 30.12.82წ.“.

*„ძვირფასო ბატონო გიორგი, მადლობას მოგახსენებთ მოლოცვისათვის. მეც გულით გილოცავთ ახალ წელს — ბედნიერი ყოფილიყოს თქვენთვის და თქვენი ოჯახისათვის, ახალციხის მუზეუმისა და საფარის სახალხო უნივერსიტეტისათვის, ჩვენი დიდებული მესხეთისათვის.*

*პატივისცემით,*
*თქვენი*
*ვახტანგ ბერიძე“.*



გიორგი კაპანაძე და რეზო ჩხეიძე

საქართველოს ეროვნული მუზეუმის — ივანე ჯავახიშვილის სახელობის სამცხე-ჯავახეთის ისტორიის მუზეუმი თანდათან, ყოველდღიურად იზრდებოდა, მშვენდებოდა და სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობაც წინ მიიწევდა, რაც, როგორც მხარის, ისე რესპუბლიკის ხელმძღვანელობის მიერ შეუმჩნეველი არ დარჩენილა. ამის სამაგალითოდ მოგიყვანთ საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივნის ბატონ **ედუარდ შევარდნაძის** ტექსტიდან ამონარიდს: *,,ახალციხის სახელმწიფო მუზეუმის დათვალიერება გულგრილს არ დატოვებს, არც რესპუბლიკის მკვიდრთ და არც ჩვენს სტუმრებს. ეს დიდი სიმდიდრეა. აქ კარგი კოლექტივი ჩამოყალიბდა, ესეც დიდი შენაძენია.*

*სიმბოლურია, რომ რესპუბლიკური მნიშვნელობის საუბარი კულტურის ძეგლთა დაცვის შემდგომი გაუმჯობესების გზებზე სწორედ აქ გაიმართა.*

*მესხეთი, მისი მშრომელი ადამიანები, ყოველთვის იყო საქართველოს ყურადღების ცენტრში. ასე იყო, ასე არის და ასე იქნება.*

*ვუსურვებ სამხრეთ საქართველოს, მთლიანად საქართველოს თვალმარგალიტს — ახალციხეს, ეკონომიკურ აღორძინებას, ახალ მიღწევებს კულტურის, მეცნიერების განვითარებაში.*

*ე. შევარდნაძე*
26. 08. 82წ.“

აღსანიშნავია, რომ ამ წერილის ავტორს არ აქვს იმის პრეტენზია, რომ ბატონი გიორგი კაპანაძის მიერ განვლილი გზა ამ საგაზეთო წერილში სრულიად წარმოაჩინოს, მაგრამ, მართებული არ იქნებოდა მისი ცხოვრების საქმიანი რეალიებიდან ამოვაგდოთ ან უყურადღებოდ დავტოვოთ თანამშრომლობა დიდ ქართველ კინორეჟისორთან, ბატონ **რეზო ჩხეიძესთან,** რომელმაც შექმნა ახალი ფილმი-დიალოგი ,,მშობლიურო ჩემო მიწავ,“ რომლის დიალოგიც, როგორც ბატონი რეზო აღნიშნავს — *,,სამცხე-ჯავახეთში ვითარდება, უძველეს მხარეში საქართველოს წარსულისა, აწმყოსი და მომავლისა. გოჯი მიწა თუ ნანგრევის ნატეხი აქ მესხთა, კოლხთა, ლაზთა, იბერთა ოფლითა და სისხლითაა გაჟღენთილი*“.

სწორედ ამ ფილმის გადაღების დროს შეარჩიეს ბატონი გიორგი მრჩევლად და, დამემოწმებით, რომ ეს მისია გ. კაპანაძემ შესანიშნავად შეასრულა და ეპიზოდურ როლშიც მოხვდა. წარმატება შემთხვევითი არ იყო და ყველაფერთან ერთად, როგორც გეოგრაფმა, ბუნების დამცველმა, მონადირემ, მეთევზემ და ა.შ. კარგად იცოდა ის ისტორიულ-გეოგრაფიული წერტილები, რომელიც დასახელებული ფილმის გადაღების დროს, შესანიშნავ მიზანსცენებს სთავაზობდა ფილმის რეჟისორს და ამით ფილმის გადაღებაში ფასდაუდებელი წვლილი შეჰქონდა.

უნდა აღინიშნოს ის გარემოებაც, რომ იმდენად დიდი იყო გ. კაპანაძის დამსახურება ფილმის გადაღების პროცესში, რომ ბატონმა რეზო ჩხეიძემ, როცა იგი სერვანტესის ,,დონ-კიხოტს“ იღებდა, მრჩევლის მოვალეობა კვლავ გიორგი კაპანაძეს შესთავაზა...

ბატონ გიორგის მუზეუმში ბევრი მნიშვნელოვანი ღონისძიება ჰქონდა დაგეგმილი, მაგრამ 1983 წლის ნოემბრიდან იგი ახალციხის სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმის დირექტორად გადაიყვანეს, ხოლო 1999 წლის აპრილიდან, სიცოცხლის ბოლომდე — ბიზნესის სახელმწიფო ინსტიტუტის ახალციხის ფილიალის დირექტორი გახლდათ.

როგორც ვხედავთ, ბატონმა გიორგი კაპანაძემ მთელი თავისი შეგნებული ცხოვრება თავდადებულ შრომაში გაატარა და ამიტომაცაა, რომ მას მიღებული აქვს საქართველოს პრეზიდენტის პირადი მადლობის წერილი. დაჯილდოებულია ,,ღირსების ორდენით“, საქართველოს უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით. მიღებული აქვს მედლები. იყო საქართველოს კულტურის დამსახურებული მუშაკი, საკავშირო ჟურნალისტთა კავშირის წევრი. გამოქვეყნებული აქვს 20-მდე სამეცნიერო ნაშრომი და სამეცნიერო ხასიათის სტატიები. მათ შორის: „სამხრეთ საქართველოს სოფლის მეურნეობის გეოგრაფიის პრობლემები“, „სამხრეთ საქართველოს მეურნეობა (სამცხე-ჯავახეთის მაგალითზე) წინათ და ახლა“, „მეცხოველეობის განლაგება სამცხე-ჯავახეთში“, „მეურნეობრივი განვითარების მეურნეობრივი ფაქტორები“ და სხვ.

აქვე მინდა აღვნიშნო, რომ ბატონ გიორგის სამეცნიერო ხასიათის გამოკვლევებთან ერთად გამოცემული აქვს მცირე მოცულობის წიგნი სათაურით — „ვუძღვნი სიმონ პართენის ძე კაპანაძის ნათელ ხსოვნას“. ბატონი სიმონი ჩვენი ქალაქის კოლორიტი, დიდი სამამულო ომის მონაწილე და დამსახურებული პიროვნება გახლდათ, ასევე, ბატონი გოგის უახლოესი მეგობარი. ამ ფაქტის აღნიშვნა იმისთვის დამჭირდა, რომ საზოგადოებისათვის შემეხსენებინა თუ რა დიდი იუმორის მატარებელი ბრძანებულა ჩვენი წერილის ადრესატი. წიგნში ავტორის მიერ საოცარ ფერებშია გამოყენებული კურიოზები, ხუმრობები, თავგადასავლები, კეთილი იუმორი, რაც გვაფიქრებინებს, რომ, თურმე, საერთოდ, არ გვცნობია ბატონ გიორგის შინაგანი სამყარო.

ყოველივე ზემოთ აღნიშნულთან ერთად, ბატონი გიორგი ჩინებული ოჯახის თავკაცი გახლდათ, იმ ოჯახისა, სადაც პატიოსნება, ადამიანისადმი დიდი სიყვარული, სამშობლოსათვის თავდადება წარმოადგენს უმთავრეს პრიორიტეტს. ამიტომაც იყო, რომ ბატონი გიორგი კაპანაძის დიდ და სტუმრიან ოჯახში მრავალი გამოჩენილი პიროვნებაა ნამყოფი და მადლიერებას გამოთქვამენ პირად წერილებსა და სხვადასხვა დროს გამოგზავნილ ღია ბარათებში, რომლებიც ასე უხვადაა დაუნჯებული მის პირად არქივში.

ოჯახში სტუმრობა კი მაშინ არის სასურველი, როცა მას კეთილშობილი დიასახლისი მართავს. სწორედ, ასეთი კეთილშობილებითა და მაღალი ინტელექტით გამოირჩევა დღესაც მისი მშვენიერი მეუღლე — ,,სახალხო განათლების წარჩინებული,“ მრავალი თაობის აღმზრდელი-პედაგოგი, სულით ინტელექტუალური ქალბატონი, **ლამარა ქურდაძე**. თუ მას ერთხელ მაინც შეხვედრიხართ, არ დაგავიწყდებათ ის ხიბლი და სიდარბაისლე, რომელიც ამ ქალბატონს ახლავს თან.

ბატონ გიორგის და ქალბატონ ლამარას ჰყავთ ორი ვაჟიშვილი, რძალი, შვილიშვილები და შვილთაშვილები, რომლებიც დღეს ერთად აგრძელებენ ამ დიდი ოჯახის ტრადიციებს...

ვფიქრობთ, ჩვენი მშვენიერი გაზეთის მკითხველი საზოგადოება დამეთანხმება თუ ვიტყვით, რომ გიორგი კაპანაძეს, როგორც მრავალშვილიანი ოჯახის წარმომადგენელს, კარგად ჰგონდა გაცნობიერებული, რომ ცხოვრების გზაზე გადადგმულ ყოველ წარმატებულ ნაბიჯს, საფუძველი შორეულ ბავშობაში, მშობლების ზრუნვითა და სიყვარულით გამთბარ დიდ მშობლიურ სახლში ეყრება და, მთელი ცხოვრების განმავლობაში, მისი ცხოვრების თანამდევი ხდება. ალბათ, ვერ შეძლებდა მიეღწია იმ წარმატებებისათვის, ისეთ მაღალ და მრავალფეროვან საქმიანობაში, რომლის შესახებაც ჩვენ ზემოთ გვქონდა საუბარი.

ამდენად, ბუნებრივია, ბატონი გიორგი კაპანაძის, როგორც მოქალაქის, გეოგრაფიის მეცნიერებათა კანდიდატის, მუზეუმის დირექტორის, ხელმძღვანელის, მრავალმხრივ განათლებული პიროვნების, მზრუნველი მეუღლის, მამის, ბაბუის ხსოვნა მარად დარჩება ახლობლების, კოლეგებისა და მეგობრების გულში, ხოლო მისი პირადი არქივი შესანიშნავი გზამკვლევი იქნება მომავალი თაობებისათვის.

ბატონი გიორგი 2012 წლის 5 ივნისს გარდაიცვალა. მისი ნათელი ხსოვნა კი მარად დარჩება ოჯახის, ახლობლების, კოლეგებისა და მეგობრების გულში.

**ციური ლაფაჩი**

# ივანე გვარამაძე — „მესხეთ-ჯავახეთის მემატიანე“

◀ დასწყ. იხ. გვ. 10

ივანე გვარამაძე 82 წლის ასაკში გარდაიცვალა — 1912 წლის 24 მაისს. მისი ვაჟის კონსტანტინეს გადმოცემით „სწერდა-კითხულობდა უსათვალოდო“. მოხუცს სიცოცხლე მოუსწრაფა ჯერ სამსახურიდან დათხოვნამ ისე, რომ მას მთავრობამ პენსიაც კი არ დაუნიშნა, შემდეგ კი თავისი საყვარელი მოსწავლის მიხეილ თამარაშვილის ტრაგიკულმა სიკვდილმა. (ს.ჯ.ი.მ.ხ.ფ. N1081, კონსტანტინე გვარამაძე, „მამა ივანეს ჰიგიენა სიცოცხლეში“). იგი თავდაპირველად დაკრძალული იყო იოანე ნათლისმცემლის სახელობის ეკლესიის ეზოში, ხოლო 1945 წელს მისი ნეშტი გადასვენებულ იქნა წმინდა ჯვრის ეკლესიის ეზოში.

ივანე გვარამაძის დაღუპვა იმთავითვე დიდ დანაკლისად მიიჩნია ქართველმა საზოგადოებამ. მისი ხსოვნის აღსანიშნავად კონსტანტინოპოლის ქართულ მონასტერში გადახდილ იქნა პანაშვიდი. მისმა შვილებმა კი სამძიმრის მრავალი წერილი მიიღეს. ალიოზ ბათმანაშვილი, კონსტანტინოპოლში მოღვაწე მისი მოსწავლე, წერდა: **„მამი თქვენის მღ. ივანე გვარამაძის სიკვდილმა დიდათ დაგვაღონა. ფასდაუდებელ მამათქვენს მარტო თქვენ როდი მისტირით, არამედ ბევრი სხვანიც მოიპოვებიან და მეც აქაურ ბერ-მონაზვნებითურთ მონაწილეობას ვიღებთ თქვენს სამართლიან მწუხარებაში**“. (*ს.ჯ.ი.მ.ხ.ფ. N2665, ალიოზ ბათმანაშვილის წერილი ივანე გვარამაძისადმი, კონსტანტინოპოლი, 1912*).

1913 წლს 26 მაისს წმინდა იოანე ნათლისმცემლის ეკლესიაში მღვდელმა **სერაპიმ მერაბიშვილმა** წირვაზე მრევლს ერთხელ კიდევ შეახსენა ივანე გვარამაძის მთავარი დამსახურება: **„სწორედ მამა იოვანეს პროპაგანდაა, რომ დღეს ჩვენ ქართველად ვიცანით ჩვენი თავი, ამის გამო მღვდელი ივანე გვარამაძე დაუვიწყარი უნდა იყოს“. (გაზ. „სახალხო გაზეთი“**, (*N308, 908 – 1913*). მართლაც, მისი გარდაცვალებიდან დღემდე არ შენელებულა ივანე გვარამაძის პიროვნებისადმი ყურადღება. ქართველმა საზოგადოებრიობამ იმთავითვე გადაწყვიტა „ვინმე მესხის“ ძეგლის დადგმა ქალაქ ახალციხეში, რისთვისაც შექმნეს სპეციალური ფონდი. ჩვენთვის გაურკვეველ მიზეზების გამო, იმხანად ივანე გვარამაძის ძეგლი არ დაუდგამთ. აღნიშნული საკითხი საკმაოდ მოგვიანებით იქნა მოგვარებული. კერძოდ, 1979 წელს ადგილობრივი მკვიდრის **სიმონ ზაზაშვილის** მიერ იქნა დამზადებული ივანე გვარამაძის ბიუსტი, რომელიც დაიდგა სამცხე-ჯავახეთის ისტორიული მუზეუმის ეზოში. მესხი მოღვაწის პატივსაცემად თბილისის გუბერნიის თავადაზნაურთა საკრებულომ კი მის შვილიშვილს — სიმონ მაისურაძეს 1914 წელს დაუნიშნა პაპის სახელობის სტიპენდია. (ს.ჯ.ი.მ.ი.მ.ა. N670 (7)).

მესხი მამულიშვილის ცხოვრება-მოღვაწეობის შესწავლამ დაგვანახა, რომ იგი აქტიურ მონაწილეობას იღებდა სამცხე-ჯავახეთსა თუ საქართველოში განხორციელებულ ღონისძიებებში. თავის მოღვაწეობას მრავალმხრივ წარმართავდა ეპოქის მოთხოვნების შესაბამისად. დიდი ამაგი დასდო თურქთა ბატონობისაგან გათავისუფლებულ სამხრეთ საქართველოს მოსახლეობის განათლების განვითარების, კულტურული დაწინაურებისა და ეროვნული თვითშეგნების გამოღვიძების საქმეს. მისი საგანმანათლებლო საქმიანობის უმთავრესი შედეგი სამცხე-ჯავახეთის ქართველი მოსახლეობის ეროვნული გადაგვარების თავიდან აცილება იყო.

ივანე გვარამაძის მრავალმხრივი მოღვაწეობის შესწავლამ ერთ დასკვნამდე მიგვიყვანა: რაც ილიამ გააკეთა საქართველოსთვის, იგივე მისია შეასრულა მან მესხეთისათვის, ის მესხეთის ილიაა!

**ნატო ყრუაშვილი**

გაზეთ „ლიტერატურული მესხეთის“ მეოხია ლიანა მანჩხაშვილი

გაზეთ „ლიტერატურული მესხეთის“ ელექტრონული ვერსია შეგიძლიათ იხილოთ შემდეგ მისამართზე: www.scri.co; fcoo: ლიტერატურული მესხეთი

ფიზიკური პირი **ავთანდილ ბერიძე**

**სსიპ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი**

ქ. თბილისში გაზეთ ,,ლიტერატურული მესხეთის“ შეძენა შეგიძლიათ პრესის გარე გამავრცელებლებთან და საქართველოს რაიონებში — ,,საქპრესის“ ჯიხურებში

გაზეთი რეგისტრირებულია ასპინძის რაიონის სასამართლოს მიერ 1998 წლის 15 ოქტომბერს. სარეგისტრაციო № 19/ 4-17

კომპიუტერული უზრუნველყოფა ირმა ჯიშკარიანის

რედაქტორი ავთანდილ ბერიძე
სარედაქციო საბჭო:
დურმიშხან ბერიძე, მერაბ ბერიძე, ვახტანგ ინაური, სოსო გიქოშვილი

გაზეთი დაიბეჭდა შ.პ.ს. “საარის” სტამბაში.
მისამართი: ქ. თბილისი, თევდორე მღვდლის 57.
ტელ: 2 94-14-32

რედაქციის მისამართი:
0500, დაბა ასპინძა, თამარის ქ. № 3,
ტელეფონები:
მთავარი რედაქტორის: 599 97 95 24,
lit.mshti@gmil.com
lit_meskheti@yahoo.com